პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
სამოქალაქო განათლების კურსი

სტუდენტის სახელმძღვანელო

ავტორები: ქეთევან მუხიგული, თამარ ქარაია
რედაქტორები: ლელა ჯავახიშვილი, დავით ღონღაძე

საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES)
International Foundation for Electoral Systems (IFES)
2021

სტუდენტის სახელმძღვანელო შემუშავებულია საქართველოში საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერის (EPPS) პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES). სახელმძღვანელოს გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საააგენტოს (USAID) მეშვეობით. მასში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საააგენტოს ან ამერიკის მთავრობის შეხედულებებს.

The course reader for students was developed in the framework of the Elections and Political Processes Support (EPPS) in Georgia project implemented by the International Foundation for Electoral Systems (IFES). The course reader edition is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID). The content of the material is the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of the International Foundation for Electoral Systems, USAID or the United States Government.

კორექტორი: ლელა ჯავახიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

დიზაინერი
და დამკაბადონებელი: ნუგზარ არჩემაშვილი

© 2021 International Foundation for Electoral Systems (IFES). All rights reserved.
© 2021 IFES. ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-8-3508-7

სარჩევი

რატომ ვსწავლობთ მოქალაქეობას?! 5

თავი 1. სახელმწიფო და ხელისუფლება 11
რატომ და როგორ შეიქმნა სახელმწიფო? 11
რა არის სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი? 14
რა არის ხელისუფლების უმთავრესი დანიშნულება? 15

თავი 2. კონსტიტუცია და სახელმწიფო 19
რატომ იქმნება კონსტიტუცია? 19
რატომ არის ხელისუფლების დანაწილების
პრინციპი უმთავრესი? 19
კონსტიტუციის უმთავრესი მახასიათებლები 22
კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება საქართველოში 25

თავი 3. ხელისუფლების არსი და ბუნება 29
ხელისუფლების დანაწილების ფორმები 29
საპრეზიდენტო რესპუბლიკა 31
საპარლამენტო რესპუბლიკა 32
შერეული სისტემები 34

**თავი 4. დემოკრატიული და არადემოკრატიული
პოლიტიკური რეჟიმები** 35
რა არის პოლიტიკური რეჟიმი? 35

თავი 5. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა 43
სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმები 43
ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობა 44
ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა 48

თავი 6. არჩევნები და საარჩევნო სისტემები 51
რას ნიშნავს საარჩევნო სისტემა და როგორ ზეგავლენას
ახდენს ის არჩევნების შედეგებზე? 51
პოლიტიკური პარტია და პარტიული სისტემები 54
ახდენს თუ არა ზეგავლენას პარტიების რაოდენობა ქვეყანაში
დემოკრატიის ხარისხზე? 56

თავი 7. სამოქალაქო საზოგადოება 60
რა არის სამოქალაქო საზოგადოება? 60
ვინ შეიძლება ჩავთვალოთ სამოქალაქო
საზოგადოების წევრებად? 62
სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციები..... 64

თავი 8. მასმედიის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში
მედია, როგორც დემოკრატიის გუშაგი 69
როგორ შეცვალა სოციალურმა მედიამ
სამოქალაქო ჩართულობის გაგება? 70

თავი 9. ადამიანის უფლებათა არსი, თვისებები, კლასიფიკაცია..... 75
ადამიანის უფლებათა არსი 77
ადამიანის უფლებათა თვისებები 79
ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია –
ადამიანის უფლებათა დაყოფა თაობებად 80

თავი 10. სამოქალაქო უფლებები 83

თავი 11. პოლიტიკური უფლებები..... 94

**თავი 12. სოციალურ-ეკონომიკური
და კულტურული უფლებები** 104

თავი 13. კოლექტიური (სოლიდარობის) უფლებები 113

**თავი 14. ადამიანის უფლებათა დაცვის
მექანიზმები ეროვნულ დონეზე** 121
საქართველოს სასამართლო სისტემა..... 121
სახალხო დამცველი 124
ქალთა მიმართ ძალადობის ან/და
ოჯახში ძალადობის პრევენცია 128

**თავი 15. ადამიანის უფლებათა დაცვის
საერთაშორისო მექანიზმები** 133
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 134

თავი16. ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტი..... 140

დასკვნა 144

ბიბლიოგრაფია..... 146

რატომ ვსწავლობთ მოქალაქეობას?!

როგორც გამოცდილებამ აჩვენა, დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება მთელი რიგი უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას საჭიროებს, რისი გამოცდილებაც არადემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებს არ აქვთ. ეს უნარ-ჩვევა შეიძლება იყოს სოფლის/მუნიციპალიტეტის საერთო კრებებზე დასწრება, ინიციატივის წამოყენება, პეტიციის შექმნა, ინფორმაციის გამოთხოვა და ა.შ. დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეობა გაცილებით რთულია ვიდრე არადემოკრატიულის, რადგან ის მოქალაქისგან მოითხოვს სხვადასხვა რესურსის – დროის, ძალისხმევის, ფინანსების და ა.შ. გაღებას საკუთარი და თემის მიზნების განსახორციელებლად. აღნიშნული გამოცდილების დაგროვებას ზოგჯერ ათწლეულები სჭირდება. ამ პერიოდს „დემოკრატიაზე გადასვლის პროცესს“ უწოდებენ. გარდამავალ პერიოდში ადამიანები აგროვებენ ცოდნას და რაც მთავარია, სწავლობენ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. სწორედ ამ გზას გადის ახლა საქართველო და მასთან ერთად გავდივართ ჩვენ – საქართველოს მოქალაქეები.

ამ პროცესში მთავარია საქართველოს მოქალაქეებმა გავიაზროთ როგორც სახელმწიფოს როლი და დანიშნულება, ასევე პირადი როლი სახელმწიფოს ფუნქციონირების და საზოგადოების გაძლიერების პროცესში, რადგან **აქტიური სამოქალაქო განწყობების მქონე მოქალაქეები ცვლიან საზოგადოებას, ამზადებენ და აჩქარებენ რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებას, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ მაგალითებშია აღწერილი.**

სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნა წინამძღვრიანთკარში. „გლეხობასა და აზნაურებს, თუმცა ხელთ აქვთ უამრავი სიმდიდრე ბუნებისა, არ შეუძლიათ მითი სარგებლობა იმათ, გარდა წარღვნისდროინდელი საშუალებებისა, არ იციან არავითარი სხვაგვარი მამულისა და ბაღ-ვენახის შემუშავება... არ არის საჩვენებელი ფერმა, სადაც მათ და მათ შვილებს შეეძლოთ ენახათ შეკეთება მიწისა და სამეურნეო იარაღებისა, რომლებიც გაუადვილებენ მამულის მეპატრონეთა მუშაობას“ – წერდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ილია წინამძღვრიშვილი 1883 წელს გაზეთ „დროებაში“. იგი თვლიდა, რომ საზოგადოების განვითარება და გლეხობის გაძლიერება მხოლოდ წერა-კითხვის, სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ცოდნის გავრცელებით იყო შესაძლებელი. ამიტომაც, 1984 წლის 4 თებერვალს საკუთარ მამულში, თავისი ხარჯით დააარსა საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა, ერთგვარი პროფესიული სასწავლებელი, სადაც პირველივე დღეებიდან ისწავლებოდა მევენახეობა, ღვინის დაყენება, მებაღეობა, მებოსტნეობა, საქონლის მოვლა-მოშენება, დურგლობა და ა.შ. ილია წინამძღვრიშვილმა სკოლას გადასცა 55 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა და ტყე, 20 ათასი ლიტრი ტევადობის ღვინის სარდაფი საწნახელით და ქვევრებით, შენობა კლასებისთვის, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, სახელოსნოები და სხვა დამხმარე ნაგებობები. წინამძღვრიშვილი სკოლას ახმარდა თავისი

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებელი,
რომელიც დღესაც მოქმედი კოლეჯია.
(https://akhaliganatleba.ge).

შემოსავლის დიდ ნაწილს, მოგვიანებით ამ პროცესში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც ჩაერთო. გარდა ამისა, ილია საკუთარი რესურსებით ბეჭდავდა საჭირო სახელმძღვანელოებს. მოთხოვნა, რომელსაც ილია წინამძღვრიშვილი აყენებდა, იყო ის, რომ სკოლაში უნდა ესწავლათ მოსწავლეებს განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. რაც მთავარია, ამ სასწავლებელში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც მაშინდელი, მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის გათვალისწინებით, რთული განსახორციელებელი იყო და იაკობ გოგებაშვილის და მისი თანამებრძოლების დიდი ძალისხმევის შედეგად იქნა მიღწეული.

მოცემული შემთხვევა მოქალაქეთა თვითორგანიზების მაგალითს წარმოადგენს, რომელიც კარგად აღწერს პროფესიული განათლების მნიშვნელობას და რაც მთავარია, მიუთითებს, რომ ნებისმიერ განათლების საფეხურზე სწავლა ჰუმანური ღირებულებების ფორმირების კვალდაკვალ უნდა მიმდინარეობდეს. გარდა ამისა, ეს მაგალითი აჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვანია, თვით დამოუკიდებლობის არარსებობის ან/და არადემოკრატიულ სისტემაში ცხოვრების პირობებში, როდესაც სახელმწიფო ვერ ზრუნავს მოქალაქეებზე, თავად მოქალაქეებმა გამოიჩინონ ინიციატივა.

თუ გავაანალიზებთ წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის დაარსების შემთხვევას, შესაძლებელია წინ წამოვწიოთ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დემოკრატიული წესრიგის პირობებში მცხოვრები ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს შეიძლება იყოს განათლების უფლების უზრუნველყოფა, რეალიზაციისათვის თანაბარი შესაძლებლობის შექმნა, ქართული ენის სწავლის ხელშეწყობა. მეტიც, გამოჩენილი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც სწორედ ამ სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო, იხსენებს, რომ მას ქართული ენა არ ეცოდინებოდა, რომ არა ეს სასწავლებელი. და რაც მთავარია, ამ სასწავლებლის

დაარსება შეიძლება განვიხილოთ როგორც დიდი სამოქალაქო აქტივობა, რომელიც თავის თავში მოიცავს ტოლერანტობის, სოლიდარობის, ქველმოქმედების და სხვა მრავალ მაგალითებს.

თუმცა, მხოლოდ ინდივიდუალური აქტივობა არ არის საკმარისი ჩვენ გარშემო არსებული გარემოს შესაცვლელად. ხშირად ამ ცვლილებას მთელი რიგი პროცედურების/შესაძლებლობების შექმნა სჭირდება, რომლებიც წაახალისებენ ჯგუფებს, მთელ საზოგადოებას – გამოიჩინონ ინიციატივა და ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების თუ განხორციელების პროცესში. ყველაზე უკეთ კი ეს დემოკრატიულ სახელმწიფოშია შესაძლებელი, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ მაგალითშია მოცემული.

თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი ვარშავაში. მოქალაქეთა თანამონაწილეობაზე საუბრისას, ხშირად ჩნდება იმედგაცრუების ნაპერწკალი, რომ კომუნიკაცია ყოველთვის არ არის ეფექტური და ხალხის საჭირობებს ნაკლებად ითვალისწინებენ, მაგრამ არსებობენ მთელი რიგი სტრატეგიები, რომლებიც მიზანმიმართულად მოქალაქეთა ეფექტური ჩართულობის წასახალისებლად არიან მიმართულნი. თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების იდეა ბრაზილიაში მე-20 საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა და რამდენიმე წლის შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მთავრობებმა გაიაზრეს ის ფაქტი, რომ მოქალაქეებმა ყველაზე კარგად იციან მათ საცხოვრებელ გარემოში რა სახის პროექტების განხორციელება არის რეკომენდებული, რა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება შეიძლება გახდეს მათთვის ზიანის მომტანი და რა საკითხებია ყველაზე პრიორიტეტული.

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში სამოქალაქო ბიუჯეტის (როგორც მას პოლონეთში უწოდებენ) მომზადების პროცესში, ქალაქის ყველა მცხოვრები იღებს მონაწილეობას, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც კი. ისინი პროექტებს წარუდგენენ ადგილობრივ ხელისუფლებას და ხმის მიცემის გზით არჩევენ მათ შორის საუკეთესოებს. ამასთანავე, პროექტის მომზადებას წინ უძღვის მოსახლეობის ჩართულობის წამახალისებელი დიდი კამპანია. ვარშავის თითოეულ რაიონში, სულ მცირე, ერთი შეხვედრა უნდა გაიმართოს, სადაც მოსახლეობა განიხილავს რაიონის განვითარების პრიორიტეტებს. თითოეულ მაცხოვრებელს შეუძლია ერთზე მეტი პროექტის წარდგენა. პროექტის გაგზავნა შესაძლებელია ელექტრონულადაც. აღსანიშნავია, რომ პროექტების წარდგენის უფლებით არასამთავრობო ორგანიზაციებიც სარგებლობენ. მიღებული პროექტების დამუშავების შემდეგ დგება სია, რომლის მიხედვითაც პროექტებს კენჭი უნდა ეყაროს. პროექტების ავტორები ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს და მოსახლეობას მოუწოდებენ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებისაკენ. პროექტისათვის კენჭისყრა ღიაა და იმართება საოლქო საბჭოს მიერ დანიშნულ პუნქტებში. თითოეულ მაცხოვრებელს ერთი ხმის უფლება აქვს. ხმის მიცემა შესაძლებელია ელექტრონულადაც. კენჭისყრის დასრულებისა და შედეგების შეჯამების შემდეგ გამოცხადდება შერჩეული პროექტების

სია, რომელიც წარედგინება რაიონების ხელმძღვანელობას. მოცემული წლის თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება სრულდება მთლიანი პროცესის შეფასებით.

ეროვნული (საპარლამენტო) ან ადგილობრივი (თვითმმართველობის) არჩევნებისგან განსხვავებით, სადაც პოლიტიკისადმი უნდობლობის მაღალი დონე ფიქსირდება, თანამონაწილეობითი ბიუჯეტი ვარშავაში, ისევე, როგორც პოლონეთის სხვა ქალაქებში, ამომრჩეველთა დიდ ინტერესს იწვევს. დედაქალაქში პირველივე შემთხვევაში მოქალაქეებმა მუნიციპალიტეტს 2200 პროექტი წარუდგინეს, რომელთაგან 1390 ადმინისტრაციის მიერ ხმის მიცემის ეტაპისათვის დამტკიცდა. კენჭისყრის შედეგად კი 18-ივე რაიონში განსახორციელებლად 336 პროექტი შეირჩა. აღნიშნული მაგალითი ნათლად უჩვენებს, რა ძალის მფლობელია მოქალაქეთა გაერთიანება, და რაც მთავარია, რამდენად შეუძლიათ მათ საკუთარი პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა. აღნიშნული მაგალითი მიანიშნებს იმ სიკეთეზე, რასაც დემოკრატიული სახელმწიფო აძლევს საკუთარ მოქალაქეებს. ეს არის ინიციატივების გამოჩენის და მათი რეალიზაციის თავისუფლება, პლურალიზმი და გამჭვირვალობა – ბიუჯეტის შემუშავებისა და განკარგვის პროცესის საჯაროობა.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განწყობა სოლიდარობის გრძნობა და გამოცდილების გაზიარების სურვილია, როდესაც ერთი ინდივიდის მიერ გავლილი გზა სხვათათვის შესაძლოა სამაგალითო ან ერთგვარი ტრამპლინი გახდეს. ამასთანავე, გამოცდილების გაზიარება ის სიკეთეა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას უფრო შეკრულს და თავად სახელმწიფოს უფრო მეტად ეფექტურს გახდის.

ასოციაცია „ანიკას“ ისტორია. ასოციაცია „ანიკა“ 1997 წელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლებმა დააარსეს. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ პატარა ანის დედამ, ირინა ინასარიძემ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილის საბავშვო ბაღში მიყვანა გადაწყვიტა. როგორც მშობელი ჰყვება, შვილის დიაგნოზის გაგების შემდეგ, პირველი წლები ექიმებთან და წამლებთან ერთად გაატარეს. ბავშვმა ბაღის ასაკს საავადმყოფოში მიაღწია. მშობლებმა მოგვიანებით გააცნობიერეს, რომ მოზარდს სოციალიზაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობა სჭირდებოდა და მათ სხვაგვარად უნდა ემოქმედათ. მაშინდელი კანონების გვერდის ავლით, ანი ერთ-ერთ ბაგა-ბაღში მიიყვანეს, რაც მისი განვითარებისათვის ძალიან კარგი აღმოჩნდა. ანიმ ბევრი ლექსი და ბავშვებთან ურთიერთობა ისწავლა, გაუჩნდა ეზოში ჩასვლის და თამაშის სურვილი და სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა, რომ ასეთი შესაძლებლობები სხვა ბავშვებისთვისაც შეექმნათ. მშობლებმა მოახერხეს დაფინანსების მოძიება, შეიძინეს შენობა და შექმნეს ცენტრი, სადაც დღეს 50-ზე მეტი ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს. ამავე ორგანიზაციის დიდი ჩართულობით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით მოხერხდა საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლების დანერგვაც. მშობლების ასეთმა შეუპოვრობამ, მათ შვილებს

უკეთესი განვითარების შესაძლებლობა მისცა რათა შშმ ბავშვები პაციენტებიდან სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებულიყვნენ.

ყველა ზემოთ მოთხრობილი მაგალითი ჩვეულებრივი ყოველდღიურობის ნაწილია და ამავე დროს განსაკუთრებულია. ჩვეულებრივია, რამდენადაც ყოველდღიურმა საჭიროებამ მიიყვანა ადამიანები ამ ნაბიჯის გადადგმისკენ, მაგრამ მათ განსაკუთრებულობას ის განაპირობებს, რომ გაბედეს უარი ეთქვათ არსებული პრაქტიკისთვის და წინა პლანზე საზოგადოებრივი სიკეთე დაეყენებინათ, როგორებიცაა: წინამძღვრიანთკარის სასწავლებელი პირველ შემთხვევაში, ხოლო მეორეში – დღის ცენტრი. სწორედ ასეთი, ჩვეულებრივი და ამავე დროს განსაკუთრებულია მოძრაობა „#სალამის“ შექმნის ისტორია, რომელიც ნაადრევი ქორწინების მანკიერი ტრადიციის აღმოფხვრას ისახავს მიზნად.

სამოქალაქო მოძრაობა „#სალამ“. ჰამიდ სადიკოვი გარდაბნის რაიონის სოფელ თეზექენდის საჯარო სკოლის გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელია. 2019 წელს ის თანასოფლელების გულისწყრომის ობიექტი გახდა, რაც მისმა საჯარო პოზიციამ გამოიწვია. თავის ფეისბუქპოსტში ჰამიდი არასრულწლოვანი გოგონების გათხოვებასა და მოტაცების მანკიერ ტრადიციას აკრიტიკებდა. “ჩემი ერთ-ერთი მოსწავლე მოიტაცეს. დღეს მისი პირველი დღე უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტში. ის ავტობუსის გაჩერებიდან მოიტაცეს... ახლა წყეული ახსაკალები იტყვიან – შერიგდნენ და იცხოვრონ ერთად“, წერდა ის პოსტში, რომელიც სწორედ თანასოფლელების ზეწოლის შედეგად მოგვიანებით წაშალა. ჰამიდს ბოდიშიც მოახდევინეს.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2011-2014 წლებში საქართველოში მე-9 კლასამდე სწავლა 4599-მა გოგომ შეწყვიტა. 2015 წელს 611 არასრულწლოვანი პირის ქორწინება დარეგისტრირდა, 2014 წელს – 665. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2018-2019 წელს დაწყებითი-საბაზო განათლება შეწყვიტა 11-მა გოგომ და 5-მა ბიჭმა, ხოლო საშუალო განათლება – 68 გოგომ და 6-მა ბიჭმა. 2019-2020 წლის 1 სემესტრში დაოჯახების მიზეზით დაწყებითი-საბაზო განათლება შეწყვიტა 1-მა გოგომ და 1-მა ბიჭმა, ხოლო საშუალო განათლება – 25-მა გოგომ და 1-მა ბიჭმა *(ომბუდსმენის ანგარიში. 2020 გვ. 205).* თუმცა, სავარაუდოდ, ეს მონაცემები არაზუსტია და ვითარება კიდევ უფრო დრამატულია, რადგან ქვემო ქართლის მუნიციპალურ ერთეულებში, სადაც ყველაზე ხშირია არასრულწლოვანთა ქორწინება, სკოლის პედაგოგები და დირექტორები არ აწარმოებდნენ სტატისტიკას, თუ რამდენმა მოსწავლემ დაანება თავი სკოლაში სიარულს ოჯახის შექმნის გამო. *(ამირჯანოვა შ. 2019).*

ჰამიდ სადიკოვის – რიგითი მასწავლებლის მხარდასაჭერად, რომელმაც გაბედა და გააკრიტიკა თემში გავრცელებული მანკიერი პრაქტიკა, საზოგადოების დიდი ნაწილი შეიკრიბა. მათ ჰეშთეგით „#სალამ“ ჩაატარეს კამპანია, რომელიც ჰამიდის მხარდაჭერას და ნაადრევი ქორწინების

პრაქტიკის აღმოფხვრის ადვოკატირებას ეწეოდა. სამოქალაქო კამპანიის მესიჯი იყო: „სალამ! ჩვენ მოვედით! ვართ თქვენ წინაშე. მოვდივართ, რომ გავაჟღეროთ ჩვენი თემისა და საზოგადოების საკითხები! მოვდივართ, რომ ვიბრძოლოთ უსამართლობის წინააღმდეგ! მოვდივართ, რომ გავაპროტესტოთ ნაადრევი ქორწინება და გოგოების ძალით მოტაცება! მოვდივართ, რომ მხარი დავუჭიროთ ჩვენს მასწავლებლებს, ექიმებს, მეცნიერებს, ინჟინრებს! მოვდივართ, რომ დავიცვათ ჩვენი კულტურა და ისტორია! ჰამიდ, შენ მარტო არ ხარ! ნუ ეხები მასწავლებელს, სათქმელი თუ გაქვს, მე მითხარი! მე ჰამიდი ვარ, ჩვენც ჰამიდი ვართ!“ – ამბობენ ახალგაზრდები ვიდეომიმართვაში. მათ იციან, რომ ამ ნაბიჯით მანკიერ ტრადიციას ვერ აღმოფხვრიან, მაგრამ ისიც იციან, რომ თუ ერთ გოგოს მაინც გადაარჩენენ სკოლიდან გაყვანისა და ნაადრევი გათხოვებისგან, ესეც ძალიან დიდი მიღწევა იქნება. ჰამიდ სადიკოვი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ 2019 წლის ტოლერანტობის ქომაგებს შორის დაასახელა.

ამ მაგალითებში დემოკრატიის ძირითადი მახასიათებლებია გაბნეული. წინამღძვრიანთკარის სკოლის ამბავი სამოქალაქო ჩართულობის მნიშვნელობაზე გვიყვება. დემოკრატიული პროცესი თანამონაწილეობითი ბიუჯეტირებით, ეფექტური ხელისუფლების, გამიჯნული შტოების, გამჭვირვალობისა და ანგარიშგების, საარჩევნო პროცესში მონაწილეობით და შედეგებზე დათანხმებით არ სრულდება, ის გაცილებით მეტია. ასოციაცია „ანიკას“ წარმატებული ისტორია შესაძლებლობების თანასწორობის, პლურალიზმის, სამართლის უზენაესობის მაგალითია, ხოლო მოძრაობა „#სალამ“ ადამიანის უფლებების დაცვისათვის გაბედული ნაბიჯის მანიფესტია.

კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა არის შესაძლებელი იმის საჩვენებლად, თუ რატომ და როგორ ისწავლება მოქალაქეობა, მაგრამ ამას სახელმძღვანელოს შემდეგ თავებში წარმოგიდგენთ. მანამდე კი შემოგთავაზებთ ინდოელი სამოქალაქო აქტივისტის, „ერის მამად“ აღიარებული მაჰათმა განდის ციტატას, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეთათვის დევიზად შეიძლება იქცეს: „იყავი ის ცვლილება, რომლის დანახვაც გსურს სამყაროში!“

თავი 1. სახელმწიფო და ხელისუფლება

თავისი არსებობის მანძილზე, ადამიანებს უწევდათ გადარჩენისათვის ბრძოლა, რომელიც უკავშირდებოდა, როგორც ბუნებრივი გარემოს წინააღმდეგობების დაძლევას, ასევე თავად, მის მიერ შექმნილი დაბრკოლებების გადალახვას. კაცობრიობის ისტორია, ადამიანებს შორის ალიანსების შექმნის გამოცდილებაცაა, როცა მათ აღმოაჩინეს, რომ შესაძლებელია გარკვეული ქცევის ნორმების შემოღება, რომელიც მათ ცხოვრებას უფრო მოწესრიგებულს, საკუთრებას უფრო დაცულს, შესაბამისად, მათ არსებობას უფრო მეტად უსაფრთხოს გახდიდა. ამ ნორმების დადგენა სახელმწიფოსკენ სვლის პროცესია, როდესაც გამოიკვეთნენ წესების დამდგენნი, აღმასრულებელნი და ასევე ის ადამიანები, რომლებიც ემორჩილებიან მათ და საკუთარი ნებით, საერთო კეთილდღეობის სანაცვლოდ, თმობენ თავისუფლების ნაწილს.

ამბობენ, რომ „სახელმწიფოს საჭიროებას ადამიანები მაშინ გრძნობენ, როდესაც სახელმწიფო არ აქვთ“. სავარაუდოდ, აქ საუბარი ეფექტური სახელმწიფო სისტემის შექმნაზეა, რომელიც დაიცავდა მოქალაქეს და მას პრობლემების წინაშე მარტოს არ დატოვებდა. მოცემული თავი სწორედ სახელმწიფოს საჭიროების, დანიშნულების და ფუნქციების განსაზღვრას ეძღვნება. ეს თავი ასევე გვანახებს, თუ როგორ ყალიბდება სახელმწიფო, როგორ ხდება ის ეფექტური და რა ფუნქციის შესრულება უწევს ამ პროცესში. ამ მასალის გაცნობა საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რა გზის გავლა გვიწევს საქართველოს მოქალაქეებს იმისთვის, რომ ჩავერთოთ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში და მასში სასარგებლო წვლილი შევიტანოთ.

რატომ და როგორ შეიქმნა სახელმწიფო?

კითხვა, თუ რამ აიძულა ადამიანები შეექმნათ სახელმწიფო, რომელიც წარმართავდა და განაპირობებდა მათი ცხოვრების წესს, მოსთხოვდა გადასახადების გადახდას, სამხედრო სამსახურს და ა.შ დიდხანს აწუხებდა ადამიანებს. იმ თეორიებს შორის, რომლებიც ამ კითხვაზე ცდილობენ პასუხის გაცემას (თეოლოგიური, პატრიარქალური, ეკონომიკური, ძალადობის და ა.შ. თეორიები), ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და აღიარებული **„საზოგადოებრივი ხელშეკრულების“** თეორიაა. აღნიშნულ კონცეფციას XVII -XVIII საუკუნეებში ინგლისსა და საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი და მოგვიანებით დიდი მხარდაჭერა ჰპოვა სამეცნიერო წრეებში *(იხ. ჩანართი 1).*

აღნიშნული კონცეფციის მთავარი არსი შემდეგნაირად შეიძლება ავხსნათ – სახელმწიფოს შექმნის გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ე.წ. “ბუნებითი მდგომარეობა”, რომლის მახასიათებელი ნიშნებია:

- აბსოლუტური თავისუფლების პირობებში ყოფნა, როდესაც არ არსებობს არანაირი თამაშის წესი და ადამიანები თავისუფლები არიან პასუხისმგებლობებისაგან;
- ამ წესების და კანონების არარსებობა, გარემოს ძალიან სახიფათოს და არაპროგნოზირებადს ხდის, აიძულებს ადამიანებს ჩაერთონ გადარჩენისათვის ბრძოლაში. ამგვარ პირობებში თავისუფლება ხდება ტვირთი, რომლის ტარება მოითხოვს, რომ იყო სხვაზე ძლიერი, რათა არ წაგერთვას თავისუფლება;
- ამგვარ პირობებში, ადამიანები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა უსაფრთხოების დასაცავად თავისუფლებისათვის გარკვეული ზღვრის დაწესება;
- თავის მხრივ, ამ ზღვრის დაცვა საჭიროებდა შესაბამისი სისტემის შექმნას, რომელიც დააწესებდა და გააკონტროლებდა მას.

ადამიანებმა ერთგვარი "საზოგადოებრივი ხელშეკრულება" დადეს. მათ თავიანთი უფლებები ნაწილობრივ შეზღუდეს და ახალ სისტემას – სახელმწიფოს მისცეს უფლება, ყოფილიყო შეთანხმებული წესების დაცვის გარანტი.

! ცნების განმარტება

ერის კონსოლიდაცია – ერის გაერთიანება, საერთო მიზნის გარშემო, ერთ ერთობად შეკვრა.

ჩანართი 1. „საზოგადოებრივი ხელშეკრულების" თეორეტიკოსები

„საზოგადოებრივი ხელშეკრულების" თეორეტიკოსებს შორის სამი ძირითადი ავტორი მოიაზრება. ესენია: თომას ჰობსი, ჯონ ლოკი და ჟან-ჟაკ რუსო.

***თომას ჰობსი** (1588-1679), ინგლისელი ფილოსოფოსია, რომელიც თვლიდა, რომ ბუნებითი მდგომარეობა, ეს არის „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ", რომლის პირობებში, შეუძლებელია სახელმწიფოში განვითარების მიღწევა. ამ დროს ჩნდება სახელმწიფო, როგორც ბიბლიური ბოროტი ურჩხული „ლევიათანი", რომელიც თავისი მკაცრი ხელის საშუალებით თრგუნავს ბოროტებას და ადამიანებს უსაფრთხო არსებობის საშუალებას აძლევს.*

***ჯონ ლოკი** (1632-1704), ინგლისელი ფილოსოფოსია, რომელიც სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებად ადამიანებს შორის თავისუფლების და თანასწორობის უზუნველყოფას თვლიდა. მისი აზრით, ეს მიღწევადი იყო შეზღუდული მმართველობის განხორციელების პირობებში.*

ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) ფრანგი მოაზროვნეა, რომელიც წინა ორისგან განსხვავებით, სახელმწიფოს უკეთურების სათავედ მიიჩნევდა. რუსოსთვის ადამიანი თავისუფალი და თანასწორი იბადება, მაგრამ სახელმწიფოს პირობებში ირყვნება. სახელმწიფოს არსებობით გამოწვეული სირთულეების გადალახვის საშუალებად მას მოქალაქეთა „საყოველთაო ნების“ გარშემო გაერთიანება მიაჩნდა. ეს ერთგვარად სახელმწიფოს როლის შესუსტების ხარჯზე თვითმმართველობის მიღწევის მცდელობას წარმოადგენდა.

“ბუნებითი მდგომარეობა” წარმოსახვითი ვითარებაა. მას რეალურად არასოდეს უარსებია, მაგრამ როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, მისი ანალოგები მრავლად არსებობდა. მაგალითად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში შეგვიძლია ვეძიოთ, თუ რამდენად დაუცველები არიან ადამიანები სახელმწიფოს არარსებობის ან სისუსტის და მოქალაქეთა აბსოლუტური თავისუფლების პირობებში *(იხ. ჩანართი 2).* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია ეფექტურ და არა „მკაცრ“ სახელმწიფოზე. რეგულაციების სიმკაცრე არ ნიშნავს მოქალაქის დაცულობას. შესაძლებელია სახელმწიფო იმდენად გაძლიერდეს, რომ ადამიანის უფლებას და თავისუფლებას შეექმნას საფრთხე.

ჩანართი 2. სამოქალაქო ომი საქართველოში

1991-1992 წლები საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი რთული პერიოდია. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სახელმწიფოს მესვეურებს უწევდათ შეექმნათ სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი პოლიტიკური ინსტიტუტები, გაეძლიერებინათ საჯარო მოხელეებში თანამდებობის შესაბამისი უნარ-ჩვევები და რაც მთავარია, მოეხდინათ მოქალაქეთა კონსოლიდაცია სახელმწიფოს გარშემო. ეს საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდა. 90-იანი წლები საქართველოს ისტორიაში ჩაიწერა სამხედრო გადატრიალებით, სამოქალაქო ომით, როდესაც საქართველოს მოქალაქეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ტერიტორიული კონფლიქტებით, არაეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტებით, როდესაც საჯარო მოხელეები თავად იყვნენ ჩართულნი კორუფციაში. სოციალურ მეცნიერებებში ასეთ სახელმწიფოებს “არშემდგარ” დემოკრატიებს უწოდებენ. XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს მაგალითი კარგი ილუსტრაციაა სახელმწიფოს წარმოშობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კონცეფციის – ”საზოგადოებრივი ხელშეკრულების” ასახსნელად და „ბუნებითი მდგომარეობის“ საჩვენებლად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს წარმოშობა განაპირობა გარდაუვალმა აუცილებლობამ. სახელმწიფო შეიქმნა მოქალაქეთა თანხმობის საფუძველზე და დაფუძნებულია მოქალაქეთა უფლებების სახელმწიფოსათვის გადაცემის პრინციპზე.

რა არის სახელმწიფოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი?

წინა ქვეთავში ვისაუბრეთ თუ რატომ და როგორ შეიქმნა სახელმწიფო. ამ ქვეთავში განვიხილავთ, რა ნიშნების მატარებელი უნდა იყოს კონკრეტული ერთეული, რომ მას სახელმწიფო ვუწოდოთ. სახელმწიფოს ბევრი განმარტება არსებობს. მათი უმრავლესობა ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია ერთ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ადამიანები, რომელთაც აქვთ გარკვეული ერთობა. მაგრამ, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მხოლოდ ხალხის და ტერიტორიის არსებობა სახელმწიფოდ ქცევისთვის საკმარისი არ არის. ამისათვის მთელი რიგი კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა საჭირო, კერძოდ:

1. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს **საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორია და საზღვრები**. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღიარებს სახელმწიფოთა საზღვრების ურღვეობის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითნებურად, საერთაშორისო თანხმობის გარეშე, სახელმწიფოდან გამოყოფა ან სხვისი ტერიტორიის მიერთება/დაპყრობა დაუშვებელია;
2. სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს **სუვერენიტეტი**, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ნება უზენაესია და ხელშეუვალი, ის საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს და ვერავინ ვერ ჩაერევა მის ქმედებაში. სუვერენიტეტი შესაძლებელია შეიზღუდოს. მაგალითად, საქართველოს სუვერენიტეტი ურყევია, მაგრამ ის ამის განხორციელებას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ამ ეტაპისთვის ვერ ახერხებს, რადგან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სუვერენიტეტი დაფუძნებულია ტერიტორიის ერთიანობის და საზღვრების მთლიანობის პრინციპზე;
3. სახელმწიფოში აუცილებელია **მმართველობითი ორგანოების არსებობა** (რაც მოიცავს ხელისუფლების სამივე: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოების, ასევე მმართველობის ადგილობრივი და საერთო სახელმწიფოებრივი/ცენტრალური დონეების არსებობას). ამით სახელმწიფოში იქმნება სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს სახელმწიფოს და მოქალაქეთა ინტერესების გატარებაზე;
4. სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელია **საგადასახადო სისტემის** არსებობა. საგადასახადო სისტემა მოიცავს: 1. სახელმწიფო ხაზინას, სადაც თავს იყრის სახელმწიფოს ყველა კუთვნილი შემოსავალი; 2. ბიუჯეტს,

სადაც ყოველი წლის დასაწყისში აისახება ყველა პოტენციური შემოსავალი და გასავალი. სწორედ ბიუჯეტის შესრულებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეასრულებს სახელმწიფო თავის ვალდებულებებს;

5. სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულების – **უსაფრთხოების და წესრიგის უზრუნველსაყოფად,** როგორც ქვეყნის შიგნით ასევე, მის საზღვრებზე, სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს ჯარი და პოლიცია. უსაფრთხოების დაცვის ფუნქციები ასევე გადანაწილებულია სხვადასხვა სტრუქტურებზე. ეს შეიძლება იყოს: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ფინანსური პოლიცია, აუდიტის სამსახური და ა.შ.

სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციები უკავშირდება ერის კონსოლიდაციას, მისი კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამ ყველაფრის განხორციელება კი მმართველობითი პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბების საშუალებით ხერხდება.

! ცნების განმარტება

სუვერენიტეტი – სახელმწიფოს სრული დამოუკიდებლობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარების პროცესში.

რა არის ხელისუფლების უმთავრესი დანიშნულება?

რამდენადაც სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების შეთანხმების ნაყოფს, რომელსაც მთელი რიგი ვალდებულებები აქვს აღებული მოქალაქეების წინაშე, მას სამართავად სჭირდება მთელი რიგი სტრუქტურები და შესაბამისად, მასში მომუშავე კვალიფიცირებული ადამიანები. კაცობრიობამ ამ სტრუქტურებში მომუშავეთა შესარჩევი კრიტერიუმების ძიების პროცესში, ძველბერძნული დემოკრატიიდან მოყოლებული დღემდე, დიდი გზა განვლო *(იხ. ჩანართი 3).*

ჩანართი 3. მართვა-გამგეობის სისტემა ძველ საბერძნეთში

დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ უძველეს ფორმას ძველბერძნული ქალაქ-სახელმწიფო, ანუ პოლისი წარმოადგენდა. მმართველობის ამ ფორმის დროს სრულ ძალაუფლებას ხალხი და მათი წარმომადგენლები ფლობდნენ. ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ათენის გამოცდილება, სადაც დემოკრატიამ – „დემოსის“ ანუ ხალხის მმართველობამ, თავის მაღალ ნიშნულს მიაღწია. აქ ხალხის წარმომადგენელი აირჩეოდა პირდაპირი გზით, ხალხის მიერ და რაც მთავარია ძალიან მოკლე ვადით, ისე რომ ყველა მამაკაცს ჰქონოდა ცხოვრებაში ერთხელ მაინც, არჩევის და შესაბამისად, მსახურობის საშუალება (მმართველობით პროცესში ქალები და მონები არ ერთვებოდნენ).

დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა **მმართველთა მთავარი ფუნქციები,** რომლებიც თანამედროვე სახელმწიფოში შემდეგი ფორმით ჩამოყალიბდნენ:

1. ერის ფორმირების ხელშეწყობა: საზოგადოებას ახასიათებს არაერთგვაროვნება, სადაც განსხვავებული ეთნოსები, იდენტობები ხვდებიან ერთმანეთს. ხელისუფლების დანიშნულებაა გაატაროს იმგვარი პოლიტიკური კურსი, რომელიც მათ გაერთიანებას და მათში სახელმწიფოსადმი ლოიალობის გრძნობის გაჩენას შეუწყობს ხელს. ერის ფორმირების მაგალითია საქართველოში ხელისუფლების მიერ გაცხადებული ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის გატარება, რაც მათთვის ქართული ენის სათანადო დონეზე სწავლების და საზოგადოებრივ -პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვის ხელშეწყობას გულისხმობს *(იხ. ჩანართი 4).* აღნიშნული პოლიტიკა, არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების, როგორც საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დაცვას ემსახურება, არამედ უპირველესად სახელმწიფოს გაძლიერებას და მოქალაქეთა კონსოლიდაციას ისახავს მიზნად;

ჩანართი 4. პირადობის მოწმობიდან ეროვნების გრაფის ამოღება

ერის ფორმირების ხელშეწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალ საზოგადოებებში, რომლის მაგალითსაც საქართველო წარმოადგენს, სადაც 70-წლიანი საბჭოთა მმართველობის პირობებში ძირითად წარმართველ პოლიტიკას „საბჭოთა მოქალაქის“ ჩამოყალიბება წარმოადგენდა. შესაბამისად, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება დღემდე დგას გამოწვევის წინაშე, გაატაროს იმგვარი პოლიტიკა, რომელიც შეკრავს, ერთი მხრივ მრავალეთნიკურ, მეორე მხრივ კი დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრების გამოცდილების არმქონე მოქალაქეებს. აღნიშნულის მაგალითია საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გრაფიდან ეროვნების ამოღება. ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო ხელი შეშლოდა ეთნიკურ დაქსაქსულობას და წინ წამოწეულიყო სახელმწიფოს მოქალაქის მნიშვნელობა. საზოგადოების მხრიდან აღნიშნული ინიციატივა არაერთგვაროვნად იქნა შეფასებული. ზოგი მას ეროვნების წართმევის პროცესის ნაწილად აღიქვამდა, ზოგი კი მიესალმებოდა. მაგრამ ფაქტია, საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობებისთვის ეროვნების გრაფა პირადობის მოწმობაში სახელმწიფოსადმი მათი კუთვნილების გრძნობას ასუსტებდა, რაც საქართველოს მოქალაქეების გაერთიანებისათვის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წარმოადგენდა.

2. წესრიგის დაცვა: ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება საზოგადოებაში წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, როგორც საშინაო ასევე, საგარეო საფრთხეებისგან. ამისათვის ჰყავს მას შესაბამისი ორგანოები: საპოლიციო დანაყოფები, ჯარი და ასევე, ფლობს **ლეგიტიმური ძალის გამოყენების უფლებას**. მაგალითად, სახელმწიფოს

შეუძლია დაშალოს საპროტესტო აქცია, თუ მისი მიმდინარეობისას დაირღვევა პროტესტისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონით განსაზღვრული ნორმები. ამ აქციის დასაშლელად მათ შეუძლიათ გამოიყენონ საპოლიციო და სპეციალური დანიშნულების რაზმები, რომელთა მოქმედებებსაც თავის მხრივ აქვთ საზღვრები და მიმართულნი არიან არა დასჯის, არამედ საფრთხის განეიტრალებისკენ;

3. ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა: ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, უზრუნველყოს ამ უფლებათა რეალიზაციისათვის საჭირო რეგულაციების მომზადება და შექმნას მათი ეფექტური აღსრულების მექანიზმები. მაგალითად, განათლების მიღება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებაა, რომელიც გულისხმობს, რომ სახელმწიფოს აქვს ამ განათლების შესაბამისი სერვისების მიწოდების ვალდებულება. მან ასევე უნდა უზრუნველყოს მცირე კონტინგენტიანი სკოლების შენარჩუნება და საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა ტრანსპორტით გადაადგილება. ამასთანავე, ეს ფუნქცია მოიცავს ადამიანის უფლებათა დარღვევისას გასაჩივრების და სამართლიანობის დადგენის შესაბამისი ხერხების უზრუნველყოფის ვალდებულებასაც. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება უმცირესობათა უფლებების დაცვაზე, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა გათანაბრებითი პოლიტიკური კურსის გატარების აუცილებლობას. ეს შეიძლება იყოს ქალთა კვოტირება საპარლამენტო ორგანოში, ასევე, სპეციალური კვოტები სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის;

4. ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა: ხელისუფლებას ძალუძს აირჩიოს, დაგეგმოს და შესაბამისად, წარმართოს ეკონომიკური პოლიტიკური კურსი. თანამედროვე სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, არა მხოლოდ ძლიერი ეკონომიკის ქონა, არამედ მოქალაქეზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც თავის მხრივ მოიცავს სოციალურად გამათანასწორებული პოლიტიკის გატარებას, რომლის პირობებში სახელმწიფომ ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი უნდა დახარჯოს მოქალაქეთა პირობების გაუმჯობესების და მათი ღირსეული ცხოვრების პირობების შესაქმნელად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნებისმიერი ხელისუფლების უმთავრესი დანიშნულებაა იზრუნოს საზოგადოების ერთიანობის გრძნობის ჩამოყალიბება/გაძლიერების, უსაფრთხოების დაცვისა და ადამიანის უფლებების რეალიზაციისათვის შესაბამისი გარემოს შესაქმენლად.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ კონცეფციის შესაბამისად, რამ განაპირობა სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა?
2. სხვა კურსების ფარგლებში გავლილი მასალის გათვალისწინებით, ხომ არ გაგონდებათ პერიოდი, რომელიც შეიძლება “ბუნებითი მდგომარეობის” მახასიათებელ ნიშნებს ატარებდეს?
3. რომელი ძირითადი ნიშნები გააჩნია სახელმწიფოს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია მისი არსებობა? ჩამოთვალეთ სახელმწიფოს ნიშნები და დაასაბუთეთ მათი მნიშვნელობა.
4. რა არის ხელისუფლების მთავარი დანიშნულება?
5. რითი განსხვავდებიან ძველი დემოკრატიები ახალი, თანამედროვე დემოკრატიებისგან?
6. როგორ გესმით „დემოკრატიული გარდაქმნის პროცესი“? (განიხილეთ ის ქართულ კონტექსტში).
7. საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, რა წარმოადგენს ხელისუფლებისთვის მთავარ გამოწვევას თავისი ფუნქციების განხორციელების პროცესში?

თავი 2. კონსტიტუცია და სახელმწიფო

კონსტიტუცია, მისი ყველაზე ზოგადი განმარტებით, სახელმწიფოს მთავარ კანონს წარმოადგენს. კონსტიტუცია ქმნის პოლიტიკური სისტემის სტრუქტურას, განაპირობებს კანონების ბუნებას და ხასიათს. ამასთანავე, ქვეყნის კონსტიტუცია წარმოადგენს ხელისუფლების მბოჭავ და ადამიანის უფლებათა დამცავ მთავარ ინსტრუმენტს. მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მიერ კონსტიტუციის აღქმის და მისადმი შესაბამისი დამოკიდებულების ფორმირების პროცესი, რომელიც გარდამავალ სახელმწიფოში მიმდინარეობს.

მოცემულ თავში განხილულია კონსტიტუციის მიზნები, ფორმები და ის ფუნქციები, რომელთა შესრულება მას აკისრია სახელმწიფოში. ასევე, განვიხილავთ საქართველოში კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებას, რაც განვლილი გზის შეფასების და დაშვებული შეცდომების იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს.

რატომ იქმნება კონსტიტუცია?

ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში კონსტიტუცია წარმოადგენს პოლიტიკური სისტემის ამგებ მთავარ არქიტექტორს. თუმცა, კონსტიტუცია არ არის მხოლოდ „მშრალი“ იურიდიული დოკუმენტი, ის ასევე მოიცავს გარკვეულ ტრადიციებს, ნორმებს, რომლებიც კონკრეტული კულტურებისთვის არის დამახასიათებელი და რომლის საშუალებითაც რეგულირდება ურთიერთობა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის.

კონსტიტუციის მთავარი დანიშნულებაა შებოჭოს ხელისუფლება, დაუწესოს მას მოქმედების ზღვარი და ამით შექმნას საფუძველი ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის მიღწევისთვის. ხელისუფლება ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით არის შეზღუდული. ამ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევის შესაძლებლობა კონსტიტუციით ან/და მასთან შესაბამისობაში მყოფი კანონით უნდა იყოს ნებადართული. ამ დაშვებით, დაინერგა სამართლის უზენაესობის პრინციპი, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ყველა ადამიანი, მიუხედავად მისი წარმოშობისა და სტატუსისა, თანასწორია კანონის წინაშე. ხოლო ეს კანონი თავის მხრივ დაფუძნებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვაზე.

რატომ არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი უმთავრესი?

ზემოთ ვახსენეთ ხელისუფლების ბოჭვის პრინციპი, რაც დაკავშირებულია ხელისუფლების დანაწილების იდეასთან, რომელიც ფრანგ განმანათლებელ შარლ ლუი მონტესკიეს (1689-1755) ეკუთვნის. ის მიიჩნევდა, რომ

მთავრობას შეუძლია მოიპოვოს უკონტროლო ძალაუფლება, რაც საზოგადოებისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომაც, ხელისუფლების ფორმირებისას მისი მოწესრიგება იმგვარად არის საჭირო, რომ ფუნქციები სხვადასხვა შტოებს შორის გადანაწილდეს და გარდა ამისა, შტოებს ურთიერთკონტროლის მექანიზმიც მიეცეთ. ამასთანავე, ამ გადანაწილებას უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული სახე, რომ არ გაიფანტოს ფუნქციები ინსტიტუციებს შორის და ამით არ დაკარგოს ეფექტურობა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მონტესკიემ გამოყო სამი ძირითადი შტო. ესენია:

აღმასრულებელი ხელისუფლება – მთავრობა, პრეზიდენტი
(ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს)

საკანონმდებლო ხელისუფლება – პარლამენტი
(ეწევა კანონშემოქმედებით საქმიანობას)

სასამართლო ხელისუფლება – წარმოდგენილია სხვადასხვა სასამართლო ინსტანციის სახით
(ადგენს მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობის საკითხს)

მონტესკიე მიიჩნევდა, რომ შესაძლებელია ძალაუფლების ამ შტოებს შორის იმგვარი გადანაწილება, რომ მათ ერთმანეთი გააკონტროლონ და დაბალანსონ, ამასთანავე ერთმანეთის გარეშე ფუნქციონირება ვერ შეძლონ. მაგალითად, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება მიიღებს უკანონო გადაწყვეტილებას და გადაამეტებს ძალაუფლებას, საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია მას იმპიჩმენტი გამოუცხადოს *(იხ. ჩანართი 5).*

თუ პარლამენტი ვერ შეასრულებს თავის უფლებამოსილებას, მთავრობას შეუძლია მისი დათხოვნა, თავის მხრივ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რამდენად სამართლიანი და კონსტიტუციასთან შესაბამისია პარლამენტის ან მთავრობის დადგენილება. ხოლო საკანონმდებლო ორგანო და აღმასრულებელი ხელისუფლება ჩართულნი არიან სასამართლოს წევრთა დანიშვნის პროცესში. ეს ყველაფერი შესაძლებელს ხდის, რომ სახელმწიფოში პოლიტიკური სისტემა "კანონის მმართველობის" პრინციპზე აიგოს.

ჩანართი 5. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული იმპიჩმენტის და უნდობლობის გამოცხადების პროცედურა

მუხლი 48. იმპიჩმენტი.

„1. კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში.

2. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

3. საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. მთავრობის წევრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გენერალური პროკურორი, გენერალური აუდიტორი ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.“

მუხლი 57. უნდობლობის გამოცხადება.

„1. პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

2. უნდობლობის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტს. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად ინიციატორები წამოაყენებენ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, ხოლო პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი პარლამენტს წარუდგენს მთავრობის ახალ შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა.

3. თუ პარლამენტი საკითხის აღძვრიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 დღისა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს ახალ მთავრობას, უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება. ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშვნიდან 2 დღის ვადაში − მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. მთავრობას უფლებამოსილება უწყდება ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის მომენტიდან.

4. თუ პარლამენტი უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ არ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, დაუშვებელია პარლამენტის იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრა.“

სახელისუფლებო შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილების პრინციპი, დღესდღეობით, დემოკრატიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბაზისად არის აღიარებული და ის საშუალებას იძლევა, ხელი შეუშალოს ძალაუფლების იმგვარად თავმოყრას, რომ ის მოქალაქეთათვის საფრთხის მომტანი აღმოჩნდეს.

კონსტიტუციის უმთავრესი მახასიათებლები

კონსტიტუციას, როგორც ქვეყნის მთავარ კანონს, ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები, რომლებიც მთლიანობაში ზეგავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორი იქნება ქვეყნის საკანონმდებლო კლიმატი. კონსტიტუციის უმთავრესი მახასიათებლებია: **კონსტიტუცია უზენაესი დოკუმენტია,** რაც იმას ნიშნავს, რომ ის ყველა ნორმატიულ დოკუმენტზე მაღლა დგას და წარმოადგენს სამართლებრივ წყაროს ნებისმიერი კანონისათვის. ის ასევე განსაზღვრავს ყველა სახელისუფლებო შტოს ვალდებულებას; **კონსტიტუციას აქვს ფუძემდებლური ბუნება,** რაც ნიშნავს იმას, რომ ის მიიღება ხალხის სახელით და წარმოადგენს სახალხო სუვერენიტეტის მატარებელ დოკუმენტს. საქართველოს შემთხვევაში ეს გაწერილია კონსტიტუციის პრეამბულაში, სადაც კონსტიტუციის გამომცხადებლად საქართველოს მოქალაქეები არიან წარმოდგენილნი *(იხ. ჩანართი 6).*

ჩანართი 6. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა

„ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას.“

კონსტიტუციის მიღების და მასში ცვლილებების შეტანის გზა უნდა იყოს ლეგიტიმური. რაც გულისხმობს, რომ ის უნდა შემუშავდეს კანონის სრულ მოთხოვნათა დაცვით, რომელიც თავად კონსტიტუციაშია გაწერილი. კონსტიტუციის მიღების განსხვავებული გზები არსებობს: ეს შეიძლება იყოს პარლამენტის მიერ მიღებული (საქართველო), რეფერენდუმის გზით მიღებული (ავსტრალია) და „ბოძებული“ (ოქტროირებული) (დიდი ბრიტანეთის მიერ ინდოეთის, როგორც კოლონიისთვის ბოძება) კონსტიტუცია. *(ბოროუსი გ. რუხაძე ზ. კვაჭაძე მ. გაფრინდაშვილი ლ. იზორია ლ. 2011).*

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, თუ რა სირთულეების დაძლევაა საჭირო იმისთვის, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდეს. ამის მიხედვით განასხვავებენ „**მოქნილ**“ და „**მყარ**“ კონტიტუციებს. მოქნილია კონსტიტუცია, თუ მასში ცვლილებების შეტანა მარტივია, ხოლო მყარია, თუ ცვლილებების შესატანად დიდი და რთული პროცედურების გავლაა საჭირო. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში, რომელიც განეკუთვნება მყარ კონსტიტუციათა რიცხვს, კონსტიტუციის მე-5 მუხლში გაწერილია გადასინჯვის პროცედურა, რომლის თანახმადაც: “თუ ორივე

პალატის წევრთა ორი მესამედი დათანხმდება, კონგრესმა უნდა წარმოადგინოს კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტი, ან მან ცალკეული შტატების საკანონმდებლო დაწესებულებების ორი მესამედის მოთხოვნით უნდა მოიწვიოს კონვენტი შესწორებათა განსახილველად, რომლებსაც, ორივე შემთხვევაში, არსებითად ძალა ექნება და განიხილება ამ კონსტიტუციის ნაწილად, როდესაც ისინი რატიფიცირებული იქნება ცალკეული შტატების საკანონმდებლო დაწესებულებების სამი მეოთხედის მიერ, ან კონვენტზე შეკრებილთა სამი მეოთხედის მიერ". საქართველოს კონსტიტუციაც „მყარი" კონსტიტუციების რიგს განეკუთვნება *(იხ. ჩანართი 7).*

ჩანართი 7. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის პროცედურა

მუხლი 77. კონსტიტუციის გადასინჯვის წესი.

„1. კონსტიტუცია გადაისინჯება კონსტიტუციური კანონით, რომლის პროექტის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს ან არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციური კანონის პროექტი წარედგინება პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა მომდევნო მოწვევის პარლამენტის მიერ ერთი მოსმენით განხილვიდან და სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მიერ მისი უცვლელად დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში.

4. კონსტიტუციური კანონი საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილ ვადაში, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედი.

5. კონსტიტუციური კანონი, რომელიც უკავშირდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით და საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეცემა კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

6. კონსტიტუციურ კანონს კონსტიტუციის 46-ე მუხლით დადგენილი წესით ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

7. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა შეჩერდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე."

კონსტიტუციები ასევე განსხვავდებიან ფორმით. არსებობს **დაწერილი** და **დაუწერელი** ანუ **კოდიფიცირებული** და **არაკოდიფიცირებული** კონსტიტუციები. კოდიფიცირებულია კონსტიტუცია, როდესაც მას წერილობითი ფორმა აქვს. მსოფლიოში კონსტიტუციათა უმრავლესობა კოდიფიცირებულია (მათ შორის საქართველოს კონსტიტუცია). ხოლო არაკოდიფიცირებულია კონსტიტუცია, რომელსაც წერილობითი ფორმა არ აქვს და მის ფუნქციას სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტები ასრულებენ. არკოდიფიცირებული კონსტიტუციების მაგალითებია დიდი ბრიტანეთის და ისრაელის შემთხვევები.

! ცნების განმარტება

რეფერენდუმი

„1. რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად;

2. რეფერენდუმი ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ორგანული კანონით ,,რეფერენდუმის შესახებ“;

3. რეფერენდუმი იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

4. რეფერენდუმი მზადდება და იმართება ღიად და საჯაროდ. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით.“ (*CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი*).

დიდი ბრიტანეთის შემთხვევა გამორჩეულია, რამდენადაც, მართალია მას არ აქვს ერთიანი გაწერილი დოკუმენტი, მაგრამ აქვს სამართლებრივი აქტების უდიდესი ტრადიცია, მაგალითად „თავისუფლების დიდი ქარტია“, რომლითაც შეიზღუდა მეფის ძალაუფლება. ასევე, მე-17 საუკუნეში მიღებული „ჰაბეას კორპუს აქტი“, რომელმაც შემოიღო უდანაშაულობის პრეზუმფცია, ან „ბილი უფლებათა შესახებ“, რომელმაც ადამიანის უფლებათა გააზრება გაცილებით მაღალ დონეზე აიყვანა *(იხ. ჩანართი 8).* გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთის სამართლებრივი სისტემა დაფუძნებულია პრეცედენტულ სამართალზე, რომელიც სამართალწარმოების პროცესში კონკრეტული შემთხვევების განხილვისას არსებულ ვითარებას ითვალისწინებს, რაც საკმაოდ რთული პროცესია და ყოველი საქმის განხილვისას დოკუმენტების ინტერპრეტირებისათვის დიდ ასპარეზს ტოვებს.

ჩანართი 8. „თავისუფლების დიდი ქარტია“

„თავისუფლების დიდი ქარტია“ 1215 წელს ინგლისში გამოიცა და მეფის ხელისუფლების შეზღუდვას და პარლამენტარიზმის იდეას დაედო საფუძვლად. ამ დოკუმენტის შექმნას წინ უძღოდა ინგლისელ ბარონთა აჯანყება მეფე ჯონ უმიწაწყლოს წინააღმდეგ. აჯანყებული ბარონები გამოთქვამდნენ პრეტენზიებს, რადგან ვერ აუდიოდნენ მეფის გაზრდილი გადასახადების გადახდას. ბარონებმა აიძულეს მეფე, ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმადაც, მეფეს უფლებათა ნაწილი უნდა დაეთმო და რაც მთავარია, ეღიარებინა მეფის კანონით შეზღუდულობის პრინციპი. „თავისუფლების დიდი ქარტიით“, რომელიც ასევე “მაგნა ქარტას” სახელწოდებით არის ცნობილი, სასამართლოს მიენიჭა დამოუკიდებლობა, აღიარებულ იქნა მიწის მესაკუთრეთა უფლება, გადაადგილების თავისუფლება, მემკვიდრეობის უფლებები. ეს დოკუმენტი დიდი ბრიტანეთის მმართველობის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია და მსოფლიოში პირველ საკონსტიტუციო აქტად განიხილება.

კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება საქართველოში

საქართველოს საკმაოდ ხანგრძლივი კონსტიტუციური აზროვნების ისტორია აქვს, რასაც არაერთი ისტორიული დოკუმენტის არსებობა ადასტურებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელიც აღწერს გიორგი ბრწყინვალის სამეფო კარის სტრუქტურას და ეტიკეტს. ასევე, მნიშვნელოვანი ძეგლია „დასტურლამალი“, რომელიც ვახტანგ VI-ს სამეფო კარზე მართვა-გამგეობის წესს აწესრიგებდა. ეს ძეგლები უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია და ისინი საუკუნეების განმავლობაში საქართველოში იურიდიული აზროვნებისა და მართვა-გამგეობის მოწესრიგების მნიშვნელოვანი ტრადიციების არსებობაზე მიუთითებენ.

საქართველომ პირველი წერილობითი კონსტიტუცია – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1921 წლის თებერვალში მიიღო. სამწუხაროდ, საბჭოთა ოკუპაციის გამო, მას არ დასცალდა დიდხანს ფუნქციონირება, მაგრამ თავად კონსტიტუციის ქონის ფაქტი, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაანალიზებისას. ამასთანავე, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, იმ პერიოდის მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე იყო, იმ თვალსაზრისით, რომ ის იზიარებდა და აღიარებდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უზენაესობის პრინციპს. კონსტიტუციის მიღებას წინ უძღოდა მოქალაქეთა ფართო ფენების ჩართულობის უმნიშვნელოვანესი პროცესი – მაშინ მოქმედი საკონსტიტუციო კომისია მაქსიმალურად ცდილობდა ეთნიკური უმცირესობების ინტერესების ასახვას ქვეყნის მთავარ დოკუმენტში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, საქართველომ რამდენიმე კონსტიტუცია გამოიარა, თუმცა, ყველა მათგანს ფიქტიური სახე ჰქონდა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა თვითონ განსაზღვრავდა, თუ რა უნდა ყოფილიყო კანონიერი ან უკანონო. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ახალი კონსტიტუცია 1995 წელს იქნა მიღებული, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები 2004, 2010, 2017 და 2020 წლებში განიცადა და დღესდღეობით, თავდაპირველი დოკუმენტისგან საკმაოდ განსხვავებული ფორმით ფუნქციონირებს. 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოში დამკვიდრდა საპრეზიდენტო მმართველობის მოდელი. პრეზიდენტი პირდაპირი წესით აირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია დაფუძნებული იყო ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპზე, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში, რომლის მეთაურსაც პრეზიდენტი წარმოადგენდა, აღმოჩნდა მთელი ძალაუფლება, რაც თავის მხრივ სისტემის დემოკრატიულობაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა.

2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შედეგია, როდესაც ახალმა, რევოლუციურმა მთავრობამ დაპირებული რეფორმების სწრაფად განხორციელების დათქმით ჩაასწორა კონსტიტუცია. შედეგად, ერთი მხრივ, გაჩნდა პრემიერ-მინისტრის პოსტი, გაძლიერდა პრეზიდენტის ინსტიტუტი, მაგრამ მეორე მხრივ დასუსტდა პარლამენტის გავლენა და შესაძლებლობები.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებით, რომელიც სრულად 2013 წელს შევიდა ძალაში, მანამდე არსებული ე.წ. "სუპერსაპრეზიდენტო" მოდელიდან საქართველო გადავიდა საპარლამენტო მმართველობის მოდელზე. სუსტი პრეზიდენტით და გაძლიერებული პარლამენტის პირობებში აღმასრულებელ ხელისუფლებას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი 2018 წელს არჩეულია საერთო სახალხო კენჭისყრით. 2017 წლის ცვლილებით, 2024 წლიდან საქართველო სრულად საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადავა და პრეზიდენტს არა პირდაპირ საქართველოს მოსახლეობა, არამედ 300 წევრისგან შემდგარი საარჩევნო კოლეგია აირჩევს 5 წლის ვადით. ერთსა და იმავე პირს, ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეუძლია პრეზიდენტად გახდომა.

2020 წელს არჩეული და მოქმედი პარლამენტი შედგება 150 წევრისგან. აქედან 30 მაჟორიტარი, ხოლო, 120 პროპორციული სიით არჩეული დეპუტატია. 2024 წლიდან საქართველო სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავა. შესაბამისად, ამომრჩევლები პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების შედეგად, 4 წლის ვადით და მხოლოდ პროპორციული სისტემით, აირჩევენ საქართველოს პარლამენტის 150 დეპუტატს.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებები შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

საქართველოს პრეზიდენტი

„1. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.

2. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

3. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.“ *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 49. საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი).*

საქართველოს პარლამენტი

„1. საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.“ *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 36. პარლამენტის სტატუსი და უფლებამოსილება).*

საქართველოს მთავრობა

„1. საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

2. მთავრობა ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

3. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან...“ *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 54. მთავრობა).*

სასამართლო ხელისუფლება

„1. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები.

2. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. სპეციალიზებული სასამართლოები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია. საერთო სასამართლოებში საქმეებს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. საერთო სასამართლოების სისტემა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.“ *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 59. სასამართლო ხელისუფლება).*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს, მართალია, არცთუ ისე ხანგრძლივი კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება აქვს, მაგრამ განვლილი პროცესები წარმოადგენდნენ მცდელობას შექმნილიყო იმგვარი სისტემა, რომელიც მაქსიმალურად გამიჯნავდა ხელისუფლების შტოებს და ძალაუფლების კონცენტრაციას შეუშლიდა ხელს. 70-წლიანმა საბჭოთა ოკუპაციამ დამოუკიდებლობის ეს მცირე გამოცდილება ეროვნული მეხსიერებიდან წაშალა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სახელმწიფოს ამ გზის გავლა ახლიდან უწევს, რაც საჭიროებს, როგორც ქვეყნის კონსტიტუციის საბოლოო სახით ფორმირებას, ასევე, მოქალაქეების მიერ მის აღიარებას და ცხოვრების მთავარ სამოქმედო წესად ქცევას.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. რა არის კონსტიტუციის უმთავრესი დანიშნულება?
2. რას გულისხმობს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი?
3. რამდენად დაბალანსებულები არიან საქართველოში სახელისუფლებო შტოები?
4. კონსტიტუციის რომელ თვისებებს გამოყოფდით? (გააანალიზეთ თითოეული მათგანი საქართველოს კონტექსტში).
5. როგორია საქართველოში კონსტიტუციონალური აზროვნების გამოცდილება და რომელ მნიშვნელოვან ეტაპებს გამოყოფდით?
6. როგორ არის საქართველოს კონსტიტუციით გადანაწილებული უფლებამოსილება სახელისუფლებო შტოებს შორის?

თავი 3. ხელისუფლების არსი და ბუნება

წინა თავში განვიხილეთ კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოში პოლიტიკური სისტემის მთავარი მაკონსტრუირებელი დოკუმენტი, ამ თავში კი ხელისუფლების უმთავრეს მახასიათებლებს შევეხებით.

პოლიტიკური სისტემის აგება გულისხმობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის განსაზღვრას. კერძოდ, ვინ იღებს გადაწყვეტილებას ქვეყანაში, როგორ იღებენ გადაწყვეტილებას, ვის აქვს ამ პროცესში ჩართვის საშუალება, ასევე, თუ როგორ არის გადანაწილებული სუვერენიტეტი და ხელისუფლების ორგანოები ქვეყნის ტერიტორიაზე. ყველა ეს ფაქტორი განაპირობებს თუ როგორ იქნება მოქალაქე აღქმული, რა შესაძლებლობები ექნება მას და რამდენად შეძლებს არსებული შესაძლებლობების გამოყენებას. აღნიშნული საკითხების ცოდნა საქართველოს მოქალაქისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ამით ის გახსნის იმ მნიშვნელოვან შესაძლებლობათა ფანჯარას, რასაც მას აქტიური მოქალაქეობა აძლევს.

ხელისუფლების დანაწილების ფორმები

სახელმწიფოში ხელისუფლების სტრუქტურის ანალიზისას ერთ-ერთი უპირველესი საკითხია გავარკვიოთ დანაწილების პრინციპის მთავარი მახასიათებლები: როგორ არის განაწილებული ხელისუფლება; არის თუ არა ის განაწილებული შტოებს შორის; როგორია ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთმიმართება; როგორია მოსახლეობის ჩართულობის შესაძლებლობა და რაც მთავარია როგორ ფორმირდება ხელისუფლების ორგანოები. ამ პრინციპების გათვალისწინებით, შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ორი ძირითადი მმართველობის ფორმა, ესენია **მონარქია** და **რესპუბლიკა**.

მონარქიულია მმართველობის ფორმა თუ უმაღლესი ხელისუფლება ერთი პირის, მონარქის ხელშია თავმოყრილი და ის საკუთარი ნების შესაბამისად წარმართავს მმართველობით პროცესს. მონარქიულმა მმართველობის ფორმამ, საუკუნეების განმავლობაში დიდი ტრანსფორმაცია განიცადა. ისტორიულად ყველაზე გავრცელებული ფორმა **აბსოლუტური მონარქია** იყო. აბსოლუტური, ან შეუზღუდავია მონარქია თუ მთელი ხელისუფლება ერთი პირის ხელშია თავმოყრილი. ის თავად გამოსცემს კანონებს, და თავადვე აღასრულებს მათ. ამ დროს ხელისუფლება არაფრით არ არის შეზღუდული. აბსოლუტური მონარქის მაგალითი საქართველოს ისტორიაში დავით აღმაშენებელია, რომელიც ფლობდა აბსოლუტურ ძალაუფლებას და თავად ახორციელებდა კონტროლს როგორც საერო, ასევე, სასულიერო მიმართულებით. თანამედროვეობაში აბსოლუტური მონარქიის შემთხვევები შემორჩენილია არაბულ სამყაროში, მაგალითად საუდის არაბეთში, ბრუნეიში, ომანსა და ყატარში. ამასთან, ბრუნეი და საუდის არაბეთი აბსოლუტური თეოკრატიული მონარქიული ქვეყნებია, სადაც სახელმწიფოს მეთაური რელიგიური ლიდერია.

! ცნების განმარტება

აბსოლუტიზმი – ამ სახელწოდებით ხშირად მოიხსენიებენ საფრანგეთში ლუი XIV-ს (1643-1715) "მეფე მზის" მმართველობის პერიოდს. მან თავისი მმართველობის 54-წლიანი პერიოდის განმავლობაში, თავისი თავი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემის ცენტრად გამოაცხადა. ამას მოწმობს მისი ცნობილი დევიზი "სახელმწიფო – ეს მე ვარ!" აბსოლუტიზმის ფრანგული მოდელი მისაბაძ მაგალითად იქცა XVII-XVIII საუკუნის ევროპის მონარქიებში.

თანამედროვე მონარქიებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა **შეზღუდული მონარქიაა**, სადაც მონარქის ძალაუფლება არჩევითი ორგანოების მიერ არის შეზღუდული. შეზღუდული მონარქიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა **კონსტიტუციური მონარქია.** ამ დროს ხელისუფლება შეზღუდულია როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ორგანოებით. ამ ფორმით მმართველობისას, როგორც წესი, მონარქი მონაწილეობს მთავრობის ფორმირების პროცესში, მაგრამ მთავრობა პასუხისმგებელია არა მონარქის, არამედ პარლამენტის წინაშე. მონარქის მიერ აქტის მიღების შემთხვევაში საჭიროა ე.წ. კონტრასიგნაციის გამოყენება, რაც ნიშნავს გადაწყვეტილების შესაბამისი დარგის მინისტრის მიერ ვიზირების აუცილებლობას. მონარქი რეალურად ასრულებს რიტუალურ ფუნქციას და ხშირ შემთხვევაში ის ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენს. კონსტიტუციური მონარქიის პირობებში ხელისუფლების შტოები გამიჯნულია. კონსტიტუციური მონარქიული ქვეყნები ძირითადად ევროპის კონტინენტზეა: დიდი ბრიტანეთი, ანდორა, ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, ესპანეთი, შვედეთი. აზიის ქვეყნებიდან კონსტიტუციური მონარქიებია: ბუტანში, კამბოჯაში, იაპონიასა და ტაილანდში.

რესპუბლიკურია მმართველობის ფორმა, როდესაც მმართველობა დანაწილებულია შტოებს შორის და ხელისუფლების ორგანოები აირჩევიან გარკვეული ვადით. მმართველობის ამ ფორმის პირობებში ხელისუფლების წყაროა ხალხი და ის არჩევნების გზით გადასცემს მართვის მანდატს არჩეულ პირებს. რესპუბლიკური მმართველობის პირობებში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მმართველთა ლეგიტიმურობა, რომელიც, როგორც წესი, მიიღწევა მმართველობის პროცესში ხალხის პირდაპირი, ან წარმომადგენლობის ფორმით მონაწილეობით.

! ცნების განმარტება

ლეგიტიმურობა – მმართველობის ამა თუ იმ სისტემის მიერ შემოღებული კანონიერების დამკვიდრებისა და აღსრულების ისეთი ფორმა, რომელიც მისაღებია მოცემული ქვეყნის მოქალაქეებისათვის. *(www.Dictionary.css.ge).*

იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის გადანაწილებული ფუნქციები შტოებს შორის, რესპუბლიკური მმართველობის პირობებში არსებობს **საპრეზიდენტო**, **საპარლამენტო** და **შერეული** ფორმები.

საპრეზიდენტო რესპუბლიკა

საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში ცალ-ცალკე ყალიბდება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება და ისინი ერთად, შეთანხმებით ქმნიან სასამართლო ხელისუფლებას. **პრეზიდენტი არის როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მეთაური, ასევე, უმაღლესი მთავარსარდალი.** მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის მმართველობა არ არის აბსოლუტური, ის შეზღუდული და დაბალანსებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს საპრეზიდენტო რესპუბლიკის ერთ-ერთ პირველ და კლასიკურ მაგალითს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ქვეყნის მთავარსარდალია, ომის გამოცხადების საკითხს ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანო – კონგრესი წყვეტს. ასევე, კონგრესს შეუძლია წამოიწყოს პრეზიდენტის გადაყენების, ანუ "იმპიჩმენტის" პროცედურა, იმ შემთხვევაში თუ კონგრესი პრეზიდენტს არაკანონიერ ქცევაში ამხელს *(იხ. ჩანართი 9)*.

ჩანართი 9. უოტერგეიტის სკანდალი

უოტერგეიტის სკანდალი ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული პოლიტიკური სკანდალია, რომელიც პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის გადადგომით დასრულდა. სკანდალი 1972 წელს დაიწყო, როდესაც ვაშინგტონში უოტერგეიტის კომპლექსში დემოკრატიული კომიტეტის შტაბ-ბინაში შეჭრისთვის ხუთი ადამიანი დააპატიმრეს. გამოძიების თანახმად ეს შეჭრა იმ მრავალი არალეგალური საქმიანობის ნაწილი იყო, რომელსაც პრეზიდენტ ნიქსონის შტაბის თანამშრომლები ეწეოდნენ. ეს საქმეები მოიცავდა საარჩევნო კამპანიის პროცესში კანონდარღვევებს, არალეგალურ შეღწევებს, არალეგალურ მოსმენებს და ა.შ. ორწლიან გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ პრეზიდენტ ნიქსონს ხმის ჩამწერი სისტემა ჰქონდა თეთრ სახლში, საკუთარ ოფისში, რითაც ის შეხვედრებს იწერდა. ამ ჩანაწერებიდან გამოირკვა, რომ ის პირადად მონაწილეობდა აღნიშნულ შეჭრასთან დაკავშირებულ გარემოებებში სიმართლის დამალვაში. სასამართლომ პრეზიდენტს მოსთხოვა ჩანაწერების გადაცემა და ის იძულებული გახდა ისინი გამოეაშკარავებინა. გარდაუვალი იმპიჩმენტის და დაპატიმრების საფრთხის წინაშე დამდგარი პრეზიდენტი გადადგა თანამდებობიდან. მისმა შემცვლელმა ფორდმა შეიწყალა ნიქსონი ნებისმიერი ფედერალური კანონდარღვევისთვის, რომელიც კი მას ჩადენილი შეიძლება ჰქონოდა პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას. ამ შეწყალების სამართლიანობის საკითხი დღემდე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. (Britannica.com. 2020).

ლათინური ამერიკის რესპუბლიკებში პრეზიდენტი თავისუფალია ადმინისტრაციის წევრების დანიშვნისა და განთავისუფლების პროცესში, თუმცა, არსებობს საპრეზიდენტო კაბინეტის ცალკეული წევრების პარლამენტის მიმართ პასუხისმგებლობის არსებობის შემთხვევებიც (ურუგვაი, კოსტა-რიკა).

1995 წლიდან 2013 წლამდე საქართველოს მმართველობის ფორმას წარმოადგენდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა.

საპრეზიდენტო სისტემის ძლიერი მხარეა:

- აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება გამიჯნულია და ერთმანეთს აკონტროლებენ;
- პრეზიდენტის ინსტიტუტი უფრო სტაბილურია, ვიდრე პრემიერ-მინისტრის, რადგან საპრეზიდენტო ხელისუფლება არ არის პირდაპირ დამოკიდებული პრეზიდენტის მომხრე და მოწინააღმდეგე პარტიების ადგილების რაოდენობაზე პარლამენტში.

საპრეზიდენტო სისტემის სუსტი მხარეა:

- არაპოპულარული პრეზიდენტის შეცვლა საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე ძალიან ძნელია;
- რთულია კონსესუსის მიღწევა, როდესაც პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა განსხვავებულ პარტიებს წარმოადგენენ;
- პრეზიდენტის ანგარიშვალდებულების ნაკლები ხარისხი, ერთპიროვნული გადაწყვეტილება ზოგიერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხზე;
- პრეზიდენტის ძალაუფლების გაძლიერებამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას დემოკრატიულ მმართველობას.

საპარლამენტო რესპუბლიკა

საპარლამენტო მმართველობის პირობებში, მართვის სადავეები პარლამენტის ხელშია თავმოყრილი. ის აყალიბებს მთავრობას და ჩართულია პრეზიდენტის არჩევის პროცესში. როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი და სასამართლო შტოების საქმიანობა მისი შეხედულებისამებრ წარიმართება. **საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი არა მთავრობის, არამედ სახელმწიფოს მეთაურია.**

მთავრობას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი ჰქვია. ყველაზე გავრცელებული სახელებია: მინისტრთა კაბინეტი, კაბინეტი, მინისტრთა საბჭო, მაგრამ ასევე გვხვდება: სახელმწიფო საბჭო (ჩინეთი), ფედერალური მთავრობა (გერმანია), მთავრობა (ჩეხეთი). ქვეყნების ნაწილში (ამერიკის შეერთებული შტატები, ბრაზილია, მექსიკა) მსგავსი კოლეგიალური ორგანო არ არსებობს არც ფედერალურ და არც ადგილობრივ დონეზე. თითოეული მინისტრი ექვემდებარება უშუალოდ პრეზიდენტს,

ხოლო შტატებში – გუბერნატორს. მთავრობის შემადგენლობაში შედის მთავრობის ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრი, რომელიც შესაძლოა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად მოიხსენიებოდეს: სახელმწიფო საბჭოს პრემიერად ჩინეთში, მინისტრთა თავმჯდომარედ ბულგარეთში, სახელმწიფო მინისტრად შვედეთში. **პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მინისტრებს**.

საპარლამენტო მმართველობა არ არსებობს ერთგვაროვანი ფორმით და პრაქტიკაში მისი რეალიზება ორი – **ბრიტანული** და **გერმანული** მოდელების შესაბამისად გვხვდება. დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო მმართველობის მოდელს „ვესტმინსტერის მოდელს“ ან „საპარლამენტო დიქტატურასაც“ უწოდებენ, რაც შემდეგი ფაქტორებით არის განპირობებული: დიდი ბრიტანეთი წარმოადგენს კონსტიტუციურ მონარქიას და აქ მონარქი რეალურად პარლამენტის მიღებულ გადაწყვეტილებებს ემორჩილება. პარლამენტი აყალიბებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და თავადვე წარმართავს სასამართლო ხელისუფლებას. ბრიტანული მაგალითის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ტრადიციულად, სასამართლო ხელისუფლებას პარლამენტის ზედა – ლორთა პალატა ითავსებდა, თუმცა, უკვე დაიწყო სასამართლო ხელისუფლების რეფორმირების და ცალკე ნაწილად გამოყოფის პროცესი. გერმანული საპარლამენტო მმართველობის მოდელი ბრიტანულისგან დიდად განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ აქაც ძალაუფლება პარლამენტის ხელშია თავმოყრილი.

საპარლამენტო სისტემის ძლიერი მხარეა:

- საკანონმდებლო პროცესი უფრო დაჩქარებულია, რადგან პრემიერ-მინისტრი პარლამენტის გამარჯვებული პარტიის წარმომადგენელია და პარლამენტის ნდობის მანდატი აქვს;
- ძალაუფლება უფრო თანაბრად არის განაწილებული სტრუქტურებს შორის, რადგან პრემიერ-მინისტრის ძალაუფლების გაძლიერებას ზღუდავს პარლამენტი;
- მთავრობა უფრო ფოკუსირებულია პარტიის პოლიტიკის და იდეების გატარებაზე.

საპარლამენტო სისტემის სუსტი მხარეა:

- შესაძლო არასტაბილურობა და მთავრობის ხშირი ცვლა, რომელიც შეიძლება თვეობით გაგრძელდეს;
- საერთოდ, პრემიერ-მინისტრს ხალხის უფრო ნაკლები მხარდაჭერა აქვს, ვიდრე პირდაპირ არჩეულ პრეზიდენტს.

შერეული სისტემები

საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკების ნაკლული მხარეების აღმოფხვრის მიზნით პრაქტიკაში გვხვდება საპრეზიდენტო და საპარლამენტო ნიშნების შერევის მაგალითები. როგორც წესი, ნიშნების შერევა ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ქვეყნის თავისებურებებზე. შესაბამისად, ცალკე გამოიყოფა ნახევრადსაპრეზიდენტო და ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკები. ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის შემთხვევაში დომინანტურია საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნიშნები, ხოლო ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკის შემთხვევაში საპარლამენტო რესპუბლიკის მახასიათებლებია დაწინაურებული. ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის კლასიკურ მოდელს, 1958 წლის კონსტიტუციის შესაბამისად, წარმოადგენს საფრანგეთი. მსგავსი მმართველობის მოდელს იყენებენ ასევე: ირლანდია, პორტუგალია და ფინეთი.

ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკას (იგივე შერეული რესპუბლიკა) აქვს ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება – მთავრობის ორმაგი პასუხისმგებლობა, ის პასუხისმგებელია როგორც პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის წინაშე. ამასთანავე, აქ საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნიშნები უფრო დომინანტურია, კერძოდ:

- პრეზიდენტს, ისევე როგორც პარლამენტს, ირჩევენ პირდაპირი საარჩევნო წესით;
- პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და აქვს მთელი რიგი უფლებამოსილებები სახელმწიფოს მართვის პროცესში, კერძოდ, ნიშნავს მთავრობას და ხელმძღვანელობს მას;
- პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დაშლის უფლება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომელ მმართველობის ფორმას აირჩევს სახელმწიფო, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დამყარება დემოკრატიული წესრიგის არსებობის წინაპირობაა.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. რა არის რეპუბლიკასა და მონარქიას შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი?
2. რა მახასიათებლები შესძინა თანამედროვეობამ მონარქიებს?
3. რა არის რესპუბლიკის მთავარი საფუძველი?
4. რა დებულებებზეა დაფუძნებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემის სუსტი მხარეები?
5. ახსენით ურთიერთმიმართება კანონის მმართველობასა და მმართველობის ფორმებს შორის.
6. აღწერეთ და დაახასიათეთ საქართველოში მმართველობის ფორმის ცვლილების პროცესი.
7. როგორ ფიქრობთ, რა საკითხი წარმოადგენს საქართველოში მმართველობის პროცესის მთავარ გამოწვევას?

თავი 4. დემოკრატიული და არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები

მოქალაქის და სახელმწიფოს ურთიერთობის ხასიათს ქვეყანაში უმთავრესად პოლიტიკური რეჟიმი განაპირობებს. ვინ ღებულობს გადაწყვეტილებას, ვის ინტერესებს ითვალისწინებენ ამ პროცესში და ვის აქვს გადაწყვეტილების პროცესზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება – ეს ის საკითხებია, რომლებიც პოლიტიკური რეჟიმის ტიპით რეგულირდებიან. საქართველოს მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში ჰქონდა გამოცდილება ეცხოვრა დემოკრატიული, ტოტალიტარული, პოსტტოტალიტარული რეჟიმის პირობებში და საუკუნის ბოლოს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის მშენებლობის პროცესში ჩაერთო. შესაბამისად, ყველა მოქალაქისათვის უმნიშვნელოვანესია, კარგად იცნობდეს და იაზრებდეს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლითაც პოლიტიკური რეჟიმები აღიწერება, იცოდეს, თუ რის საშუალებას აძლევს თითოეული რეჟიმის ტიპი, რათა შესაბამისად ჩაერთოს მისთვის მისაღები რეჟიმის ფორმირების და გამტკიცების პროცესში, დააფასოს და გაითავისოს ის სიკეთეები და პასუხისმგებლობები, რაც პოლიტიკურ რეჟიმს ახლავს თან.

რა არის პოლიტიკური რეჟიმი?

პოლიტიკური რეჟიმი არის იმ პრინციპების და პროცედურების ერთობლიობა, რომელზედაც დაფუძნებულია გადაწყვეტილების მიღების და მისი განხორციელების პროცესი. ასევე, მათზე არის დაფუძნებული მართველობის ფორმა და ხასიათი. პოლიტიკური რეჟიმის ანალიზისას შეიძლება დავსვათ შემდეგი კითხვები:

- როგორი პროცედურებით ყალიბდება მთავრობა და ვინ მონაწილეობს ამ პროცესში?
- რა მექანიზმებით ღებულობენ გადაწყვეტილებას?
- ვის ინტერესებს ასახავს ეს გადაწყვეტილება?
- ვინ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
- ვის შესწევს გადაწყვეტილების შეცვლის უნარი?
- ვინ და რა მექანიზმებით ახორციელებს მიღებულ გადაწყვეტილებას?
- ვინ და როგორ ახდენს განხორციელებული საქმეების მონიტორინგს?
- როგორია ანგარიშგებისა და პასუხისმგებლობის მექანიზმი?

! ცნების განმარტება

პოლიტიკური პლურალიზმი მოსაზრებათა მრავალფეროვნების არსებობასა და მათ აღიარებას ნიშნავს. მოსაზრებათა ეს მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა სახელმწიფოს მივაწოდოთ საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ღირებულებები, ინტერესები და პრობლემები მათი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით. (*www.nplg.gov.ge*).

სამეცნიერო ლიტერატურა იცნობს ორი სახის: **დემოკრატიულ** და **არადემოკრატიულ** პოლიტიკურ რეჟიმებს. თითოეულ მათგანს თავისი, განსხვავებული პასუხები აქვს ზემოთ დასმულ კითხვებზე. **დემოკრატიულია პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც დაფუძნებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე და საზოგადოებას აქვს გადაწყვეტილების მიღების და განხორციელების პროცესზე ზეგავლენის შესაძლებლობა**. სახელმწიფოს დემოკრატიულობის არაერთი საზომი არსებობს, თუმცა, უმრავლესობა მათგანი ხაზს უსვამს დემოკრატიების საერთო მახასიათებლებს, როგორებიცაა:

1. დემოკრატიული სახელმწიფო **მგრძნობიარე** უნდა იყოს ხალხის მიმართ. ეს ნიშნავს, რომ უნდა იყოს ხალხთან ახლოს, ესმოდეს მისი საჭიროებების, იყოს ეფექტური და ამასთანავე, გრძნობდეს ანგარიშვალდებულებას ხალხის მიმართ;
2. რადგან დემოკრატიული პოლიტიკური წესრიგი დაფუძნებულია მართვის გარკვეულ წესებსა და პრინციპებზე, ის უნდა იყოს **შეზღუდული** და არ ტოვებდეს კანონით განსაზღვრული საზღვრების დატოვების საშუალებას, თუნდაც ეს საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნის განხორიელებას ესაჭიროებოდეს;
3. დემოკრატიის პირობებში ვერცერთი ხელისუფლება დიდხანს ვერ შემორჩება მართვის სადავეებს. პერიოდული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ორგანიზება არის **ეფექტური** მმართველობის ორგანიზების ერთ-ერთი წინაპირობა. *(მაგშტატი თ. გვ. 69).*

არადემოკრატიულია პოლიტიკური რეჟიმი, **რომელიც არ არის დაფუძნებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე და გადაწყვეტილებები ერთი პირის, პოლიტიკური პარტიის ან ადამიანთა ჯგუფის ინტერესების შესაბამისად მიიღება.** ყველაზე მეტად გავრცელებული არადემოკრატიული მმართველობის ფორმებია **ავტორიტარული** და **ტოტალიტარული** პოლიტიკური რეჟიმები.

! ცნების განმარტება

ნეპოტიზმი – თანამდებობის პირთა მხრიდან თავიანთი ნათესავებისა და ახლობლების მფარველობა. *(www.nplg.gov.ge).*

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის ბუნების გასაგებად განვიხილოთ სირიის უახლესი ისტორიული გამოცდილების მაგალითი.

1971 წლიდან 2000 წლამდე სირიას „რკინის ხელით“ ჰაფეზ ალ-ასადი მართავდა. ასადის მმართველობის სტილი ეფუძნებოდა შეხედულებას, რომ მმართველის სჯობს ეშინოდეთ, ვიდრე უყვარდეთ. ასადი შიიტი ალავიტების ღარიბ ოჯახში დაიბადა (შიიტი მუსლიმები სირიაში უმცირესობას წარმოადგენენ, მოსახლეობის 65% სუნიტი მუსლიმები მათ ერეტიკოსებად მიიჩნევენ). 16 წლის ასადი ბაასის პარტიას შეუერთდა, რომელსაც მოგვიანებით სათავეშიც ჩაუდგა. ბაასის პარტია ნაციონალიზმისა და არაბთა ერთიანობის ლოზუნგებით გამოდიოდა. მოგვიანებით ასადმა სამხედრო აკადემია დაამთავრა მფრინავის სპეციალობით თუმცა, მისი ინტერესის სფეროდ მაინც პოლიტიკა რჩებოდა და მისი ქმედებებიც პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების სურვილით იყო მოტივირებული. ასადს სირიასთან მიმართებაში კარგად ჩამოყალიბებული მიზანი ჰქონდა – მას სურდა, რომ სირიის აბსოლუტური მმართველი ყოფილიყო და თავისი სახელმწიფო რეგიონში პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების სიმბოლოდ ექცია. ერთი მხრივ, ასადი სახელმწიფო სახსრებს ხალხის უკიდურესი სიღარიბის დასაძლევად ხარჯავდა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამედიცინი მომსახურების გაუმჯობესება შეძლო. მაგრამ, მისი ეს მიღწევები პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით წარმოებულმა ფარულმა ბრძოლამ დაჩრდილა. ასადი პერიოდულად არჩევნებსაც ატარებდა, სადაც იგი 99%-ით იმარჯვებდა, რაც ლოგიკური შედეგი იყო ასადის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან დამოკიდებულების: ახლო აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკური ოპონენტების გასანადგურებლად იგი მკვლელებსა და ტერორისტებს იყენებდა, შიდა მტრებს კი მუხაბარატი (სახელმწიფო უშიშროების სამსახური, რომელიც ელექტრონული ზედამხედველობის, ტერორისა და წამების გავრცელებული მეთოდების გამოყენებითაა ცნობილი) დაუპირისპირა. ასადის მიერ ოპონენტების წინააღმდეგ ძალის განსაკუთრებული სისასტიკით გამოყენებამ 1982 წელს პიკს მიაღწია. მან მუსლიმთა საძმოს წევრებზე (რადიკალური სუნიტური ისლამური ორგანიზაცია) ეჭვი მიიტანა, რომ ისინი მისი რეჟიმის დამხობას ცდილობდნენ და ამიტომ ქალაქ ჰამას, მუსლიმთა საძმოს ძირითადი კონცენტრაციის ადგილის, ათასობით მცხოვრები დაახოცვინა (სხვადასხვა შეფასების მიხედვით, 5000-დან 30000-მდე სირიელი). დღეს სირიას ასადის ვაჟი, პროფესიით ოფთალმოლოგი, ბაშარ ასადი მართავს (იგი სირიაში დიდი ბრიტანეთიდან დაბრუნდა, სადაც დიდხანს ცხოვრობდა). მას შემდეგ, რაც მისი უფროსი ძმა 1994 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ბაშარი პოლკოვნიკის ჩინიდან გენერლობამდე დაუყოვნებლივ დააწინაურეს და შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლადაც დანიშნეს. 2000 წელს მამის სიკვდილის შემდეგ მან ხელისუფლება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადაიბარა. ამის შემდეგ გასაკვირი აღარ უნდა იყოს,

რომ სირიის სამხედრო დიქტატურა დღემდე უცვლელია, თუმცა 2011 წლიდან სირიაში ომი მიმდინარეობს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რომელშიც უცხო სახელმწიფოებიც აქტიურად არიან ჩართულნი. (*მაგშტადტი თ. 2010. გვ. 99-101*).

მოცემული მაგალითი ასახავს ავტორიტარული მმართველობის ნიმუშს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტორიტარულია პოლიტიკური რეჟიმი, თუ ძალაუფლება თავმოყრილია ერთი მმართველის ან ადამიანთა ჯგუფის ხელში. როგორც წესი, ამ რეჟიმის პირობებში, მმართველი არ აღიქვამს თავს ანგარიშვალდებულად მოქალაქეთა წინაშე. ამასთანავე, ძალაუფლების შესანარჩუნებლად იგი აქტიურად იყენებს ისეთ რესურსებს, როგორებიცაა ჯარი და პოლიცია, რაც პოლიტიკური ოპონენტების განეიტრალების შესაბამისად, მისი მმართველობის გახანგრძლივების საშუალებას იძლევა. ავტორიტარული რეჟიმების კიდევ ერთი მახასიათებელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვაა, ის ამ მიმართულებით გარკვეულ თავისუფლებას იძლევა, მაგრამ სამოქალაქო-პოლიტიკური სივრცე სრულიად იზოლირებულია საზოგადოებისგან და გამორიცხავს მოქალაქეთა ჩართულობას.

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს ტოტალიტარიზმი. **ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის** პირობებში ღირებულებები და ცხოვრების სტილი განსაზღვრულია გარკვეული იდეოლოგიით და მკაცრად რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. კონტროლდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო პირადი ცხოვრების ჩათვლით. ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია რესურსების მითვისება და მისი განაწილება ზემოდან, სახელმწიფოს მიერ. ტოტალიტარიზმის კლასიკური მაგალითია საბჭოთა კავშირი სტალინის მმართველობის პირობებში და ნაცისტური გერმანია. აქ მმართველისთვის ყველაფერს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მათ შორის სამუშაოს, განათლებას, რელიგიას, სპორტს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ოჯახსაც კი (რადგან ადამიანები თავიანთ მეზობლებზე ჯაშუშობენ და ბავშვებს „არალოიალური“ მშობლების შესახებ ინფორმაციის მიტანისაკენ უბიძგებენ). რადგან ეს რეჟიმები ცდილობენ საზოგადოების გარდაქმნას იდეოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად, ისინი თავისთავად ანადგურებენ „ხალხის ყველა მტერს“. მტრები ხდებიან საზოგადოების მთელი ჯგუფები და კატეგორიები, რომლებიც, როგორც წესი, მოიცავენ ასეულობით ათასს და მილიონობით უდანაშაულო ადამიანს, რომლებსაც უმრავლეს შემთხვევაში, არცერთი ობიექტური სტანდარტით არაფერი აქვთ საერთო „პოლიტიკასთან“. ამ ორი უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისით, ტოტალიტარული რეჟიმი განსხვავდება უფრო ტრადიციული, არადემოკრატიული ავტორიტარული სახელმწიფოებისაგან. ავტორიტარული მთავრობები ჩვეულებრივად ცდილობენ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნებას (და არა საზოგადოების გარდაქმნას) და მტრების წრეს განსაზღვრავენ, როგორც ცალკეულ ინდივიდებს (არა ჯგუფებს), რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგებიან არსებულ სახელმწიფოს. *(მაგშტატი თ. 2010, გვ. 119).*

ჩანართი 10. საბჭოთა ცენზურა

ტოტალიტარული სისტემების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი სიტყვის თავისუფლების აკრძალვაა. ამით სისტემა ახდენს განსხვავებული აზრის გაჩენის პრევენციას. ცენზურის მასშტაბებს კარგად ასახავს საბჭოთა კავშირში 1918-1939 წლებში მიღებული ქვემოთ ჩამოთვლილი რეგულაციები, რომლითაც ცენზურა საზოგადოების ყველა სფეროს მოიცავდა:

1918 წ. – მოღებულ იქნა გადაწყვეტილება „კინოწარმოების კონტროლის შესახებ“. ამ დადგენილებით კერძო კინემატოგრაფები ადგილობრივ საბჭოებს დაექვემდებარნენ;

1918-1919 წწ. – დაიწყო ქაღალდის ინდუსტრიის ნაციონალიზაცია და გამომცემლობების საბეჭდი მანქანების კონფისკაცია (ჩამორთმევა);

1919 წ. – ყველა კერძო კინო და ფოტო სტუდია სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა;

1921 წ. – აიკრძალა „რეაქციული“(ოპოზიციური) წიგნების გამოცემა;

1922 წ. – ვლადიმერ ლენინი ძერჟინსკის საიდუმლო წერილში წერდა, რომ კონტრრევოლუციონერი მწერლებისა და პროფესორების ქვეყნიდან გასაძევებლად სამზადისი დაწყებულიყო. ასევე, ამავე წელს, შეიქმნა ცენზურის მთავარი ორგანო „მთავლიტი“ (Главлит) – მთავარი ლიტერატურული სამმართველო;

1923 წ. – „მთავლიტის“ ფუნქციები გაფართოვდა და შეიქმნა „რეპერტკომი“, რომელსაც ევალებოდა სანახაობებისა და ღონისძიებების რეპერტუარის კონტროლი;

1924 წ. – შეიქმნა „სახკინო“, რომლის ფუნქციაც იყო ფილმების შინაარსის კონტროლი;

1933 წ. – ნებართვის გაცემის გარეშე აიკრძალა სამკერდე ნიშნების, ემბლემების, ფოტოებიანი/ტექსტებიანი სამკლავურების, პოლიტიკური სკულპტურების, პოლიტიკური მოღვაწეების გამოსახულებებისა და ლოზუნგების გამოსახვა. (www.idfi.ge).

! ცნების განმარტება

იდეოლოგია ერთგვარი იდეათა სისტემაა, რომელიც აღწერს თუ როგორ ხედავენ და აღიქვამენ აქტორები გარემომცველ სამყაროს.

ტოტალიტარული რეჟიმებისათვის მახასიათებლებს შორის ანგარიშგასაწევია შემდეგი ნიშნები:

- **მართვის ერთპარტიული სისტემა.** ალტერნატიულ პარტიებს არ ეძლევათ არსებობის საშუალება. ამის მაგალითია კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირში ან ნაციონალურ-სოციალისტური პარტია ნაცისტურ გერმანიაში. არჩევნები ტარდება, მაგრამ მასში როგორც წესი მმართველი პარტია ღებულობს მონაწილეობას, შესაბამისად, ამომრჩევლებს მხოლოდ ერთი კანდიდატის არჩევის საშუალება აქვთ;

- **ცენტრალიზებული ეკონომიკა.** პროდუქციის წარმოებასა და გადანაწილებაზეც პარტია იღებს გადაწყვეტილებას. ამის მაგალითია, საბჭოთა კავშირის ეკონომიკა, როდესაც წინასწარ ხდებოდა საწარმოო გეგმების გათვლა ხუთწლედებზე. ამ შემთხვევაში პროდუქციის წარმოება ხდებოდა არა მოთხოვნის, არამედ გეგმის შესაბამისად (მაგალითად, იწარმოებოდა არა იმდენი ასანთი, რამდენიც მოსახლეობას სჭირდებოდა, არამედ იმდენი, რამდენიც გეგმით იყო გაწერილი). ეს საბოლოო ჯამში ქმნიდა დეფიციტურ ეკონომიკას, რადგან საჭირო პროდუქტი საჭირო რაოდენობით ვეღარ იწარმოებოდა;
- **სახელმწიფო იდეოლოგია.** იდეოლოგია ერთგვარი იდეათა სისტემაა, რომელიც აღწერს თუ როგორ ხედავენ და აღიქვამენ აქტორები გარემომცველ სამყაროს. შესაბამისად, ერთი იდეოლოგიის გაბატონება ნიშნავს სამყაროს ერთი, სახელმწიფოსეული ხედვის დანერგვას. მაგალითად, ნაცისტურ გერმანიაში გაბატონებული იყო ნაცისტური იდეოლოგია, რომლის უმთავრესი დებულება იყო რწმენა არიული (განსაკუთრებული) რასის არსებობის შესახებ და რაც არაარიული რასის წარმომადგენლების (მაგალითად ებრაელების) ქვეყნის ტერიტორიიდან გაძევებას ითვალისწინებდა;
- **ინფორმაციის გავრცელებაზე სრული კონტროლი.** ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია საინფორმაციო სივრცეების კონტროლი, რომელიც ცენზურის სხვადასხვა მექანიზმებით მიიღწევა. საბჭოთა კავშირში კონტროლის მექანიზმი დეტალურად არის აღწერილი ჩანართში 10;
- **პოლიციის და საიდუმლო სამსახურის გამოყენება მოქალაქეთა კონტროლისათვის.** 1937-1938 წწ. საბჭოთა კავშირში განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების სერიას, რომელიც „დიდი ტერორის“ სახელწოდებით არის ცნობილი და რომელიც საზოგადოება „მემორიალის“ თანახმად დაახლოებით 1.7 მილიონ ადამიანს შეეხო, მმართველმა ძალამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) ხელმძღვანელობით განახორციელა. პოლიცია, ჯარი და საიდუმლო სამსახურები, ეს ის რესურსებია, რომლებიც, როგორც წესი, პარტიის მიერ კონტროლდებიან და გამოიყენებიან ადამიანის როგორც საზოგადო, ასევე, პირადი ცხოვრების გასაკონტროლებლად.

ჩანართი 11: კარგი მმართველობის კონცეფცია

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არაეფექტური პოლიტიკური სისტემა იყო, თავისი, ასევე არაეფექტური დიდი ბიუროკრატიული აპარატით. ამ მოცემულობის გადასალახად მსოფლიო ბანკმა შეიმუშავა კარგი მმართველობის (good governance) კონცეფცია. ახალი გაგებით, კარგი მმართველობა განსხვავდება ძველი ბიუროკრატიული მმართველობისაგან. ის უფრო მეტად ეფექტური და მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებულია. სახელმწიფოებს, რომელთაც აქვთ დემოკრატიულობის

პრეტენზია, ან სურთ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრება უწევთ ჩაერთონ კარგი მმართველობის დანერგვის პროცესში. საქართველოც ამ ქვეყნების რიგშია. იმისთვის, რომ ხელისუფლებამ დანერგოს კარგი მმართველობის სისტემა, საჭიროა შემდეგი ძირითადი მახასიათებლების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა:

***ანგარიშვალდებულება**, როდესაც ხელისუფლების სტრუქტურები პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ საქმიანობას და პერიოდულად წარუდგენენ ანგარიშს საზოგადოებას მათ მიერ გაწეული, ან გასაწევი საქმიანობების შესახებ. მაგალითად, სახალხო დამცველი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და წელიწადში ერთხელ წარუდგენს მას თავისი საქმიანობის – სახელმწიფოში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის ამსახველ ანგარიშს.*

***გამჭვირვალობა** უკავშირდება ინფორმაციის თავისუფლად მიღების შესაძლებლობას, როდესაც მოქალაქეებს არ ექმნებათ დაბრკოლებები ინფორმაციის მოძიების და მიღების პროცესში. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობა ავალდებულებს მთელ რიგ საჯარო ორგანოებს პროაქტიულად გამოაქვეყნონ ინფორმაცია მათი მიმდინარე საქმიანობის, დაგეგმილი აქტივობების, ფინანსების ხარჯვის და ა.შ. ასევე, ინფორმაციის ვებგვერდზე გამოქვეყნების მიუხედავად, საჯარო ორგანიზაციები ვალდებულები არიან მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდონ მოქალაქეებს ინფორმაცია კანონით გათვალისწინებულ ვადებში.*

***რეაგირება**, როდესაც მთავრობა რეაგირებს ხალხის საჭიროებებზე და ორიენტირებულია მმართველობის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინოს საზოგადოების ინტერესები. ამის მაგალითია სოფლის დახმარების პროგრამა, როდესაც ხელისუფლება რეაგირებს საზოგადოების მოთხოვნებზე და ხელს უწყობს წარმოდგენილი პროექტების განხორციელებას.*

***თანამონაწილეობა** უკავშირდება საზოგადოებისათვის ჩართულობის ისეთი მექანიზმების შემოთავაზებას, რომლებიც მინიმალური რესურსების გაღებით მისცემთ მათ გადაწყვეტილების მიღების ან განხორციელების პროცესში ჩართვის საშუალებას. ამის მაგალითია ელექტრონული პორტალი „შენი იდეა ქალაქის მერს“. ეს პორტალი ახალი იდეების შეგროვებას ისახავს მიზნად, რომელიც განხილვისა და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის შემდეგ, განსახილველად მუნიციპალიტეტის მერიას გადაეცემა. იდეის განხილვა ოთხ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე, რეგისტრირებული იდეა განიხილება საიტის ადმინისტრატორის მიერ; მეორე ეტაპი მოიცავს იდეაზე ხმის მიცემას; მესამე ეტაპზე მერი იღებს გადაწყვეტილებას იდეის განხილვის გაგრძელების ან იდეის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ხოლო მეოთხე ეტაპზე მერიის სტრუქტურული ერთეულები იდეის განხორციელების შესაძლებლობას განიხილავენ. (http://idea.municipal.tbilisi.gov.ge).*

კანონის უზენაესობა *გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობების კანონის ფარგლებში დარეგულირებას, როდესაც კანონი განსაზღვრავს ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილების ფარგლებს და არ აძლევს მათ გადალახვის საშუალებას. მაგალითად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა შესაძლოა განვიხილოთ ამის მაგალითად. ის როგორც ერთ-ერთი მთავარი მაკონტროლებელი ორგანო აფასებს, რამდენად სწორად, კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირებს კონკრეტული სტრუქტურული ერთეული.*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური რეჟიმი განსაზღვრავს სახელმწიფოში მოქალაქის უფლებრივ მდგომარეობას: აღქმული იქნება იგი, როგორც მოქალაქე, რომელსაც აქვს როგორც მართვა-გამგეობაში მონაწილეობის, ასევე საზოგადო სიკეთეებით სარგებლობის უფლება, თუ იქნება როგორც სისტემის სურვილის რიგითი შემსრულებელი. პოლიტიკური რეჟიმი არ არის მუდმივი, ის იცვლება და სწორედ მოქალაქეთა აქტიურობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაუფრთხილდებიან არსებულ სიკეთეებს, განავითარებენ და გაამრავალფეროვნებენ მათ.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. რა არის ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა დაყრდნობითაც შესაძლებელია პოლიტიკური რეჟიმების კლასიფიცირება?
2. ამბობენ, რომ ავტორიტარული რეჟიმები გარკვეულწილად ეფექტური რეჟიმებია. რა არგუმენტები აძლევთ ასე მსჯელობის საშუალებას?
3. რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან კონსტიტუციონალიზმს და პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბებას?
4. ახსენით დებულება: „დემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმში ცხოვრება მოქალაქეებს მთელ რიგ პასუხისმგებლობებს აკისრებს“. თქვენ, როგორც მოქალაქეს, რა პასუხისმგებლობას გაკისრებთ ის?
5. რა არის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი ავტორიტარულ და ტოტალიტარულ პოლიტიკურ რეჟიმებს შორის?
6. აუცილებელია თუ არა კონსტიტუციონალიზმის არსებობა ლიბერალური პოლიტიკური რეჟიმისათვის?
7. 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენით თავი დააღწია საბჭოთა კავშირს და გამოაცხადა, რომ ააშენებდა დემოკრატიულ სახელმწიფოს. თქვენი აზრით, რა მთავარი გამოწვევების გადალახვა მოუწია როგორც ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას, ასევე მის მოქალაქეებს?

თავი 5. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა

სახელმწიფოს ფორმის განსაზღვრისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს ქვეყნის ტერიტორიაზე მისი ადმინისტრაციული ერთეულების გადანაწილების და ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობით სტრუქტურებს შორის ურთიერთმიმართების ხასიათი წარმოადგენს, რასაც ტერიტორიული მოწყობის ფორმებს ვუწოდებთ. სახელმწიფოები დაყოფილი არიან ტერიტორიულ ერთეულებად. შესაბამისად, ტერიტორიულ ერთეულებს ჰყავთ თავიანთი ადგილობრივი მმართველობითი ორგანოები, რომელთაც გარკვეული ანგარიშვალდებულება აკავშირებთ სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა განსაზღვრავს ისე როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარების და ანგარიშვალდებულების ხასიათს, ასევე, მათ უფლება-მოვალეობებს. აღნიშნული საკითხის ცოდნა მოქალაქეს საშუალებას აძლევს გაერკვეს სახელმწიფოს მმართველობით სტრუქტურაში და დაგეგმოს ჩართულობის სტრატეგია, ის თუ სად შეუძლია მმართველობით პროცესზე რეალური ზეგავლენის მოხდენა.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმები

ერთმანეთისაგან განასხვავებენ **უნიტარული და ფედერაციული** მოწყობის ფორმებს. უნიტარული სახელმწიფო მოწყობის მარტივ ფორმას წარმოადგენს, რომელიც ერთიანი და განუყოფელია. აქ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია მოქმედებს. როგორც წესი, ქვეყნის ტერიტორია დაყოფილია ადმინისტრაციულ ერთეულებად, მათ პოლიტიკური დამოუკიდებლობის სტატუსი (მაგალითად სუვერენიტეტი) არ აქვთ. უნიტარულ სახელმწიფოში სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს. ასევე, ერთიანია ხაზინა და მთელი ქვეყნის ტერიტორიიდან აკრეფილი გადასახადები იქ იყრის თავს და შემდეგ ნაწილდება საჭიროების შესაბამისად. ასევე, ერთიანია პოლიციური და სასამართლო სისტემა. უნიტარული სახელმწიფო არ გამორიცხავს ქვეყნის კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულისთვის ფართო ავტონომიის მინიჭების შესაძლებლობას. უნიტარული სახელმწიფოს მაგალითს წარმოადგენს საქართველო.

ფედერაციული მოწყობა უფრო მეტად დამახასიათებელია დიდი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოებისათვის, როგორიც მაგალითად რუსეთის ფედერაცია, ამერიკის შეერთებული შტატები ან გერმანიაა. აქ ფედერაციული ტერიტორიული ერთეულები სხვადასხვა სახელით გვევლინებიან, როგორც მაგალითად შტატი ამერიკის შეერთებულ შტატებში ან ლენდი (მიწა) გერმანიაში. ფედერაციული სახელმწიფო რთული მოწყობისაა და ფედერაციული ერთეულები სახელმწიფოებრივი ნიშნების მატარებლები არიან, რამდენადაც ფლობენ სუვერენიტეტს. მოქალაქეებს აქვთ ორმაგი ქვეყნის და ტერიტორიული ერთეულის მოქალაქეობა. ამასთანავე,

მათ აქვთ თავიანთი აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოები და შესაძლოა კონსტიტუციაც, რომელიც ამ ერთეულში არეგულირებს მართვა-გამგეობას, მაგრამ წინააღმდეგობაში არ მოდის ქვეყნის ცენტრალურ კონსტიტუციასთან. ფედერაციულ სახელმწიფოში ბიუჯეტი დანაწილებულია ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე. ცენტრალურ ბიუჯეტში ფედერალურ ერთეულებს თავიანთი შენატანები შეაქვთ ცენტრის საჭიროებებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ თავიანთი სუვერენიტეტი, მათ არ შეუძლიათ ფედერაციის უპირობოდ დატოვება სხვა ტერიტორიული ერთეულების თანხმობის გარეშე.

	უნიტარული	**ფედერაციული**
მოქალაქეობა	აქვს ქვეყნის	აქვს ქვეყნის და ტერიტორიული ერთეულის
სუვერენიტეტი	ეკუთვნის ხალხს	ეკუთვნის ტერიტორიას
საგადასახადო სისტემა	არის ცენტრალური	არის ადგილობრივი და ცენტრალური
სასამართლო სისტემა	არის ფედერალური	არის ადგილობრივი და ფედერალური

ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობა

ადგილობრივ ხელისუფლებას უწოდებენ მმართველთა იმ რგოლს, რომელთა პასუხისმგებლობა არ მოიცავს საერთო სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტა. ადგილობრივ ხელისუფლებაში ფორმირების წესის შესაბამისად სხვადასხვა მიმართულებები გამოიყოფა. იმ მოხელეებს, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიშნებიან **ადგილობრივ მმართველს**, ხოლო თავად რგოლს **ადგილობრივ მმართველობას** უწოდებენ. მათ, ვისაც ადგილობრივი მოსახლეობა ირჩევს არჩევნების გზით, **ადგილობრივ თვითმმართველებს** უწოდებენ, რგოლს კი შესაბამისად, **ადგილობრივი თვითმმართველობა** ეწოდება. ორივე მათგანი მიზნად ისახავს ადგილობრივი საქმეების ეფექტურ მართვას, თუმცა, თითოეულს თავისი მნიშვნელოვანი დანიშნულება აკისრია.

ადგილობრივი მმართველობა ადგილზე სახელმწიფოს ერთიანობის განმტკიცებას ემსახურება და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა საგანგებო ვითარების პირობებში ენიჭება, რადგანაც ეს რგოლი გადაწყვეტილების უფრო მეტად ცენტრალიზებული და კოორდინირებული განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, ადგილობრივ მმართველობას მოქალაქეთა ჩართულობის და ამ მიმართულებისთვის ეფექტური მუშაობის საშუალება შეზღუდული აქვს და ამ ფუნქციას სრულად ადგილობრივი თვითმმართველობა ითავსებს.

ჩანართი 12. ადგილობრივი მმართველობა საქართველოში

საქართველოში ადგილობრივი მმართველობის მაგალითია სახელმწიფო რწმუნებულის პოზიცია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს და მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს მთავრობა (საქართველოს მთავრობის დადგენილება #1. 8.01.2019. მუხლი 2.). საქართველოს ტერიტორიაზე სულ არის 9 სახელმწიფო რწმუნებული: გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულები.

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს და უჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია არა მარტო მისი საკანონმდებლო დონეზე აღიარება, არამედ მისი განვითარებაც. **თვითმმართველობა – საქართველოს მოქალაქეების შესაძლებლობაა გადაჭრან ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები**. თვითმმართველობის საშუალებით შესაძლებელია გადაიჭრას წყლით მომარაგების, დასუფთავების, გზების მოწესრიგების, კანალიზაციის, განათების, კეთილმოწყობის და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა საკითხები. საქართველოში თვითმმართველობის გარდა სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც აღნიშნულ საკითხებს მოაგვარებს, არ არსებობს. უფრო მეტიც, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს კანონმდებლობა ამის საშუალებას არ აძლევს.

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების ცენტრალური ხელისუფლებისაგან გამიჯვნა მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივი საკითხები მათი ინტერესების გათვალისწინებით და მათივე ჩართულობით გადაწყდეს. ამასთანავე, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქის ჩართულობა შესაძლებელია იყოს უფრო მეტად შედეგზე ორიენტირებული, რამდენადაც მათ შეუძლიათ ადგილობრივი პრობლემების პრიორიტეტიზაცია, მათი ინიცირება, შერჩეული პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზების წარმოდგენა, მოგვარების პროცესში ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და, რაც მთავარია, შეუძლიათ გაიზიარონ პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილების შესაძლო შედეგების გამო. შესაბამისად, თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე მოქალაქის ზემოქმედების ბერკეტები რთულია და მთელ რიგ პროცედურებს მოიცავს, ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი და პრიორიტეტულია, რამდენადაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება როგორებიცაა: ადგილობრივი გზის შეკეთება, სკვერების, შენობა-ნაგებობების და სოციალური სივრცეების მოვლა, საბავშვო ბაღების პატრონაჟი და ა.შ. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განე-

კუთვნება. მაგალითად, თბილისში, დიდ დიღომში „დედაენის სკვერში“ ინვესტორმა დაიწყო სამსართულიანი კომერციული ობიექტის მშენებლობა, რაც ადგილობრივი მაცხოვრებლების აზრით არღვევდა მათ უფლებას და უზღუდავდა სოციალური სივრცის ქონის და სარგებლობის შესაძლებლობას. შესაბამისად, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში – საკრებულოში, დიდი დიღმის მაჟორიტართან როგორც წერილობითი ასევე სიტყვიერი კომუნიკაციით, მოსახლეობამ შეძლო აღნიშნული საკითხის საკრებულოში დაყენება. ამას თან ახლდა მოსახლეობის ხელმოწერების შეგროვება და ასევე, საინფორმაციო საპროტესტო აქციები. მოსახლეობის მონდომებამ შედეგი გამოიღო. ქალაქის მთავრობამ შეაჩერა მშენებლობა და დღეს უბანს რეკონსტრუირებული „დედაენის სკვერი“ აქვს.

საკითხები, რომლებიც განეკუთვნება საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას:

- ელექტროენერგიით, გაზით, წყლით მომარაგებისა და ლოკალური სამელიორაციო სისტემების ორგანიზება, შენახვა და განვითარება;
- შიდა სარგებლობის გზების შეკეთება, რეკონსტრუქცია და მშენებლობა;
- მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შესრულება;
- სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სარიტუალო მომსახურების ორგანიზება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა;
- ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება, დამტკიცება, შესრულება და კონტროლი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო და არასაცხოვრებელი ფონდის შექმნა და განკარგვა. ასევე, კომუნალური მეურნეობა;
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და შესრულება;
- ადგილობრივი სამსახურებისა და შესაბამისი საწარმოების შექმნა და ლიკვიდაცია;
- ადგილობრივი არქივის შექმნა და შენახვა;
- ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების ორგანიზება;
- ადგილობრივი საინფორმაციო სამსახურის ორგანიზება და შენახვა. მისი ფუნქციონირებისათვის ხელის შეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება. ადგილობრივი ტყის ფონდი;
- მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმე-

ბის შემუშავების და დამტკიცების ორგანიზება და კონტროლი მშენებლობის განხორციელებაზე;

- საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა მშენებლობისათვის ხელის შეწყობა.

ამავე დროს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ორგანოების მიერ დელეგირებული (გადაცემული) აქვთ შემდეგი უფლებამოსილებანი:

ა) გარემოსდაცვით, სანიტარულ და ვეტერინარულ ღონისძიებათა განხორციელება;

ბ) მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოსათვის ხელის შეწყობა (*ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი*).

როგორც ჩამონათვლიდან ირკვევა, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება ყველა ის საკითხი, რომელსაც ჩვენ ტერიტორიულ ერთეულზე ცხოვრებისას, ადგილზე ვაწყდებით.

როგორ შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს ჩაერთონ ადგილობრივ თვითმმართველობაში? საქართველოს მოქალაქეს, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, უფლება აქვს:

- აირჩიოს და არჩეულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა, თუ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;
- მიიღოს დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია მუნიციპალური სოციალური პროგრამების შესახებ და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ისარგებლოს სოციალური სერვისებით;
- წინასწარ გაეცნოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტებს, მონაწილეობა მიიღოს მათ განხილვაში, მოითხოვოს გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა;
- გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ორგანოებიდან; დაესწროს თვითმმართველი ერთეული საკრებულოს, მისი კომისიებისა და სხვა ცალკეულ ერთეულთა საჯარო სხდომებს;
- მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და თანამდებობის პირებს, შესთავაზოს წინადადებები ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის შესამუშავებლად.

ჩანართი 13. ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში ჩართულობის წარმატებული მაგალითი – სოფელ სამთაწყაროში (დედოფლისწყარო) სოფლის მოსახლეობის ჩართულობით სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ორგანიზება

სოფელ სამთაწყაროში არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ ინიციატივით ჩამოყალიბდა სათემო ჯგუფი და დაიგეგმა თემის წარმომადგენლების შეხვედრა დედოფლისწყაროს მერთან. შეხვედრისას მერს წარედგინა თემის საერთო კრებაზე დასახელებული პრიორიტეტული პრობლემების ჩამონათვალი. დოკუმენტის განხილვის შემდეგ მუნიციპალიტეტის მხრიდან გამოითქვა მზაობა 40%-იან ფინანსურ თანამონაწილეობაზე და პრობლემის მოგვარების პროცესში ჩართვაზე.

სათემო ჯგუფმა „სიდას“ დახმარებით შეიმუშავა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც თავდაპირველად წარადგინეს სათემო კრებებზე და, სულ ცოტა 60%-იანი მხარდაჭერის მიღების შემდეგ დაიწყეს მისი განხორციელება. შედეგად, შეიცვალა და განახლდა სოფლის სასმელი წყლის ქსელი (დაახლოებით 10000 მეტრი) და სარგებელი მიიღო სულ 1037-მა ადამიანმა, დაახლოებით 300-მდე ოჯახმა. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო როგორც შიდამიგრაციის შეჩერებას (სოფელი არის მოწყვეტილი რაიონულ ცენტრს და მდებარეობს აზერბაიჯანის საზღვართან), ისე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და სოფლად ეკონომიკურ განვითარებას, რადგან შესაძლებელი გახდა სახლებთან ახლოს მცირე ბიზნესსაქმიანობის წარმოება. (www.enpard.ge).

ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა

მუნიციპალიტეტს ჰყავს როგორც წარმომადგენლობითი, ასევე აღმასრულებელი ორგანოები. წარმომადგენლობითი ორგანოა **საკრებულო**, რომელიც კომპლექტდება ადგილობრივი ამომრჩევლების მიერ მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისგან. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მისი უმაღლესი თანამდებობის პირია **მერი**, რომელსაც ამ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა ირჩევს 4 წლის ვადით პირდაპირი არჩევნების წესით.

ჩანართი 14. საქართველოს ტერიტორიის მუნიციპალური დაყოფა

საქართველოს ტერიტორია იყოფა 64 მუნიციპალიტეტად და ორ – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ ერთეულად. ხუთ ქალაქს, მათ შორის დედაქალაქ თბილისს, რუსთავს, ბათუმს, ფოთს და ქუთაისს აქვთ თვითმმართველი ქალაქის სტატუსი. აღნიშნული ტერიტორიული ერთეულები ასევე დანაწილებულია 59 თვითმმართველ თემად. საქართველოს დედაქალაქ თბილისს აქვს განსაკუთრებული სტატუსი და მისი მართვა-გამგეობის და ბიუჯეტის განკარგვის საკითხები ცალკე საკანონმდებლო ნორმებით რეგულირდება.

ადგილობრივი თვითმმართველობა კარგ იმპულსს წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლებისათვის, რადგან სწორედ ადგილობრივმა მოსახლეობამ იცის იმ საჭიროებების შესახებ, რომელიც ამ მუნიციპალიტეტში არსებობს. შესაბამისად, თანამშრომლობით როგორც წესი, კარგი შედეგი მიიღწევა, როგორც ეს ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითშია.

წლების განმავლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას მოუწესრიგებელი საგზაო მოძრაობა და ინფრასტრუქტურა წარმოადგენდა. პრობლემა ძალიან მწვავე იყო, რამდენადაც არსებობდა არაერთი დაზარალებული. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციამ „საგა“, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში წამოიწყო ადვოკატირების კამპანია სახელწოდებით „ფრთხილად, ბავშვები!“ და მასში ჩართო ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები: სკოლები, საბავშვო ბაღები, მშობლები, ახალგაზრდები, ადგილობრივი ხელისუფლება, პოლიცია და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები. კამპანიის ფარგლებში ხელი მოეწერა პეტიციას, რომლის ადრესატიც იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (სულ შეგროვდა 2300 ხელმოწერა). გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, ახალგაზრდების მიერ მოეწყო ფლეშმობი და აქცია-მსვლელობა. შედეგად, ადვოკატირების პროცესი წარმატებული აღმოჩნდა. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის ხიდიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე განლაგებულ გზაზე დამონტაჟდა 316 ერთეული საგზაო ნიშანი, ხოლო ცხრა სკოლასა და ხუთ საბავშვო ბაღთან დამონტაჟდა 16 ერთეული სიჩქარის შემაფერხებელი ბორცვი. გატარებულმა ღონისძიებებმა შეამცირა საგზაო შემთხვევათა რაოდენობა, რომლის დროსაც, ხშირად, მოზარდები ზარალდებოდნენ. (*www.enpard.ge*).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის მდგომარეობა ასახავს პოლიტიკური კულტურის ხასიათს, რადგანაც მოქალაქეს მმართველობის პროცესში ჩართვის და საკუთარი ინტერესების გატარების ყველაზე უფრო მეტი ბერკეტი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე აქვს. შესაბამისად, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მშენებლობის პროცესი საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის გაძლიერებას და მასში მოქალაქეთა ჩართულობის გააქტიურებას მოითხოვს.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. რას უწოდებენ სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას?
2. გააანალიზეთ უნიტარული და ფედერაციული ტერიტორიული მოწყობის ფორმების მთავარი განმასხვავებელი ფაქტორები;
3. რატომ იქმნება უნიტარული ან ფედერაციული სახელმწიფოები? როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს ასეთ არჩევანს?
4. რით განსხვავდება ადგილობრივი მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა?
5. როგორია ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურა საქართველოში?
6. რას ფიქრობთ საქართველოში სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პერსპექტივებზე?

თავი 6. არჩევნები და საარჩევნო სისტემები

წინა თავებში არაერთხელ ვახსენეთ, რომ დემოკრატიის, როგორც პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს პერიოდული, თავისუფალი, სამართლიანი არჩევნები წარმოადგენს. ეს პროცესი, ერთი მხრივ პოლიტიკურ პარტიებს ამყოფებს მუდმივ მზაობაში გაითვალისწინონ საზოგადოების ინტერესები (წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის ხმას ვერ მიიღებენ), მეორე მხრივ კი ხელისუფლებაში მყოფ ძალებს არ აძლევს სახელისუფლებო პოზიციის გარანტირებულად დიდხანს დაკავების საშუალებას და ამით „ძალაუფლებით გარყვნისგან“ იცავს.

არჩევნები ჩვენი, როგორც მოქალაქეების უფლებაა, რომლის რეალიზაციის დროს ვირჩევთ წარმომადგენლებს. ისინი ჩვენი სახელით მართავენ ქვეყანას, იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლის შედეგებიც ჩვენზე აისახება. აქედან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოქალაქეებმა იცოდნენ და გაიაზრონ არჩევნების არსი და მნიშვნელობა. ბოლო პერიოდში სამეცნიერო და პრაქტიკულ ლიტერატურაში მიმდინარე დებატების თემაა საკითხი: ხომ არ დავიდა არჩევნები მხოლოდ ხმის მიცემის პროცედურამდე, როდესაც მოქალაქეები 4-5 წელიწადში ერთხელ ხმას აძლევენ კონკრეტულ პარტიას ან კანდიდატს... არჩევნები არ არის მხოლოდ საარჩევნო დღე, ის კომპლექსური პროცესია და მოიცავს არაერთ კომპონენტს – წინასაარჩევნო პერიოდში თავისუფლების ხარისხიდან დაწყებული, არჩევნების შედეგების აღიარებით ან არაღიარებით დასრულებული.

მოცემულ თავში განვიხილავთ როგორც საარჩევნო სისტემებს, ასევე პოლიტიკურ პარტიებს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სამოქალაქო-პოლიტიკური გარემოს კომპონენტს, რომლის მნიშვნელობის გააზრება დემოკრატიული საზოგადოების წევრისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

რას ნიშნავს საარჩევნო სისტემა და როგორ ზეგავლენას ახდენს ის არჩევნების შედეგებზე?

საქართველოს მოქალაქეს პირდაპირი წესით ჩატარებული არჩევნების გზით შეუძლია ჩაერთოს: საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციამდე, საქართველოს პრეზიდენტიც ხალხის მიერ აირჩეოდა, მაგრამ მომავალ პრეზიდენტს 2024 წლიდან უკვე ამომრჩეველთა 300 წევრიანი კოლეგია აირჩევს.

საქართველოში საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დაფუძნებულია ოთხ ძირითად პრინციპზე: ის უნდა იყოს **საყოველთაო, თანასწორი,** რამდენადაც ყველას უნდა ჰქონდეს მასში მონაწილეობის საშუალება, მოქალაქეებმა ხმა უნდა მისცენ **პირდაპირ**,

შუამავლების გარეშე და რაც მთავარია – არჩევნები უნდა იყოს **ფარული**, რათა დაცული იყოს ყოველგვარი გავლენა საარჩევნო პროცესზე. საქართველოს მოქალაქეს აქვს **აქტიური** და **პასიური საარჩევნო უფლება,** რაც ნიშნავს იმას, რომ მას შეუძლია აირჩიოს (აქტიური) ან არჩეულ იქნას (პასიური) წარმომადგენლობით ორგანოში, თუ ის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

საარჩევნო სისტემა ეწოდება სახელმწიფოს არჩევითი ორგანოების (პარლამენტის, საკრებულოს და ა.შ.) ჩამოყალიბების წესს. ის ერთგვარი საარჩევნო ფორმულაა, თუ რა პრინციპით უნდა დაითვალოს ურთიერთმიმართება საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებულ ხმებსა და საკანონმდებლო ორგანოში დაკავებულ ადგილებს შორის. ამ პრინციპების უზრუნველსაყოფად საარჩევნო პერიოდში ქვეყანა დაყოფილია საარჩევნო ოლქებად, ეს უკანასკნელი თავის მხრივ იყოფა საარჩევნო უბნებად, სადაც მოქალაქეები რეგისტრაციის შესაბამისად მიდიან კენჭისყრის დღეს და ხმას აძლევენ სასურველ საარჩევნო სუბიექტს. საქართველოში არჩევნების დღეს კენჭისყრის, ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ, ბიულეტენებს ითვლიან საარჩევნო უბანზე, სადაც ხმების დათვლის და შედეგების შეჯამების შემდეგ, მონაცემები იგზავნება საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისია მის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნების შედეგების საფუძველზე აჯამებს ოლქში არჩევნების შედეგებს და აგზავნის საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო). ცესკო მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული საოლქო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული მონაცემების საფუძველზე, აჯამებს არჩევნების შედეგებს.

მსოფლიოში არსებულ საარჩევნო სისტემათაგან ყველაზე გავრცელებულს „მაჟორიტარული“ და „პროპორციული“ სისტემები წარმოადგენენ. **მაჟორიტარულია საარჩევნო სისტემა,** სადაც გამარჯვებული უმრავლესობის პრინციპზე დაყრდნობით ვლინდება. კერძოდ, ამომრჩეველი ხმას აძლევს ამა თუ იმ კანდიდატს – ვინც მოაგროვებს ხმათა უმრავლესობას, ის ხდება გამარჯვებული. მაჟორიტარული სისტემა უფრო ხშირად ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში (ოლქის მაცხოვრებლები ირჩევენ მხოლოდ ერთ დეპუტატს) გამოიყენება, თუმცა, შესაძლებელია მისი მრავალმანდატიან ოლქში გამოყენება, როდესაც ხმას აძლევენ ერთიან პარტიულ სიებს. იმისდა მიხედვით თუ რა ითვლება უმრავლესობად, მაჟორიტარული სისტემის განსხვავებული სახეები არსებობს:

1. **ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა** ყველაზე მარტივი ნაირსახეობაა. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მიიღო სხვებზე მეტი ხმა (უბრალო უმრავლესობა), თუნდაც მას მხარს უჭერდეს ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლები. ამ დროს არ არის საჭირო ამომრჩეველთა ქვედა ზღვრის დაწესება. თანაბარი რაოდენობის ხმების დაგროვების შემთხვევაში (რაც ერთობ იშვიათი მოვლენაა) კანონმდებლობა ტრადიციულ წილისყრას იყენებს. ამ სისტემით არჩევნები ერთ ტურად ტარდება;

2. **აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა** კანდიდატის ასარჩევად საჭიროებს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას (ამომრჩეველთა ხმების 50%+1). ამავე დროს დგინდება ამომრჩეველთა ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია კანდიდატის ასარჩევად. ამომრჩეველთა რაოდენობაც შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს განსაზღვრული. ეს შეიძლება იყოს: ა) საარჩევნო ოლქში (მაჟორიტარის არჩევნების დროს) ან ქვეყანაში (საპრეზიდენტო არჩევნების დროს) რეგისტრირებული ამომრჩევლების საერთო რაოდენობა, ბ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების საერთო რაოდენობა და გ) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას, ინიშნება მეორე ტური, რომელშიც მხოლოდ საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი მონაწილეობს. მეორე ტურში შესაძლებელია დაწესებული იყოს ხმათა აბსოლუტური ან ფარდობითი უმრავლესობის დაგროვების მოთხოვნა;
3. **კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის** გამოყენების შემთხვევაში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა ხმების განსაზღვრულ კვალიფიცირებულ რაოდენობას. ეს უკანასკნელი კანონმდებლობით განისაზღვრება (მაგ. ხმების 40%; 2/3 ან 3/4). ამ სისტემას ძალიან იშვიათად იყენებენ, რისი მთავარი მიზეზიც მისი არაეფექტიანობაა. (*www.parliament.ge).*

ჩანართი 15. საარჩევნო სისტემა საქართველოში

საქართველოს საარჩევნო სისტემის მრავალფეროვანი გამოცდილება აქვს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით ტარდებოდა. 2020 წლის 8 მარტის პოლიტიკური დიალოგის შედეგად მიღწეული შეთანხმებით, რომელიც მოგვიანებით საკონსტიტუციო ცვლილებებში აისახა, მანამდე არსებული 77\73 თანაფარდობის ნაცვლად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები 120/30-ზე შერეული, პარალელური საარჩევნო სისტემით ჩატარდა (120 პარლამენტარი პროპორციული წესით და 30 მაჟორიტარული მანდატით აირჩა).

ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში ამომრჩეველთა ხმების თანაბრობის უზრუნველსაყოფად 2015 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს 28 მაისის გადაწყვეტილებით (რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 23 დეკემბერს აღასრულა), საზღვრები შეიცვალა და ყველა მაჟორიტარული ოლქი 48000 ამომრჩევლამდე, 10-15% ცდომილების ფარგლებში, დარეგისტრირდა. აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სულისკვეთებით, 2020 წელს საპარლამენტო არჩევნებისთვის 30 მაჟორიტარულ ოლქშიც ამომრჩეველთა ხმები თანაბრობის პრინციპით განაწილდა, რომელთაგან 8 ოლქი თბილისში, ხოლო 22 საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის დანარჩენ ნაწილზე ამოქმედდა.

2020 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისთვის და ბლოკებისთვის დაწესდა 1%-იანი საარჩევნო ბარიერი. ამასთანავე, ბლოკების შემთხვევაში, ბლოკს მინიმუმ იმდენი პროცენტი უნდა მიეღო, რამდენი სუბიექტიც იყო მასში გაერთიანებული. 2020 წლის საარჩევნო რეფორმა ასევე მოიცავდა მნიშვნელოვან ცვლილებას – ჩამკეტის შემოღებას, რითაც გაჩნდა ზედა ზღვარი, რომელიც პარტიას ან ბლოკს პარლამენტში მაქსიმალური მანდატების რაოდენობას უსაზღვრავდა იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სუბიექტი პროპორციული წესით არჩეული მანდატების დაახლოებით 40%-ზე ნაკლებს მოიპოვებდა. "გადაჭარბებული მანდატები" კი სხვა 1% გადალახულ სუბიექტებზე გადანაწილდებოდა.

2020 წლის საარჩევნო რეფორმის მიხედვით, 2024 წლიდან უქმდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, 150 დეპუტატი მხოლოდ პროპორციული სისტემით აირჩევა და პარტიებს საარჩევნო ბლოკების შექმნა აეკრძალებათ. (აბაშიძე ზ. და სხვ. 2020. გვ. 91-92).

პროპორციული საარჩევნო სისტემა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება, სადაც ამომრჩეველი ხმას აძლევს პოლიტიკურ პარტიას და პარტიებს შორის მანდატები არჩევნებში მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება. ამ სისტემის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრ პარტიას ეძლევა წარმომადგენლობით ორგანოში მონაწილეობის საშუალება, ამასთანავე, პროპორციული არჩევნების დროს ნაკლები ამომრჩევლის ხმა იკარგება, რამდენადაც განსხვავებით მაჟორიტარული სისტემისგან, სადაც წაგებული კანდიდატის ყველა ხმა დაკარგულია, პროპორციულში ხმები მანდატებზე ნაწილდება.

პროპორციული სისტემისათვის ასევე დამახასიათებელია საარჩევნო ბარიერი, რომლის გადალახვა უწევთ პოლიტიკურ პარტიებს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად. რაც ნაკლებია ბარიერი, მით მეტია მრავალპარტიული პარლამენტის მიღების შესაძლებლობა.

პოლიტიკური პარტია და პარტიული სისტემები

მართვა-გამგეობაზე საუბარი წარმოუდგენელია პოლიტიკური პარტიების გარეშე. ისინი წარმოადგენენ პოლიტიკური სცენის ერთ-ერთ მთავარ აქტორებს. ისინი ირჩევენ სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს, ახორციელებენ მას, ქმნიან პოლიტიკურ ელიტას და ა.შ. დემოკრატიის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ინდიკატორსაც პოლიტიკური პარტიების რაოდენობა და ხასიათი წარმოადგენს. მეტიც, თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატია, სწორედ პოლიტიკური პარტიების განვითარების კვალდაკვალ ჩამოყალიბდა, რადგან წარმომადგენლობის და არჩევნების იდეის განხორციელება მათ გარეშე წარმოუდგენელია. წა-

რმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში, მოქალაქეებს სჭირდებათ შუალედური რგოლი, რომელიც შეითავსებს წარმომადგენლის ფუნქციას. ასეთად პოლიტიკური პარტია გვევლინება.

პოლიტიკური პარტიების არაერთი განმარტება არსებობს. მათი უმრავლესობა ანალიზისას აქცენტს **საერთო იდეოლოგიაზე, მსოფლმხედველობაზე და ხელისუფლებაში მოსვლის სურვილზე** აკეთებს. პოლიტიკური პარტიები როგორც წესი, ილტვიან მომხრეთა მოზიდვისაკენ, რათა არჩევნების პროცესში ეს მხარდაჭერა მიღებულ ხმებში აისახოს. ეს გამორიცხავს ერთი პოლიტიკური პარტიის არსებობას, შესაბამისად, ქმნის კონკურენტულ გარემოს და იწვევს ხელისუფლებაში მმართველთა ცვლილებას. პოლიტიკურ პარტიებს აქვთ წესდება, ორგანიზაციული სტრუქტურა და ბიუჯეტი.

პოლიტიკური პარტიების კვლევის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა მორის დიუვერჟემ (1917-2014) შეადგინა პოლიტიკური პარტიების სოციოლოგიური ტიპები. ავტორის აზრით, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან საბაზისო ელემენტებით, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხით, შინაგანი კავშირებით და მმართველი ინსტიტუტებით.

პირველი ტიპის პარტიებს განეკუთვნება XIX საუკუნის ე.წ. „ბურჟუაზიული“ პარტიები, რომლებიც დღეს კონსერვატორული და ლიბერალური პარტიების სახით გვხვდებიან. ეს ტიპი ყველაზე უკეთესად აღწერს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებს. ეს პარტიები არ არიან ე.წ. მასობრივი ორგანიზაციები, არ მიელტვიან ბევრი წევრის შემოკრებას, არამედ, ისინი საკუთარ რიგებში უფრო მეტად ცნობილი სახეების ჩართვას ცდილობენ. ეს იმით აიხსნება, რომ მსგავსი პარტიების დაფინანსების წყარო არ არის პარტიის წევრთა საწევრო, არამედ ის დიდი კომპანიების და ცნობილი სახეების შემოწირულობებია. ორგანიზაციული სტრუქტურა ერთგვარ მცირე კომიტეტებადაა დანაწილებული, რომელიც ცენტრისგან დამოუკიდებელია, აქტიურდება წინასაარჩევნო პროცესში და ამით ნახევრად „სეზონური“ ბუნების მატარებლები არიან. პარტიული ცხოვრება მიმდინარეობს ლიდერის გარშემო. პარტიის იდეოლოგია უმნიშვნელოა და უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს. პარტიისადმი კუთვნილება უფრო მეტად პირადი ინტერესებით ან პარტიისადმი ერთგულების ტრადიციით არის განპირობებული.

პოლიტიკური პარტიების მეორე ტიპი კონტინენტალური ევროპის სოციალისტური პარტიებია. ისინი ცდილობენ პარტიის წევრების მაქსიმალურად დიდი რაოდენობის მიზიდვას, რაც აიხსნება პარტიის საწევრო შენატანების არსებობით, რაც პარტიის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს. ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია ე.წ. „სექციების“ სახით, რომელთა უმთავრესი დანიშნულება გარდა უშუალო საარჩევნო საქმიანობისა, პარტიის წევრების იდეოლიგიაში განმტკიცება წარმოადგენს. მსგავს პარტიებში მუდმივად არიან ე.წ. „ფუნქციონერები“ – ადამიანები, რომლებიც ძალაუფლების მოკრებას ცდილობენ პარტიაში, რომელსაც ამ ტიპოლო-

გიის ავტორი, პარტიულ ბიუროკრატიას უწოდებს. ბიუროკრატიის როლს ამცირებს კოლექტიური ინსტიტუტების არსებობა. ეს შეიძლება იყოს წევრთა საერთო ყრილობა, ეროვნული საბჭო და ა.შ. რომელიც ირჩევს პარტიის მმართველობას. გარდა ამისა, პარტია სცდება პოლიტიკის საზღვრებს და იკავებს ეკონომიკურ, სოციალურ და პირად სფეროებსაც კი.

მესამე ტიპის პარტიებს განეკუთვნება კომუნისტური და ფაშისტური პარტიები. მათთვის დამახასიათებელია ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი, რაც გამორიცხავს ავტონომიურობას და უზრუნველყოფს მკაცრ დისციპლინას. ავტოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ხელმძღვანელობის პირობებში კოლექტიურ ორგანოებს (მაგალითად წევრთა საერთო ყრილობა) როლი თითქმის არ აქვთ, რადგანაც კომუნისტურ და ფაშისტურ სისტემებში არჩევნები არ არის აღიარებული ინსტიტუტი. ასეთი ტიპის პარტიებში არჩევნების აღქმა მეორეხარისხოვანია. პარტიის რეალური დანიშნულება პარტიის წევრის იდეოლოგიის განმტკიცება და ამ მიზნით აქტიური აგიტაცია-პროპაგანდაა. საკუთარი წევრებისგან მოითხოვენ უპირობო მორჩილებას და საჭიროების შემთხვევაში ძალისმიერი ბრძოლის მეთოდების გამოყენებას, როგორიც შეიძლება იყოს: გაფიცვა, აჯანყება, რევოლუცია და ა.შ. ამ პარტიებისადმი საზოგადოების აღქმა რელიგიური ფანატიზმისა და სამხედრო მორჩილების ერთგვარი ნაზავია. დიუვერჟე ამ პარტიებს მთავარ განმასხვავებელ ასპექტად სტრუქტურას, სოციალურ შემადგენლობას და მომავლის ხედვას მიიჩნევდა. კომუნისტური პარტია ეფუძნება საწარმოო უჯრედების სისტემას, ფაშისტური – თავისებურ პოლიციას, სხვადასხვა სახის არასახელმწიფო გასამხედროებულ რაზმებს. კომუნისტები წარმოადგენენ თავს როგორც მუშათა კლასის პოლიტიკურ გამოხატულებას, პროლეტარიატის მოწინავე რაზმს, რომელიც იბრძვის თავისუფლებისთვის. მეორენი, შედგებიან საშუალო კლასისა და წვრილი ბურჟუაზიისგან და მიზნად ისახავენ მათ დაცვასა და წინააღმდეგობას, რათა მუშათა კლასმა არ აიღოს ძალაუფლება თავის ხელში. და ბოლოს, კომუნიზმი გამოდის პროგრესის რწმენიდან, რომ შესაძლებელია კომუნიზმის მიღწევა. ფაშიზმს ახასიათებს კაცობრიობისადმი პესიმისტური ხედვა, იცავს ტრადიციულ და პირველად ღირებულებებს – ერთიანობას რასის, სისხლისა და ნიადაგის მიხედვით. (*ბერეკაშვილი თ. ბიქაშვილი მ. კიღურაძე ნ. მუსხელიშვილი მ. ჟორჟოლიანი გ. 2004*).

ახდენს თუ არა ზეგავლენას პარტიების რაოდენობა ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხზე?

დემოკრატიის ერთ-ერთი მაჩვენებელი პარტიული სისტემაა. გავრცელებულია ერთპარტიული და მრავალპარტიული სისტემები. ეს უკანასკნელი თავის მხრივ იყოფა ორპარტიულ, მრავალპარტიულ და დომინანტურ პარტიულ სისტემებად.

ერთპარტიული სისტემა არადემოკრატიული, ტოტალიტარული სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი და ამის მაგალითია კომუნისტური

და ჰიტლერის ნაციონალურ-სოციალისტური პარტიები. ერთი პარტიის პირობებში არჩევნებს ფიქტიური ხასიათი აქვს, რადგან გამარჯვებული მუდმივად ერთი პარტიაა. მოქალაქეებს არ ეძლევათ არც აქტიური და არც პასიური საარჩევნო უფლების გამოყენების საშუალება, რამდენადაც მმართველ პირებს ავტომატურად პარტიის მმართველობაც აქვთ შეთავსებული. ერთპარტიულ სისტემებში პარტია და სახელმწიფო გაიგივებული ცნებებია. მაგალითად, კომუნისტური პარტიის მმართველობის პირობებში, პოლიტიკური ან სხვა სახის წარმატებული კარიერის წინაპირობა კომუნისტური პარტიის წევრობა იყო. წევრობაზე უარის თქმა, გარდა უსაფრთხოების თვალსაზრისით პრობლემებისა, ავტომატურად ყველა შესაძლებლობების უარყოფას ნიშნავდა. ერთპარტიული მმართველობის დღეს არსებული შემთხვევებიდან აღსანიშნავია ჩრდილოეთ კორეა, სადაც კორეის შრომის პარტია, ერთადერთი და ამავე დროს მმართველი პარტიაა ქვეყანაში. პარტია ეფუძნება ჩუჩხე (მარქსიზმის ჩრდილოკორეული ვერსია) იდეოლოგიის კონცეფციას.

ორპარტიული სისტემის კლასიკური მაგალითებია დიდი ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების პარტიული სისტემები. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში ბევრი პოლიტიკური პარტიის არსებობა არის ნებადართული, არჩევნები ავლენს ორ მთავარ პარტიას და მათ ხელისუფლება გარკვეული მონაცვლეობით, არჩევნებში გამარჯვების შესაბამისად, უკავიათ. მაგალითად, აშშ-ში ლიდერობენ რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები, მაგრამ მათ გარდა ქვეყანაში არაერთი პარტია არსებობს როგორებიცაა ლიბერტარიანული, მწვანეთა, კონსტიტუციის და სხვა პარტიები.

მრავალპარტიული სისტემის პირობებში, ბევრი პოლიტიკური პარტია არსებობს, რომელთაგან რამდენიმე იგებს არჩევნებს, ოღონდ მანდატები იმგვარად ყალიბდება, რომ არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ აქვს საკმარისი რაოდენობა პოლიტიკური უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად. ამ პირობებში გამოსავალი პარტიებს შორის კოალიციის შექმნაა. რაც არჩევნებში გამარჯვებულ ძალებს კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების და პოლიტიკური კრიზისის (რაც მთავრობის ვერჩამოყალიბების შემთხვევაში შეიქმნება) თავიდან აცილების საშუალებას აძლევს. მრავალპარტიული სისტემის მაგალითია ევროპული სახელმწიფოები. მაგალითად, გერმანიის შემთხვევაში, რომელსაც პარტიული დემოკრატიის ქვეყანასაც უწოდებენ, პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი პარტიებს შორის ძლიერი კონკურენციაა. არჩევნები ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემით და პარლამენტში შესული პარტიები ქმნიან მთავრობას შეთანხმების საფუძველზე. დღეს მმართველ კოალიციაში, რომელიც 2018 წელს შეიქმნა, შედიან გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, ქრისტიან-სოციალისტური კავშირი და სოციალ-დემოკრატიული პარტია. ეს კოალიცია შეიქმნა მას შემდეგ, რაც ვერ მოხერხდა შეთანხმება საერთო პოზიციაზე მიგრაციის და ენე-

რგეტიკული პოლიტიკის საკითხებზე გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს, ბავარიის ქრისტიან-სოციალისტურ კავშირს, მწვანეთა პარტიას და თავისუფალ დემოკრატებს შორის. *(Politico Europe. 14 მარტი, 2018).*

დომინანტურია პარტიული სისტემა, როდესაც ქვეყანაში არსებობს მრავალი პოლიტიკური პარტია, მიუხედავად ამისა, ერთი პოლიტიკური პარტია დომინანტობს. ამის მაგალითია მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მართავდა ქვეყანას.

საქართველოში პარტიული სპექტრის განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პერიოდში არსებული პარტიები, საბჭოთა კავშირში ერთპარტიული სისტემის ჩამოყალიბებით დასრულდა. 1980-იან წლებში რეჟიმის დათბობასთან ერთად რამდენიმე იატაკქვეშა ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რომელიც მოგვიანებით პოლიტიკურ პარტიად იქცა (მაგალითად „რესპუბლიკური პარტია“), მაგრამ პოლიტიკური პარტიების წარმოშობის ძირითადი ტალღა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო.

საქართველოს პარტიული სპექტრის გაანალიზებისას შესაძლებელია რამდენიმე ანგარიშგასაწევი მახასიათებლის გამოყოფა. პირველი, პოლიტიკური პარტიები გამოირჩევიან იდეოლოგიური არასტაბილურობით, გაცხადებული იდეოლოგიური კუთვნილება ხშირად არ ემთხვევა პარტიის კურსს, ამასთანავე, პარტიის სიცოცხლისუნარიანობის პროცესში ხშირად დიდ როლს ლიდერები ასრულებენ. ლიდერის პოლიტიკიდან წასვლა, პარტიის პოლიტიკური სპექტრიდან გაქრობას განაპირობებს, როგორებიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შემთხვევაში პარტია „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, ედუარდ შევარდნაძის შემთხვევაში „მოქალაქეთა კავშირი“, ან ასლან აბაშიძის შემთხვევაში „დემოკრატიული აღორძინების კავშირი“ იყვნენ. საქართველოში პარტიული სისტემის კლასიფიკაციისას ის მრავალპარტიულიდან დომინანტურ პარტიულ სისტემებს შორის მერყეობს. როგორც წესი, წარმომადგენლობითი ორგანოები მეტ-ნაკლებად მრავალპარტიული შემადგენლობისაა, მაგრამ მმართველი პარტიები, როგორც წესი, ფლობენ იმ მოცულობის უმრავლესობას (იშვიათი გამონაკლისის გარდა), რომ დამოუკიდებლად მიიღონ მათთვის სასურველი გადაწყვეტილება. პოლიტიკური პარტიების სისუსტის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი ფინანსური დამოუკიდებლობის არარსებობაა. პოლიტიკური პარტიები შემოწირულობებზე და სახელმწიფოს დაფინანსებაზე არიან დამოკიდებულნი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო და პარტიული სისტემები, არა მხოლოდ არჩევნების, როგორც ინსტიტუტის და როგორც პროცესის რეალიზებაზე ზემოქმედი ფაქტორებია, არამედ, განაპირობებენ პოლიტიკური სისტემის კომპლექსურობას, ხელს უწყობენ ხელისუფლების შტოთა გამიჯვნის უზრუნველყოფას, მოქალაქეთა ჩართულობას და ა.შ. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი დემოკრატიულობის საზომი ინდექსი არჩევნებს და პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირებას უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. როგორია არჩევნების დანიშნულება პოლიტიკურ პროცესში?
2. რა განასხვავებს მაჟორიტარულ და პროპორციულ საარჩევნო სისტემებს ერთმანეთისგან?
3. რატომ არის საარჩევნო ბარიერი ანგარიშგასაწევი საკითხი პროპორციულ საარჩევნო სისტემაში?
4. შესაძლებელია თუ არა საარჩევნო და პარტიული სისტემების მიხედვით განვასხვავოთ ერთმანეთისგან სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმი?
5. დაუკავშირეთ ერთმანეთს პარტიული სისტემები და მორის დიუვერჟეს პოლიტიკური პარტიების ტიპოლოგიზაცია. ამ უკანასკნელის გამოყენებით, აღწერეთ თითოეული სისტემა.
6. როგორია საქართველოს გამოცდილება პოლიტიკურ პარტიებთან და საარჩევნო სისტემებთან მიმართებაში?
7. როგორ შეაფასებთ საქართველოს საარჩევნო გარემოს? რა გამოწვევების გადალახვა უწევს მას?

თავი 7. სამოქალაქო საზოგადოება

კომუნისტური სისტემის დაშლის შემდეგ პოლიტიკის მეცნიერებაში ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად ცნებას სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენდა. მეცნიერები თანხმდებოდნენ, რომ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების მთავარი გამოწვევა დემოკრატიაზე გადასვლის პროცესში სწორედ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება წარმოადგენდა. ჩნდება კითხვა, რატომ არის სამოქალაქო საზოგადოება ამდენად მნიშვნელოვანი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისთვის? იმიტომ, რომ სამოქალაქო საზოგადოება თავად არის ამ სისტემის შემოქმედი, დარაჯი. თუ როგორ ხდება ეს, ამაზე სახელმძღვანელოს მოცემულ თავში ვისაუბრებთ.

რა არის სამოქალაქო საზოგადოება?

2015 წლის 13 ივნისს თბილისში მოვარდნილმა წყალდიდობამ დიდი მსხვერპლი გამოიწვია და ქალაქს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. შედეგები იმდენად შოკისმომგვრელი იყო საზოგადოებისთვის, რომ მთელი ქალაქი, ასეულობით ადამიანი, დილიდან დაღამებამდე ებრძოდა სტიქიის შედეგებს. ნაწილი ნალექისგან ასუფთავებდა „მზიურს“ და გარდაცვლილთა ცხედრებს ეძებდა, ნაწილი დაზარალებული ადამიანებისთვის საკვებს და პირველად ნივთებს აგროვებდა, ნაწილი – მოხალისეებისთვის ეზიდებოდა წყალს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ქვეყანა იყო ჩართული ამ „სამოქალაქო აქტში“.

(www.ghn.ge)

ზემოთ აღწერილი პროცესი სამოქალაქო საზოგადოების ნიმუშია. პოლიტიკის მეცნიერებაში არსებულ ყველა სამოქალაქო საზოგადოების განმარტებაში დომინირებს მოსაზრება, რომ **სამოქალაქო საზოგადოება, ეს არის ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც საერთო მიზანს ისახავს და რაც მთავარია, ამ მიზანმა საზოგადოებას სიკეთე**

უნდა მოუტანოს. 13 ივნისის სტიქიის შედეგებთან მებრძოლი საზოგადოება, სწორედაც რომ ნებაყოფლობით იყო გაერთიანებული და საზოგადოებისთვის წყალდიდობის შედეგების შემსუბუქებას ისახავდა მიზნად.

სამოქალაქო საზოგადოება არის ადამიანთა ნებაყოფლობითი ერთობა, მაგრამ ყველა ასეთი გაერთიანება ვერ ჩაითვლება სამოქალაქო საზოგადოებად. ამიტომაც გამოიყოფა მთელი რიგი ნიშნები, რომელიც აღწერს სამოქალაქო საზოგადოებას.

სამოქალაქო საზოგადოება არის **თვითწარმოქმნადი**. ეს ნიშნავს, რომ გაერთიანების ინიციატივა ეკუთვნის საზოგადოების წევრებს და ის არ არის თავს მოხვეული გარე ძალების მიერ. მაგალითად, საბჭოთა კავშირში არსებული სხვადასხვა პროფესიული კავშირები (მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი და ა.შ.) ვერ ჩაითვლებიან სამოქალაქო საზოგადოების ნიმუშებად, რადგან მათ არსებული პოლიტიკური სისტემა ქმნიდა კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელთა საქმიანობის გასაკონტროლებლად. **განვითარების კურსის დამოუკიდებლად არჩევა** სამოქალაქო საზოგადოების შემდეგი ნიშანია. ხალხთა ერთობამ თავად უნდა განსაზღვროს მისი განვითარების გზა, დასახოს მიზნები, შეარჩიოს სტრატეგია და ა.შ. იგივე საბჭოთა კავშირში სისტემატურად ტარდებოდა „შაბათობები“, როდესაც საზოგადოების ფართო ფენები ჩართულები იყვნენ გარემოზე ზრუნვის პროცესში. მაგრამ ესეც სისტემის არჩევანი იყო და არა საზოგადოების ნება-სურვილის გამოხატულება.

სამოქალაქო საზოგადოება ასევე, უნდა იყოს **დეიდეოლოგიზირებული**. დემოკრატიული საზოგადოება გამორიცხავს საზოგადოებაში ერთი იდეოლოგიის დომინანტობას. პლურალიზმი და მრავალფეროვნება, ეს ის სიკეთეებია, რომელიც საზოგადოებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა. არადემოკრატიულ სისტემებში, ერთი იდეოლოგიის დომინანტურობის პირობებში განსხვავებული აზრის დევნა მიმდინარეობს, რაც მიუღებელია განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებისათვის. პოლიტიკური აქტორებისგან დაფინანსების მიღებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს საზოგადოების მიზნებზე. ამიტომაც, სამოქალაქო საზოგადოება უნდა იყოს **სახელმწიფოსგან ავტონომიური** და **თვითდაფინანსებადი**. მე-19 საუკუნეში არსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობა ამის საუკეთესო მაგალითია. როდესაც ქართველი განმანათლებლები აქტიურად თანამშრომლობდნენ იმდროინდელ შეძლებულ ადამიანებთან, რათა საზოგადოების არაერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წამოწყებისთვის ეშოვათ სახსრები. ეს იქნებოდა ქართველი ახალგაზრდების საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრება, თუ საგანმანათლებლო ლიტერატურის ბეჭდვა და მისი საზოგადოებაში გავრცელება.

და რაც მთავარია, სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა უნდა **ქმნიდეს ე.წ. „საზოგადოებრივ სიკეთეს“**. ის უნდა იყოს არა კერძო პირისთვის სიკეთის მომტანი, არამედ დიდ ჯგუფებს უნდა აძლევდეს სიკეთით სარგებლობის საშუალებას.

ამ ნიშნებზე ყურადღების გამახვილება საშუალებას გვაძლევს სამოქალაქო საზოგადოების კატეგორიაში არ მოვახვედროთ ისეთი რასისტული, ტერორისტული და ა.შ. დაჯგუფებები, როგორებიცაა მაგალითად „კუ კლუქს კლანი“ ან „ალ კაიდა“, რომლებიც შესაძლოა აკმაყოფილებენ სამოქალაქო საზოგადოების უმთავრეს ნიშნებს (არიან თვითწარმოქმნადები, აქვთ საერთო მიზანი, თავადვე იძიებენ ფინანსებს და ა.შ.), მაგრამ არ აკმაყოფილებენ მთავარს – ვერ ქმნიან საზოგადოებრივ სიკეთეს. პირიქით, მათი საქმიანობა საზოგადოებაში არეულობას და დესტაბილიზაციას იწვევს. ასეთ საზოგადოებებს **„არასამოქალაქო საზოგადოებას“** უწოდებენ *(იხ. ჩანართი 16).*

ჩანართი 16. „კუ კლუქს კლანი“

1865 წლის 24 დეკემბერს, ტენესის შტატში, ამერიკის კონფედერაციული შტატების არმიის ექვსმა ვეტერანმა, საძმოს ტიპის ორგანიზაცია „კუ კლუქს კლანი“ დააარსა, რომელიც მალე მრავალრიცხოვან რასისტულ და ანტისემიტურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ისინი აქტიურად იყენებდნენ ძალადობრივ მეთოდებს. ორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო თეთრკანიანთა უზენაესობის აღდგენა, რომელიც მათი აზრით, მონობის გაუქმებით შეილახა. ისინი იჭერდნენ და ლინჩის წესით ასამართლებდნენ მონობიდან ახლად განთავისუფლებულ ადამიანებს. განსაკუთრებით ერჩოდნენ შავკანიან პოლიტიკოსებს, რომელთაც ოჯახის წევრებთან ერთად კლავდნენ. მკვლელობათა სერია საკმაოდ მასშტაბური იყო. 1968 წლის საარჩევნო პერიოდში სხვადასხვა წყაროების მიხედვით ლუიზიანას შტატში დაახლოებით 2000 ადამიანი დახოცეს. „კუ კლუქს კლანის“ მოქმედებებმა ფედერალური მთავრობა აიძულა დაეწყო მოძრაობის წევრების დევნა. საპასუხოდ მათ ნიღბების ტარება დაიწყეს, რათა თავი აერიდებინათ სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. მოგვიანებით კლანის დოქტრინას ანტიკათოლიციზმი და მიგრანტების მიუღებლობა დაემატა. დღესდღეობით „კუ კლუქს კლანი“ დივერსიულ ორგანიზაციად ითვლება. (McVeigh R. 2009).

ვინ შეიძლება ჩავთვალოთ სამოქალაქო საზოგადოების წევრებად?

გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა (1770–1831) ერთმანეთისგან გამიჯნა „სამოქალაქო საზოგადოება“ და „პოლიტიკური საზოგადოება“. მისი აზრით, სამოქალაქო საზოგადოება არის არაპოლიტიკური გაერთიანება, რომელიც მიმართულია ადამიანების არაერთგვაროვანი, ზოგჯერ დაპირისპირებული ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ. ამასთანავე, მან ერთმანეთისგან გამოყო საზოგადოების სამი სხვადასხვა დონე, რომელიც ერთანეთისაგან დამოუკიდებელია, ესენია: **ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო.** ისინი ავტონომიური სივრცეებია და ურთი-

ერთქმედების თავისი წესები აქვთ. აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ რამდენიმე დაშვება:

- ხელისუფლება ყველაზე მაღლა დგას, მას აქვს სხვა დანარჩენზე ზრუნვის ვალდებულება. მაგრამ ზრუნვა უნდა აღვიქვათ, როგორც მისი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა;
- სამოქალაქო საზოგადოება გამიჯნულია ხელისუფლებისაგან, მას შეუძლია აკონტროლოს ხელისუფლება და ასევე, შესთავაზოს მას საკითხის გადაჭრის შესაძლო ალტერნატივები;
- სამოქალაქო საზოგადოება ასევე გამიჯნულია ბიზნესისგან, რადგანაც ეს უკანასკნელი მოგების მიღებაზეა ორიენტირებული;
- ოჯახი ადამიანის პირადი სივრცეა და მასში შეჭრის უფლება არც სახელმწიფოს აქვს და არც სამოქალაქო საზოგადოებას.

ზემოაღნიშნული დაშვებებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მოიცავდეს ფორმალურ (ოფიციალურად დარეგისტრირებულ) და არაფორმალურ ორგანიზაციათა შემდეგი ტიპის ფორმებს:

1. **პოლიტიკური პარტიის** მთავარ მისწრაფებას ხელისუფლებაში მოსვლა წარმოადგენს, მაგრამ ამასთან ერთად, ის ასრულებს სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს:
   - ახდენს საზოგადოებაში არსებული პრობლემების თავმოყრას მთელი ქვეყნის მასშტაბით (ამისთვის იყენებს თავის რეგიონულ ორგანიზაციებს) და ზრდის საზოგადოების ცნობიერებას ამ პრობლემის მიმართ;
   - მუშაობს შერჩეული საკითხების პოლიტიკის დღის წესრიგში ჩასართავად, რათა ხელისუფლება დააინტერესოს ამ საკითხით და იმუშაოს მის გადაჭრაზე;
   - ეწევა ამომრჩეველთა ინფორმირებას და ამაღლებს საზოგადოების სამოქალაქო-პოლიტიკურ კულტურას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ის სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად ჩაითვლება;
2. **ასოციაციები და ორგანიზაციები,** რომლებიც მუშაობენ კონკრეტული მიმართულებით კოლექტიური უფლებების დასაცავად, ცნობიერების ასამაღლებლად და ა.შ. მაგალითად, სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ა.შ.;
3. **პროფესიული კავშირები** პროფესიული ნიშნით გაერთიანებული ადამიანების ჯგუფებია, რომლებიც მუშაობენ წევრების საერთო მატერიალური ან პროფესიული ინტერესების დასაცავად. მაგალითად: მაღაროელთა პროფესიული კავშირი, პედაგოგთა პროფესიული კავშირი და ა.შ.;
4. **საგანმანათლებლო ორგანიზაციები** (უნივერსიტეტი, სკოლა და ა.შ), რომლებიც აწარმოებენ საზოგადოებრივ ცოდნას, აწარმოებენ

და ავრცელებენ ინფორმაციას. აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ ბიზნესი არ არის სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი (რადგანაც მოგებაზეა ორიენტირებული) უნივერსიტეტების ნაწილი, რომელიც წარმოადგენს კერძო ბიზნესს, ჩაითვლება თუ არა სამოქალაქო საზოგადოებად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები გარდა სპეციალობაში დახელოვნებისა, საზოგადოებისათვის სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფუნქციებსაც ასრულებენ. კერძოდ, ამაღლებენ მოქალაქეთა ცნობიერებას და სამოქალაქო კომპეტენციას, აძლევენ საშუალებას მოემზადონ სამოქალაქო ჩართულობისათვის და ხსნიან არხებს რეალიზაციისათვის და ა.შ. აქედან გამომდინარე, ისინი სამოქალაქო საზოგადოების წევრებს წარმოადგენენ;

5. **მასობრივი მედიასაშუალებები** საზოგადოების ინფორმირების, ცნობიერების ამაღლების, ხელისუფლების მონიტორინგის და სხვა მსგავსი მიმართულებით მუშაობისას სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ძალას წარმოადგენენ. მედიის, როგორც ბიზნესის ფორმით ოპერირება იგივე კითხვებს აჩენს, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაშია, მაგრამ მის მიერ შესრულებული ფუნქცია მათ სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს წევრებად აქცევს;
6. **გარკვეულ პრობლემატიკაზე მომუშავე ინტერესთა ჯგუფები:** ეკოლოგიური მოძრაობები, ქალთა უფლებების დამცველები და ა.შ.;
7. **სათემო კავშირები,** რომლებიც მუშაობენ ადგილობრივი გარემოს გასაუმჯობესებლად;
8. **რელიგიური დაწესებულებები,** როგორც ნებაყოფლობითი გაერთიანებები საკუთარი საქმიანობით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნის პროცესში ერთვებიან, რამდენადაც გარდა რიტუალებისა, ეწევიან საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და ა.შ. საქმიანობას;
9. **სხვადასხვა ტიპის კლუბები** (მუსიკოსთა, სპორტული, სამხატვრო), რომლებიც მართალია სამოქალაქო-პოლიტიკურ აქტივობებს შეესაძლოა არ ახორციელებენ, მაგრამ მათი საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების კატეგორიებით შეიძლება აღიწეროს.

სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციები

ლარი დაიმონდი (1951) სამოქალაქო საზოგადოების ძალიან ცნობილი ამერიკელი მკვლევარია. მან თავისი სამეცნიერო საქმიანობის დიდი ნაწილი სწორედ დემოკრატიაზე გადასვლის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების შესწავლას მიუძღვნა. ერთ-ერთ წიგნში „დემოკრატიის განვითარება“ მან გამოყო ათი ძირითადი ფუნქცია, რომელიც მისი აზრით უნდა იტვირთოს სამოქალაქო საზოგადოებამ. ეს ფუნქციებია:

1. **ხელისუფლების მონიტორინგის** ფუნქციის შესრულებისას სამოქალაქო საზოგადოება აიძულებს ხელისუფლებას დარჩეს იმ ჩარჩო-

ებში, რომელიც მას კანონმა განუსაზღვრა, გარდა ამისა, ეს ფუნქცია ეხმარება გარდამავალ სახელმწიფოებს შეინარჩუნონ პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიზაციის კურსი;

2. **პოლიტიკური პარტიების მიერ თავიანთი დანიშნულების შესრულება.** საზოგადოების სამოქალაქო-პოლიტიკური ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფით, პრობლემების იდენტიფიცირებითა და მათ გარშემო საზოგადოების ყურადღების მობილიზებით, მოქალაქეების სამოქალაქო-პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულობით, რაც პარტიებს უფრო მეტად აჯანსაღებთ;
3. **სამოქალაქო საზოგადოების როლი უდიდესია ღირებულებების გადაფასების პროცესში.** დემოკრატია, უმთავრესად ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური რეჟიმია, რომელიც აღიარებს ინდივიდის თავისუფლებას, სოლიდარობას, პლურალიზმს, სამართლიანობის უზენაესობას. ამ ყველაფრის გააზრება გარდამავალი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. სამოქალაქო საზოგადოება კი თავისი აქტივობებით ღირებულებების დანერგვას ყოველდღიური პრაქტიკის ნაწილად აქცევს;
4. სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა სხვადასხვა **მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფების ინტერესთა გამოხატვის** დამატებით არხს წარმოადგენს. ეს შეიძლება იყოს მაგალითად: ქალები, სხვადასხვა ტიპის უმცირესობები, რომლებიც პოლიტიკაში მონაწილეობის დაბალი ხარისხის გამო ვერ ახერხებენ საკუთარი ინტერესების დაცვას. სამოქალაქო საზოგადოებას კი, ამ დანაკლისის შევსება საკუთარი საქმიანობით შეუძლია;
5. სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება მოგვევლინოს ქვეყანაში დაძაბულობის, განსხვავებული აზრის გამო დაპირისპირების პრევენციის მექანიზმად, რამდენადაც პლურალიზმი, მისი მთავარი მახასიათებელია. მას შეუძლია **მოლაპარაკების, დისკუსიის ინიცირებით დაძაბულობის შემცირება;**
6. **პოლიტიკური ლიდერების შერჩევა და აღმოჩენა.** ხშირია შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები პოლიტიკურ ლიდერებად გვევლინებიან. ავტორი ამას დადებით მოვლენად აღწერს, რადგანაც მისი აზრით, ასეთმა ლიდერმა იცის საზოგადოების საჭიროებები და შეუძლია პოლიტიკის დღის წესრიგში მათი ასახვა;
7. სამოქალაქო საზოგადოებას მნიშვნელოვანი როლი შეაქვს გარდამავალ საზოგადოებებში **პოლიტიკური სისტემის გაძლიერებაში,** რამდენადაც ჩართულნი არიან სხვადასხვა ტიპის რეფორმების ინიცირების, მონიტორინგისა თუ შეფასების პროცესში;
8. დამოუკიდებელი მასმედია ის საშუალებაა, რომელიც იძლევა როგორც **მოქალაქეთა ინფორმირების ასევე, მონიტორინგის საშუა-**

ლებას. ეს კი ნებისმიერი დემოკრატიის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს;

9. სამოქალაქო საზოგადოების როლი უმნიშვნელოვანესია **ახალი ინიციატივების, რეფორმების მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების** კუთხით. მათ შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების მიმღებლობა, დაარწმუნონ ისინი სიახლის გატარების აუცილებლობაში;
10. მეათე ფუნქციის შესრულება სხვა დანარჩენი ფუნქციის წარმატებაზეა დამოკიდებული. ზემოაღნიშნული ფუნქციები ეხებოდა რა საზოგადოების ინფორმირებას, ხელისუფლების მონიტორინგს, საზოგადოების ჩართულობას და ა.შ. **მთლიანობაში უზრუნველყოფს სისტემის სიჯანსაღეს და საზოგადოების თვალში ლეგიტიმურობას.** ეს უკანასკნელი კი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს.

ჩანართი 17. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა

მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი მათი ინფორმირებაა, როდესაც ისინი ფლობენ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების და მისი მახასიათებლების შესახებ. ამ ინფორმაციის მიღება სხვადასხვა არხების საშუალებით არის შესაძლებელი, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაა. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს ბიუჯეტის დანახარჯები, საშტატო განრიგი, საკითხის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და ა.შ.

ინფორმაციის გამოთხოვის სამი ძირითადი გზა არსებობს, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია:

1. საჯარო დაწესებულებების ვებგვერდზე განთავსებულია შესაბამისი ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციისათვის ინფორმაციის მოთხოვნის შესაძლებლობას;



2. როგორც წესი, საჯარო ორგანოებს აქვთ ვალდებულება ჰყავდეთ კადრი, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. მისი საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე.



3. ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი https://my.gov.ge, სადაც სხვა რესურსებთან ერთად განთავსებულია ინფორმაციის დისტანციურად გამოთხოვის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ამ პორტალის საშუალებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ყველა იმ ორგანიზაციიდან, რომელიც ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში.



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. ხშირ შემთხვევაში, სწორედ სამოქალაქო საზოგადოება, ხელისუფლების მუდმივი მონიტორინგის და თანამშრომლობის პირობებში, წარმოადგენს დემოკრატიის გარანტს ქვეყანაში.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. როგორია ურთიერთმიმართება სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ რეჟიმებს შორის?
2. რატომ ენიჭება სამოქალაქო საზოგადოებას ასეთი დიდი მნიშვნელობა დემოკრატიაზე გადასვლის პროცესში?
3. ლარი დაიმონდის სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციების გამოყენებით გააანალიზეთ, რამდენად ასრულებს თავის ფუნქციას სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
4. რა არის მთავარი გამოწვევა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესში?
5. შეიძლება თუ არა პოლიტიკური პარტია და მასმედია განხილულ იქნეს სამოქალაქო საზოგადოების ნაწილებად? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
6. რითი დაეხმარება სამოქალაქო განათლების სწავლება სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას?
7. როგორ შეაფასებთ, თქვენ რა როლი გაქვთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესში?

თავი 8. მასმედიის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში

სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბრისას, არაერთხელ გავუსვით ხაზი მასმედიის მნიშვნელობას დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების პროცესში. მისი რესურსებისა და მოქალაქეთა ჩართვის შესაძლებლობის გათვალისწინებით გადავწყვიტეთ მასმედიის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში ცალკე თავში განგვეხილა. მედიის მიერ ხელისუფლების მონიტორინგის, ადამიანის უფლებების დაცვის, მოქალაქეთათვის შესაძლებლობის ფანჯრის გახსნის დიდი არეალის გამო, მას ხშირად ხელისუფლების მეოთხე შტოსაც უწოდებენ, რაც ამ ინსტიტუტის მნიშვნელობის და დიდი ზეგავლენის მიმანიშნებელია. მოცემული თავი მიმოიხილავს ტრადიციული და ახალი მედიის მიერ მოქალაქეთათვის მიცემულ შესაძლებლობებს, რომლის გაცნობა დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მედია, როგორც დემოკრატიის გუშაგი

საზოგადოების წარმომადგენლობით დემოკრატიაზე გადასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა მმართველებსა და მართულებს შორის კომუნიკაციის საკითხია. ხელისუფლებას სჭირდება მოუსმინოს საზოგადოებას, რათა გაითვალისწინოს მათი პრიორიტეტები, ასევე მან უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ხალხს საკუთარი პოლიტიკური კურსის შესახებ. ხშირ შემთხვევაში, საზოგადოება თავად ახსენებს ხელისუფლებას მისი პოზიციის შესახებ და მოითხოვს რეაგირებას. ეს ყველაფერი კი საჭიროებს შუამავალი რგოლის არსებობას რა ფუნქციაც მასობრივი მედიის საშუალებებმა იტვირთეს. თუ ადრე ამას ჟურნალ-გაზეთები, რადიო და ტელევიზია ასრულებდა, ინტერნეტის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მედიის შესაძლებლობებს ახალი განზომილება შესძინა. მასმედიამ დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესებს შეიძლება ოთხი ძირითადი მიმართულებით შეუწყოს ხელი. ესენია:

1. **პოლიტიკური დისკუსიების და დებატების ორგანიზება და მასში საზოგადოების თანამონაწილეობა.** ეს მიმართულება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთი მხრივ მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობა, მეორე მხრივ კი – პოლიტიკური განათლების მიღების საშუალება. მკვლევართა ნაწილი მედიას დიალოგის არენად აღიქვამს და რამდენადაც ეს დიალოგი პარლამენტში ან სხვა სათათბირო ორგანოში დღესდღეობით შეზღუდულია, მედია სათათბირო ორგანოს გარკვეულწილად ჩამნაცვლებლად შეგვიძლია აღვიქვათ. აქ საზოგადოების ყველა აქტორს შეუძლია პოზიციის დაფიქსირება, კითხვის დასმა და პასუხების მოთხოვნა, რაც პროცესს უფრო ცოცხალს და აქტიურს ხდის;
2. **ხელისუფლების გადაცდომის იდენტიფიცირება და საზოგადოების მისგან დაცვა.** პოლიტიკური ინტერესების არქონის პირობებში თა-

ვისუფალი მედია ცდილობს გაჰყვეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს კვალდაკვალ, გამოამზეუროს ყველა შესაძლო გადაცდომის, კორუფციის, პოლიტიკური დანაშაულის და სხვა მსგავსი მაგალითები. სწორედ ამიტომაა, რომ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიაგარემოს შექმნა, რათა მან თავისი ვალდებულება ზედმიწევნით სწორად შეასრულოს;

3. **ძალაუფლების და პოლიტიკური პროცესის გადანაწილება.** დამოუკიდებელი მედია საშუალებას იძლევა დროულად დაფიქსირდეს ძალაუფლების მიტაცების შემთხვევა ან/და მოხდეს მისი დროული პრევენცია. მედია აფართოებს პოლიტიკის არეალს მთელი ქვეყნის მასშტაბით და არ კეტავს მას ერთ კონკრეტულ ლოკაციაზე, მაგალითად დედაქალაქში;
4. **დემოკრატიისათვის ხელსაყრელი სამოქმედო მექანიზმის ამუშავება.** ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალიწინებით, მედიას აქვს არაერთი პოლიტიკური საკითხის ინიცირების, პროცესის მონიტორინგის, შეფასების, ალტერნატიული დასკვნების მომზადების, საზოგადოებისთვის გაცნობის, უკუკავშირის მიღების და ა.შ. მექანიზმები, რაც დემოკრატიული საზოგადოების მართვა-გამგეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. *(ჰეივუდი ე. გვ. 309-310).*

როგორ შეცვალა სოციალურმა მედიამ სამოქალაქო ჩართულობის გაგება?

2005 წელს რუპერტ მერდოკმა (1931), ამერიკელმა მედიამაგნატმა, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, რომ ეპოქა, როდესაც საინფორმაციო გამოცემების რედაქტორები აკონტროლებდნენ ხალხს თუ რა უნდა სცოდნოდა და რა არა, დასრულდა. ახალ ეპოქაში საზოგადოებამ თვითონ უნდა ისაუბროს, იკამათოს, დასვას შეკითხვები და მოუსმინოს პასუხებს. მერდოკის ეს გამონათქვამი კარგად აღწერს ურთიერთმიმართებას ტრადიციულ და ახალ, სოციალურ მედიას შორის. თუ ტრადიციული მედია უფრო მეტად სარედაქციო პოლიტიკის გამავრცელებლად გვევლინებოდა და საზოგადოების უკუკავშირისთვის შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა, ახალი მედიის პირობებში მოქალაქეს თავად შეუძლია შექმნას ამბავი, სიუჟეტი, გაავრცელოს ის და მეტიც, მიიღოს საზოგადოების უკუკავშირი. ამან ახალი კონცეფციის „მოქალაქე რეპორტიორის“ გაჩენას შეუწყო ხელი, რომელთა ქსელის შექმნასაც თავად გარკვეული მედიასაშუალებები უწყობენ ხელს. ერთ-ერთი ასეთი მედიაორგანიზაციაა „მთის ამბები” (https://mtisambebi.ge/), რომელიც ინტენსიურად აშუქებს მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს მულტიმედიური ახალი ამბებისა და სიღრმისეული რეპორტაჟების საშუალებით და აწარმოებს ადვოკატირების კამპანიებს ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის ხელშეწყობის მიზნით.

ჩანართი 18. „მთის ამბები“ და მოქალაქე რეპორტიორი

„მთის ამბები“ მოქალაქე რეპორტიორებს აერთიანებს, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის კვალდაკვალ მოქალაქე რეპორტიორობასაც ითავსებენ და საზოგადოებას მთაში მიმდინარე მოვლენების შესახებ უყვებიან. პროექტ „მთის ამბების“ მიზანი საქართველოში მთაზე ორიენტირებული მედიარესურსის განვითარება და მაღალმთიან დასახლებებში პრობლემების გადაწყვეტის ხელშეწყობაა.

„სალომე ცისკარაული არხოტიდანაა, თუმცა რაჭაში გაიზარდა. გული სწყდება, რომ ზემო რაჭის სოფლებიდან არავის ჩამოაქვს ამბები აქა-იქ დარჩენილ ადამიანებზე, ახალგაზრდებზე, ბავშვებსა და მოხუცებზე, რომლებსაც ხანდახან დათვების შემოსევისგანაც კი უხდებათ ხოლმე ყანის დაცვა, რომ ზამთარში სარჩოს გარეშე არ დარჩნენ...

ანნა შატილის კოშკების მფლობელი ჭინჭარაულების შთამომავალია. მართალია მთის დაუწერელი კანონებით მას კოშკი არ ერგო რადგან გოგოა, მაგრამ იქვე, ახლოს, მალე საკუთარ კაფეს გახსნის, რომელიც ტურისტებს მოემსახურება. მთის პრობლემების მოგვარების პროცესშიც აქტიურად ჩართვას აპირებს...

ერეკლე სოსელია სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში სწავლობს და ვიდეობლოგებით სურს ის ემოციები აჩვენოს, რაც თვითონ აქვს მოგზაურობისას.

გაგა შეთეკაურმა ბარი დატოვა და მთაში წავიდა საცხოვრებლად. შუაფხოს სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელია. ეღიმება, როცა ეუბნებიან, სამინისტროშიც შეგეძლო გემუშავა, ცხოვრებას რატომ ირთულებო. გაგამ იცის, რომ ბედნიერება ხანდახან იქ არის, სადაც სხვები შეიძლება საერთოდ ვერ ხედავდნენ – ქალაქისგან მოწყვეტილ სოფელში, კომფორტის ზონის მიღმა, სადაც სულ გელიან პატარა ბავშვები დიდი თვალებით. ყველა მათგანის მთავარი მიზანია მთის მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლა, რაც შეიძლება „ჩქარა, დროზე და მალე!“ (https://mtisambebi.ge 2017).

სოციალური მედია არადემოკრატიულ საზოგადოებებში და ტრადიციული მედიის არათავისუფლების პირობებში, შესაძლებელია, საზოგადოების ინფორმირების და მობილიზების უმთავრესი წყარო გახდეს. მაგალითად, 2011 წელს ტუნისსა და ეგვიპტეში საზოგადოების ანტისახელისუფლებო აქციების დროს კოორდინირების და ინფორმაციის გავრცელების უმთავრეს საშუალებას სოციალური ქსელები: Twitter, Youtube და Facebook წარმოადგენდნენ. აქედან გამომდინარე, ავტორიტარული საზოგადოებები, ხშირად ამ სივრცეების შეზღუდვას ცდილობენ. ამის მაგალითია თურქეთში Youtube დაბლოკვის ან ჩრდილოეთ კორეაში ინტერნეტზე დაწესებული მკაცრი შეზღუდვის შემთხვევები. სოციალური მედიის უსაზღვრო შესაძლებლობებს თან ახლავს პრობლემაც, რომელიც ყალბი

ინფორმაციის გავრცელებას უკავშირდება. თავად სოციალური ქსელები ცდილობენ გააკონტროლონ და გაწმინდონ თავიანთი სივრცე ყალბი პროფილებისგან და ე.წ. „ტროლებისგან“, რაც დიდ დროს და რესურსს მოითხოვს. მაგალითად, 2019 წლის 20 დეკემბერს სოციალურმა ქსელმა Facebook-მა თავისი პლატფორმიდან 418 ქართული ანგარიში (39 პროფილი, 344 გვერდი, 13 ჯგუფი და 22 Instagram-ანგარიში) წაშალა. ამის მიზეზი წაშლილი ანგარიშების კოორდინირებული და არაავთენტიკური ქცევა გახდა. ეს ანგარიშები იყო ყალბი, რომელიც კოორდინირებულად აზიარებდა ერთსა და იმავე ინფორმაციას, რომელიც როგორც წესი, ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ იყო მიმართული, ან კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებას ისახავდა მიზნად. ამასთანავე, ეს ანგარიშები შეთანხმებულად და არამართლზომიერად იყენებდნენ დარეპორტებას და სოციალური ქსელების სხვა ფუნქციებს (*http://factcheck.ge 2019*). ამ პრობლემასთან ბრძოლის საუკეთესო გამოსავალი საზოგადოებაში მედიაწიგნიერების კომპეტენციის ამაღლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებამ თავად ისწავლოს ინფორმაციის შეფასება და შეძლოს ყალბი და ნამდვილი ინფორმაციის ერთმანეთისგან განსხვავება.

როგორ შევაფასოთ საინფორმაციო წყაროს სანდოობა? მედიას ოთხი მთავარი მიზანი აქვს:

1. მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში მოცემულია კონკრეტული ინდივიდის ან ინსტიტუტის თვალსაზრისი, პოზიცია. შესაბამისად, საზოგადოებისათვის **შეხედულებების გაცნობა** შეიძლება იყოს მედიის მიზანი. მაგალითად, როგორია უნივერსიტეტების პოზიცია განათლების სამინისტროს მიერ წამოყენებულ კონკრეტულ ინიციატივასთან დაკავშირებით;
2. როდესაც მედიის მიზანი საზოგადოების **განათლებაა**, გავრცელებული ინფორმაცია ფაქტებსა და დეტალებზეა ორიენტირებული. მაგალითად, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შემთხვევაში როგორია ბალანსი სახელმწიფოს მიერ გასაღებ რესურსებსა და პოტენციურ მოგებას შორის;
3. მედიის მიერ გაუღერებული რესურსები ზოგჯერ ცდილობენ **დაარწმუნონ** საზოგადოება, მაგალითად, რომ უნდა წავიდნენ არჩევნებზე, ან რომ უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე ოჯახური ძალადობის ხილვის შემთხვევაში და ა.შ.;
4. შეიძლება ითქვას, რომ მედიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი საზოგადოების **გართობაა.** შესაძლებელია, ნებისმიერი ტიპის გადაცემას დაემატოს გართობის კომპონენტი, რაც იმით აიხსნება, რომ მედია ამით მაყურებელს იზიდავს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქემ განსაზღვროს, შეაფასოს და გადაამოწმოს რამდენად სანდოა წყარო და მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. ამისათვის მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს რამდენიმე შეკითხვას:

- ვინ დაბეჭდა ან ვინ არის ინფორმაციის ავტორი?
- რა არის ცნობილი პუბლიკაციის ან ავტორის შესახებ?
- ცნობილია თუ არა გამომცემლის/ავტორის მიზანი ან ამოცანა?
- იღებენ თუ არა რაიმე პირად სარგებელს აღნიშნულ საკითხ(ებ)ის აქცენტირებით გამომცემლობა ანდა ავტორი?
- როგორ იქნა ინფორმაცია მოპოვებული: თვითმხილველების, ექსპერტების, ცნობილი თუ უცნობი წყაროდან?
- დასტურდება თუ არა წარმოდგენილი ინფორმაცია სხვა წყაროს მიერაც?
- ვინ აფინანსებს წყაროს?

ჩანართი 19. საარჩევნო კამპანიის ინიციატივების გაშუქების მოდელი. რეკომენდაცია ჟურნალისტებს:

- ***შემოწმება და კონტროლი.*** *გადაამოწმე რეალისტურია ინიციატივა თუ არა, შეესაბამება თუ არა საკანონმდებლო ჩარჩოს, დგას თუ არა პარტია ამ ინიციატივის უკან, თუ ეს მხოლოდ ინდივიდუალური ინიციატივაა პარტიის მხარდაჭერის გარეშე;*
- ***ტესტი ფინანსებზე****. „საიდან მოდის ფული?“ საარჩევნო კამპანიის ყველა ინიციატივა და წინადადება ფული ღირს და დაფინანსებას საჭიროებს. ეს ფული რაღაც კონკრეტული ბიუჯეტიდან უნდა მოვიდეს. თუ კანდიდატს არ შეუძლია თქვას საიდან უნდა დაფინანსდეს მისი შემოთავაზებული გაუმჯობესებები, იგი ძნელად ჩაითვლება სერიოზულ კანდიდატად;*
- ***შეაფასე განცხადებების ღირებულება****. მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო წყაროს ეყრდნობა განცხადება? რაც უფრო მნიშვნელოვანია წყარო, მით უფრო ღირებულია განცხადება;*
- ***შეამოწმე შედეგები****. რა შედეგი მოჰყვება ინიციატივას? დამოუკიდებელმა ექსპერტებმა უნდა შეაფასონ შესაძლო შედეგები. (ჰანსენი ჰ. 2008).*

როდესაც წყაროს შესახებ ინფორმაციის მოძიება რთულდება, ეს აჩენს ლოგიკურ ეჭვებს, ხომ არ არიან აქ დაინტერესებული მხარეები, რომელთაც სწორედ ამ ფორმით სურთ ინფორმაციის გავრცელება. შესაბამისად, ამ წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ინფორმაციის დასადასტურებლად დამატებითი წყაროების მოძიება ინფორმაციის შეფასების თანმდევი პროცესი უნდა იყოს ვიდრე მივიღებდეთ წყაროს როგორც ზუსტსა და სანდოს. მიკერძოებულობა შეიძლება აღვიქვათ, როგორც ფაქტების მიზანმიმართული სელექცია, რაც მთლიან სურათზე ახდენს ზეგავლენას. მთლიანობაში ამან შესაძლებელია საზოგადოებაში მოვლენის დამახინჯებული აღქმა გამოიწვიოს.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. როგორია მასმედიის როლი მართვა-გამგეობის განხორციელების პროცესში?
2. რატომ უწოდებენ მედიას მეოთხე ხელისუფლებას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
3. რა შესაძლებლობები მისცა მოქალაქეებს სოციალური მედიის განვითარებამ?
4. როგორ გესმით „მოქალაქე რეპორტიორის“ კონცეფცია? თავად ხომ არ გაქვთ მსგავსი გამოცდილება?
5. რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქეების მედიაწიგნიერების კომპეტენციის ამაღლება დემოკრატიულ საზოგადოებაში?
6. როგორ უნდა ამოვიცნოთ ყალბი ინფორმაცია?
7. როგორ შეაფასებდით, რა არის მთავარი გამოწვევა საქართველოში დამოუკიდებელი მედიის ჩამოყალიბების პროცესში? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

თავი 9. ადამიანის უფლებათა არსი, თვისებები, კლასიფიკაცია

ადამიანის უფლებების ისტორიული წყაროები ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მოგვეპოვება, კერძოდ, ძველბერძნულ ფილოსოფიაში, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიებში. თუმცა, ადამიანის უფლებათა კონცეფცია ყველაზე თვალსაჩინოდ XVII საუკუნის განმანათლებლობაში გამოიკვეთა.

განმანათლებლობამ მკაფიოდ გამოკვეთა ადამიანის პიროვნება, მისი ინდივიდუალიზმი. განმანათლებლური ტრადიციის თანახმად, ადამიანები იბადებიან ფუნდამენტალური თანდაყოლილი უფლებებით. სწორედ ეს უფლებები იცავს ადამიანს სახელმწიფოს ძალაუფლებისაგან, სახელმწიფოს კი, ავალდებულებს დაიცვას ადამიანის უფლებები. სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვა საშუალებას აძლევს ადამიანს ღირსეულად იცხოვროს დედამიწაზე. სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა სახელწიფოში იდებოდა ისეთი ხელშეკრულებები და იქმნებოდა ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ადამიანის რომელიმე უფლებას იცავდა – რწმენის თავისუფლებას, საკუთრების უფლებას, მონობის აკრძალვას და სხვა, მაგრამ ამ უფლებებს არ ჰქონდათ უნივერსალური ხასიათი და, როგორც წესი, მოქალაქეთა გარკვეულ ფენაზე იყო მორგებული. თუმცა, ამ შეთანხმებებმა დროთა განმავლობაში საფუძველი დაუდეს ადამიანის უფლებების განმტკიცებას.

მაგალითისთვის გავიხსენოთ „თავისუფლების დიდი ქარტია“ რომელიც 1215 წელს დაიდო ინგლისის მეფის ჯონ უმიწაწყლოსა და ინგლისელ ბარონებსა და დიდებულებს შორის. ის მხოლოდ დიდებულებზე ვრცელდებოდა და არა დაბალი სოციალური ფენის მოქალაქეებზე. ამასთან, დოკუმენტის ზოგიერთი პუნქტი შუა საუკუნეების სამართლისა და ტრადიციის გამომხატველი იყო, მაგრამ „თავისუფლების დიდი ქარტია“ იქცა მთელ მსოფლიოში ადამიანის თავისუფლების სიმბოლოდ. შუა საუკუნეების შემდგომ ეპოქებში ადამიანის უფლებების კონცეფციამ ახალი შინაარსი შეიძინა. მისი გააზრება აღარ უკავშირდებოდა რაიმე სახის პრივილეგიას. ახალ დროში ადამიანის უფლებებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო. მოხდა მისი ფუნდამენტალურ უფლებებად გააზრება.

ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი თავის პოლიტიკურ ფილოსოფიაში ამკვიდრებს ადამიანის ბუნებრივი უფლებების ცნებას. ბუნებრივი უფლებები ადამიანის თანდაყოლილი უფლებებია, მისი ფლობისათვის მხოლოდ ადამიანად დაბადებაა საკმარისი. ბუნებრივ უფლებებს ადამიანს ბუნება ანიჭებს და არა მეფე და ხელისუფლება. ჯონ ლოკის სახელს უკავშირდება ადამიანის უფლება სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და საკუთრებაზე.



ჯონ ლოკი (1632-1704) ინგლისელი ფილოსოფოსი, განმანათლებელი, ლიბერალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ლოკის სახელთანაა დაკავშირებული ,,ადამიანის ბუნებითი უფლებების“ ცნება. ამ ცნებაში იგი სიცოცხლის, თავისუფლების და ქონების უფლებებს მოიაზრებს. ჯონ ლოკის იდეებმა უდიდესი გავლენა იქონია ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის ჩამოყალიბებაზე. პოლიტიკურ ფილოსოფიაში ჯონ ლოკის ძირითადი ნაშრომია: ,,ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“, რომელშიც ლოკმა დაიცვა და განავითარა თომას ჰობსის ლიბერალიზმი.

ადამიანის უფლებათა სფეროში მნიშვნელოვან დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია (1776 წლის 4 ივნისი), რომელიც ეფუძნება თანასწორობის პრინციპს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ადამიანს არა მხოლოდ ბუნებით მინიჭებული უფლებები აქვს, არამედ იგი დაბადებულია ბედნიერებისათვის და მას აქვს ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება.



1776 წლის 4 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია დამტკიცებულ იქნა მეორე კონტინენტური კონგრესის მიერ. დეკლარაციის ავტორია თომას ჯეფერსონი (1743-1826).

4 ივლისი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია აშშ-ში. ამ დღეს ამერიკელები დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავენ.

ადამიანის უფლებათა ლოგო
ავტორი: სერბი გრაფიკოსი და დიზაინერი – პრედრაგ სტაკიჩი. მიღებულია და დამტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2011 წელს.

სახელმძღვანელოს მე-9-15 თავებში თქვენ გაეცნობით ადამიანის უფლებათა არსს, ადამიანის უფლებების კლასიფიკაციას, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს. აღნიშნული თავის დასრულების შემდეგ თქვენ შეძლებთ იმსჯელოთ თუ რა არის: ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები, კოლექტიური უფლებები. ასევე, შეძლებთ მსჯელობას სახელმწიფოს „ნეგატიური“ და „პოზიტიური“ ვალდებულებების შესახებ, ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ, როგორც ეროვნულ დონეზე (საქართველოს სასამართლო

სისტემა, სახალხო დამცველი), ასევე საერთაშორისო დონეზე (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო).

? კითხვები გააზრებისთვის:

1. რომელ ეპოქაში გამოიკვეთა ყველაზე უკეთ ადამიანის უფლებათა არსი?
2. გაიხსენეთ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი შეთანხმებები.
3. როგორ გესმით ტერმინი „ბუნებითი უფლება“? ვინ არის ამ ცნების ავტორი?

ადამიანის უფლებათა არსი

ადამიანის უფლებები განიმარტება როგორც მორალური სანიმუშო პრინციპები, რომლებიც იცავენ ადამიანებს ადგილობრივი თუ საერთაშორისო კანონებით. აღნიშნული კი იმის მაუწყებელია, რომ თითოეულ ადამიანს თავის უფლებებში უნდა იცავდეს კანონი. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (მიღებულია 1948 წელს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ) მიხედვით, ადამიანები იბადებიან თავისუფლები და თანასწორები თავის უფლებებში. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. ადამიანი გონიერი არსებაა და მას გააჩნია სინდისი, ამიტომ ყოველი ადამიანი პატივს უნდა სცემდეს სხვა ადამიანების ღირსებასა და თავისუფლებას.



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს პარიზში მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დეკლარაციის ტექსტის განხილვაში მსოფლიოს 56 ქვეყანა მონაწილეობდა. დეკლარაციას დადებითი ხმა 48 სახელმწიფომ მისცა (8 სახელმწიფომ თავი შეიკავა). მიუხედავად იმ დროისათვის გაერთიანებული ერების დამფუძნებელი წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური განსხვავებულობისა, დეკლარაციის წინააღმდეგ ხმა არცერთ ქვეყანას არ მიუცია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს კავშირს საერთაშორისო მშვიდობასა და ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას შორის. დეკლარაცია შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისაგან. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების თარიღი 10 დეკემბერი მთელ მსოფლიოში აღინიშნება, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე.

ადამიანის უფლებების თანამედროვე კატალოგს არ ჰყავს ერთი კონკრეტული ავტორი. ადამიანის უფლებებს მთელი კაცობრიობა ქმნიდა. ის იწერებოდა შეუპოვარი ბრძოლით, თავდადებული შრომით, სისხლითა და ოფლით. ადამიანის უფლებები ადამიანთა საზოგადოებრივი არსებობის ყველა სფეროსთანაა დაკავშირებული. ისინი ატარებენ ზნეობრივ, კულტურულ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, რელიგიურ ხასიათს. თანამედროვე დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს ადამიანის უფლებების დაცვა განსაზღვრავს. ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი კრიტერიუმი ადამიანის უფლებების დაცვაა. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანს უნდა შეეძლოს თავისუფლად ისარგებლოს ადამიანის უფლებებით, რაც განაპირობებს მის ღირსეულ არსებობას სახელმწიფოში.

საერთაშორისო დოკუმენტებით მიღებული და განმტკიცებული ადამიანის უფლებების თანამედროვე კატალოგი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. ყოველმა ეპოქამ მისთვის დამახასითებელი ღირებულებების, ნორმების, ტრადიციების საფუძველზე საკუთარი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებების ჩამოყალიბებაში. ათასწლეულების მანძილზე ეპოქის დიდი მოაზროვნეები ცდილობდნენ მოეძებნათ გასაღები ადამიანისა და ხელისუფლების ურთიერთობისთვის. ადამიანთა უფლებების თანამედროვე კატალოგი, რომელიც დაფიქსირებულია საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით არის ეტალონებისა და სტანდარტების ხანგრძლივი ისტორიული ფორმირების შედეგი. სწორედ ეს ეტალონები და სტანდარტები გახდნენ თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ნორმები. ათასწლეულების განმავლობაში მიდიოდა პროცესი ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების საშუალების ძიებაში, საზოგადოებრივი პროგრესისა და თავისუფლების გზაზე კაცობრიობის განვითარებისთვის, მკაფიოდ იკვეთებოდა სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვის და ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობის ტენდენცია – სახელმწიფოს მხრიდან პიროვნების თვითგამორკვევისათვის რაც შეიძლება მეტი ასპარეზის მიცემისთვის.

თანამედროვე სახელმწიფოს „წინაპარი“ – სახელმწიფოს მსგავსი უნიკალური საზოგადოება დაახლოებით 5500 წლის წინ ჩამოყალიბდა ტიგროსისა და ევფრატის სანაპიროებზე (თანამედროვე ერაყის სახელმწიფოს ტერიტორია). მრავალი ასეული წელი დასჭირდა სახელმწიფოს ევოლუციას, რომ სრულყოფილად აღჭურვილიყო იმ ნიშან-თვისებებით, რაც დღეს სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება. განვითარების გარკვეულ საფეხურზე ისტორიულად დადგა სახელმწიფოს ძალაუფლებისაგან ადამიანის დაცვის აუცილებლობა. ადამიანის უფლებები არის იმ ღირებულებების ორიენტირი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის. ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს **ვერტიკალურ** ურთიერთობებს უწოდებენ, ხოლო ინდივიდებს შორის ურთიერთობებს – **ჰორიზონტალურს**. „თავისი უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს

მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, როგორიც კანონითაა დადგენილი მარტოოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება, პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ (*ადამიანის უფლებათა დეკლარაცია. მუხლი 29.*).

ადამიანის უფლებათა თვისებები

ყოველ ადამიანს აქვს თანდაყოლილი წაურთმეველი უფლებები გარკვეული რაოდენობის სიკეთეებზე, მაგრამ იყო დრო, როცა საზოგადოების მკვეთრი პოლარიზაცია განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე არ აძლევდა ადამიანის უფლებებს უნივერსალურობის საშუალებას. ადამიანის უფლებები დაფუძნებულია ადამიანის ბუნებრივი თანასწორობის პრინციპზე, ამიტომ ისინი **უნივერსალური** ხასიათისაა. ყველა ადამიანს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს თავისუფლება და უფლება. დაუშვებელია ადამიანის უფლებისა და თავისუფლების შეზღუდვა მისი რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების თუ სხვა განსხვავებულობის საფუძველზე. ადამიანის უფლებების უნივერსალურობა თვით უფლებების შინაარსიდან გამომდინარეობს და ნიშნავს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ადამიანი თავისუფლებისა და საკუთარი უფლებების მფლობელია.

ადამიანის უფლებებზე, როგორც საყოველთაო და განუსხვისებელ თვისებებზე, წარმოდგენები ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში შეიქმნა. ადამიანის უფლებების კონცეფციის ჩანასახი ძვ.წ. 6-5 საუკუნეებში ძველ პოლისებში ჩამოყალიბდა – იქ სადაც პირველად გაჩნდა დემოკრატია და მოქალაქეობის პრინციპი. ძველ პოლისებში მოქალაქეობასთან დაკავშირებული იყო პირველ ყოვლისა პოლიტიკური უფლებები: თავისუფლება, სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტის უფლება, სასამართლო პროცესებში მონაწილეობის უფლება. ამასთან ამ უფლებებით სარგებლობდნენ ის ადამიანები, რომლებიც არ ეწეოდნენ ფიზიკურ შრომას.

ადამიანის უფლებებს თანდაყოლილს უწოდებენ. რადგან ადამიანს იგი დაბადებისთანავე ენიჭება, ის ბუნებრივი ხასიათისაა. ადამიანის უფლებების თანდაყოლილი თვისების გაგება ათავისუფლებს ადამიანს სახელმწიფოზე დამოკიდებულებისაგან. იმისათვის, რომ ფლობდე მათ, საკმარისია ადამიანად დაბადება. რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებები **საყოველთაო** ხასიათისაა. მნიშვნელობა არა აქვს დედამიწის რომელ წერტილში დაიბადება ადამიანი, რა ენაზე საუბრობს, როგორია მისი კანის ფერი, და არც იმაზეა დამოკიდებული, აქვს თუ არა მას რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა. ადამიანის უფლებების შინაარსი ყველა ადამიანისათვის საერთოა.

ადამიანის ბუნებითი უფლების გასხვისება და წართმევა არ შეიძლება, რადგან ის თვით ადამიანის ნაწილია. ამიტომ ის **განუსხვისებელია**. შე-

უძლებელია ადამიანისთვის ბუნებით მინიჭებული უფლების წართმევა ან ვინმესთვის გადაცემა. ადამიანის უფლებები რეგულირდება კანონებით, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევებში შეზღუდული იყოს მხოლოდ კანონით, სახელმწიფოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში გაწერილი ნორმების შესაბამისად. ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების შეზღუდვა განპირობებული უნდა იყოს უფრო მაღალი მიზნებით, რაც გამოხატულია სახელმწიფოს და საზოგადოების უსაფრთხოებაში, ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაში. ადამიანის უფლებების დროებითი შეზღუდვა შესაძლებელია ომისა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევებისას – სტიქიური უბედურების, ეპიდემიის დროს და ა.შ. შესაძლოა, პირს კანონის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა. აუცილებელია, რომ შეზღუდვები შეესაბამებოდეს შექმნილ ვითარებას და სიტუაციას.



ძველი ბერძენი კანონმდებლის **სოლონის** (ძვ.წ. 638 – ძვ.წ. 559) მიხედვით კანონი უფლებისა და ძალის სინთეზია. მან თავის კანონმდებლობაში გააუქმა მონობა და შემოიტანა კომპრომისზე დაფუძნებული ზომიერად ცენზირებული დემოკრატიის იდეა.

ადამიანის უფლებები ბუნებისაგან არის მინიჭებული. ამ კონცეფციის თანახმად, ადამიანის უფლებები **ხელშეუვალი** და **განუყოფელია**, რადგან ადამიანი ბუნებით თავისუფალი იბადება და არავის აქვს უფლება ჩამოართვას ადამიანს ბუნებით მინიჭებული უფლება და თავისუფლება. ადამიანის უფლებები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. შეუძლებელია ერთი რომელიმე უფლების განხორციელება და სხვა დანარჩენის უგულვებელყოფა მისი ნაკლები მნიშვნელობის მიზეზით. ადამიანის ყველა უფლება განხილული უნდა იყოს როგორც თანაბრად მნიშვნელოვანი და ღირებული. სწორედ ამ აზრს გამოხატავს ადამიანის უფლებების **ურთიერთდამოკიდებულება** და **ურთიერთგამომდინარეობა**.

ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია – ადამიანის უფლებათა დაყოფა თაობებად

ადამიანის უფლებების დაყოფა სამ თაობად დაკავშირებულია ჩეხი იურისტის კარელ ვაშაკის სახელთან. ადამიანის უფლებების თაობებად დაყოფა მეოცე საუკუნის ბოლოს 1979 წელს მოხდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის მიერ. ვაშაკის თეორიის მიხედვით, ადამიანის უფლებები დაყოფილია სამ თაობად. პირველი თაობის უფლებების წარმოშობას უკავშირებენ მე-17-18 საუკუნის ბურჟუაზიულ რევოლუციებს,

ამერიკელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის. **პირველი თაობის უფლებებს** ხშირად პირადი უფლებების სახელითაც მოიხსენიებენ. მასში **ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები** მოიაზრება.

მეორე თაობის უფლებები გასული საუკუნის ბოლოს – ადამიანების სწრაფვას ცხოვრების უკეთესი პირობების შესაქმნელად, კომფორტულ გარემოში ცხოვრების სურვილს უკავშირდება. **მეორე თაობის უფლებებს სოციალურ – ეკონომიკური და კულტურული უფლებები ეწოდება**.

მესამე თაობის უფლებების წარმოშობა დაკავშირებულია გლობალურ-ეკოლოგიურ და ჰუმანიტარულ პრობლემებთან. მას **კოლექტიურ**, სხვაგვარად კი **სოლიდარობის უფლებების** სახელით მოიხსენიებენ. კოლექტიური უფლებები არა პიროვნების, არამედ ადამიანთა ფართო მასების უფლებებს გამოხატავს. ამ უფლებებით სარგებლობა ადამიანთა გაერთიანებას და სოლიდარობას ეფუძნება, ამიტომაც მოიხსენიებენ სოლიდარობის უფლებების სახელით.

დღეს, ადამიანის უფლებები უფრო ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი. ადამიანის უფლებებმა განვითარების გარკვეული ეტაპები გაიარა. ამიტომ თანამედროვე მკვლევართა შორის ფართო დისკუსიაა გამართული იმის შესახებ, თუ რამდენად შეესატყვისება ადამიანის უფლებათა თანამედროვე კატალოგი კარელ ვაშაკის თაობებად დაყოფის კლასიფიკაციას.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციის მიხედვით, ადამიანის უფლებებს ყოფენ კლასიკურ და სოციალურ უფლებებად. კლასიკური უფლებები ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებია. ადამიანის ეს უფლებები სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას არ მოითხოვს. სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებებში არჩარევის პოლიტიკას სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება (Status Negativus) ეწოდება.

იმისათვის რომ, ადამიანის ცხოვრება სახელმწიფოში იყოს სრულყოფილი და ადამიანმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, სახელმწიფომ ერთმნიშვნელოვნად უნდა აღიაროს და დაიცვას ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორებიცაა: სიცოცხლის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, სინდისისა და რწმენის თავისუფლება, აღმსარებლობისა და საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება, ხმის მიცემის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება და ა.შ. ამ უფლებებმა **„ნეგატიურის“** სახელწოდება მიიღეს, რადგან ეს უფლებები გამოხატავენ სახელმწიფოსა და ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობას. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებაა უკანონოდ არ შეზღუდოს ადამიანის თავისუფლება, არ ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში.

კლასიფიკაციის მიხედვით, ადამიანის სოციალური უფლებები, რომელშიც ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები მოიაზრება, სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი გარემო პირობები,

რომ ადამიანმა დაბრკოლების გარეშე შეძლოს სოციალური უფლებებით სარგებლობა. სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ჩარევის პოლიტიკას სახელმწიფოს პოზიტიური (Status Pozitivus) ვალდებულება ეწოდება. ამ უფლებებს **„პოზიტიურს“** უწოდებენ სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში, რადგან ამ უფლებების განხორციელება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართულ ქმედებებს – ჩარევას, აუცილებელი გარემოს შექმნას. ამ უფლებებს მიეკუთვნება სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები: შრომისა და დასვენების უფლება, განათლების უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, ჯანდაცვის უფლება და სხვა. მაგალითად, იმისათვის რომ ადამიანმა შეძლოს განათლების უფლებით სარგებლობა, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას განათლების მიღებისათვის ხელსაყრელი პირობები, რათა განათლების მიღება ყველა ადამიანისათვის ხელმისაწვდომი იყოს. თუმცა, ეს დიფერენციაცია პირობითია. ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანის მიერ საკუთარი უფლებებით სარგელობისთვის ზოგიერთი კლასიკური უფლება სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ მოქმედებას მოითხოვს, ხოლო ზოგიერთი სოციალური უფლება, პირიქით, სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობას მოითხოვს.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. რომელი ორგანიზაციის მიერ და როდის იქნა მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია?
2. რას უწოდებენ სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ურთიერთობებს?
3. რას უწოდებენ ინდივიდებს შორის ურთიერთობებს?
4. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ადამიანის უფლებების თვისებები.
5. როდის წარმოიშვა ადამიანის უფლებების ქრონოლოგიური კლასიფიკაცია და რამდენ თაობად ყოფენ მას?
6. ადამიანის რომელი უფლებები მიეკუთვნება პირველი თაობის უფლებებს?
7. ადამიანის რომელი უფლებები მიეკუთვნება მეორე თაობის უფლებებს?
8. ადამიანის რომელი უფლებები მიეკუთვნება მესამე თაობის უფლებებს?
9. რას ავალდებულებს სახელმწიფოს „ნეგატიური“ ვალდებულება?
10. რას ავალდებულებს სახელმწიფოს „პოზიტიური“ ვალდებულება?

თავი 10. სამოქალაქო უფლებები

ადამიანის სამოქალაქო უფლებებს პირადი უფლებების სახელითაც მოიხსენიებენ. **სამოქალაქო უფლებებს მიეკუთვნება: სიცოცხლის უფლება, ადამიანის ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობის უფლება, თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, გადაადგილების თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, თავისუფალი სასამართლოს უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია და ა.შ.** ადამიანის პირადი უფლებები თავისი შინაარსით ადამიანის თანდაყოლილი, განუსხვისებელი და განუყოფელი უფლებებია. ამიტომ, სულაც არ არის უცილებელი ადამიანი ფლობდეს განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებებს ან იყოს რომელიმე ქვეყნის მოქალაქე, არამედ საკმარისია მხოლოდ ადამიანად დაბადება, რომ ფლობდეს სამოქალაქო უფლებებს.

სიცოცხლის უფლება. თომას ჰობსი თავის ცნობილ ნაშრომში „ლევიათანი“ წერს, რომ ადამიანები ქმნიან სახელმწიფოს რათა დამყარდეს საყოველთაო მშვიდობა და წესრიგი. ამისათვის ისინი თავისი უფლების ნაწილს გადასცემენ ხელისუფლებას (სუვერენს), რათა იგი აღიჭურვოს ამ უფლებებით და მართოს სახელმწიფო. მაგრამ თომას ჰობსი ფიქრობდა, რომ ადამიანს აქვს თანდაყოლილი, ბუნებით მინიჭებული უფლებები, რომელთა სხვისთვის გადაცემაც ან მასზე უარის თქმა შეუძლებელია. სწორედ ასეთ უფლებას მიეკუთვნება ადამიანის სიცოცხლის უფლება.



თომას ჰობსი (1588-1679) ინგლისელი ფილოსოფოსი, პოლიტიკური რეალიზმის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ჰობსმა სამართლისა და სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებაში უარყო საზოგადოების ღვთაებრივი წარმოშობის თეორია – „მეფეთა საღვთო წარმომავლობის“ დოქტრინა. მისი აზრით, „სამოქალაქო“ მდგომარეობაზე გადასვლა ხდება ადამიანებს შორის „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ დადების საფუძველზე.

არავის აქვს უფლება ადამიანს სიცოცხლის უფლება წაართვას. ნებისმიერი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა დაიცვას დედამიწაზე ყველაზე ღირებული – ადამიანის სიცოცხლე. სიცოცხლის უფლება უპირველესი ჭეშმარიტებაა, რადგან ის უდებს სათავეს ყველა სხვა უფლების განხორციელებას. იყო დრო, როცა ადამიანის ეს უმთავრესი უფლება არ იყო დაცული. შუა საუკუნეები ამ მხრივ გამოირჩევა. შუა საუკუნეებში სიკვდილით დასჯის ტრადიცია განსაკუთებული სისასტიკით ხორციელდებოდა. თანამედროვე მსოფლიო სიკვდილით დასჯას არაჰუმანურ მეთოდად მიიჩნევს. მის სანაცვლოდ კი სამუდამო პატიმრობის სასჯელი იქნა შემოღებული. სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ადამიანების ბრძოლამ მასიური ხასიათი მე-20 საუკუნის ბოლოდან მიიღო.

1983 წლის 28 აპრილს სტრასბურგში მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 ოქმი. ამ დოკუმენტის თანახმად, „ამ ოქმზე ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს წევრ რამდენიმე სახელმწიფოში განხორციელებული წინსვლა გამოხატავს სიკვდილით დასჯის გაუქმების საერთო ტენდენციას და თანხმდებიან შემდეგზე: „მუხლი 1. სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება, ვინმეს შეეფარდოს სიკვდილით დასჯა ან ვინმეს მიმართ აღსრულდეს ასეთი განაჩენი.“ 2002 წლის 3 მაისს ვილნიუსში მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მეცამეტე ოქმი – ნებისმიერ გარემოებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. ოქმის თანახმად, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები მზად არიან „გადადგან ბოლო ნაბიჯები სიკვდილით დასჯის ყველა ვითარებაში გასაუქმებლად.“ მათ შორის სიკვდილით დასჯა ომის დროს ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილ ქმედებებთან მიმართებაში“. საქართველოში აღნიშნული დოკუმენტი ძალაში შევიდა 2003 წლის 1 სექტემბერს.

თუკი, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დაახლოებით 180 სახელმწიფოდან მხოლოდ 60 ქვეყანაში იყო სიკვდილით დასჯა გაუქმებული, დღეს ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი და ის ქვეყნები, სადაც სასჯელის ზომად სიკვდილით დასჯას იყენებენ აბსოლუტურ უმცირესობაში არიან. სახელმწიფოების უმრავლესობამ სიკვდილით დასჯა გააუქმა. თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში დაახლოებით ორმოცდაათამდე ქვეყანაა, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს – კანონით გათვალისწინებული მძიმე დანაშაულისთვის სასჯელის უმაღლესი ზომის სახით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. სიკვდილით დასჯა მოქმედებს: ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში. არიან ისეთი ქვეყნებიც, რომელთა კანონმდებლობაც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, მაგრამ პრაქტიკულად სასჯელის ამ ზომას არ აღასრულებენ, ანუ სიკვდილით არავის სჯიან. ასეთი ქვეყნებია: რუსეთი, ტაჯიკეთი, მაროკო და სხვა. საუკუნეზე მეტია ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ უარი თქვა სასჯელის ამ ზომაზე. ბელორუსი ერთადერთი სახელმწიფოა ევროპის ტერიტორიაზე, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს სიკვდილით დასჯა. ბოლო 20 წლის განმავლობაში ბელორუსში დაახლოებით 400 ადამიანის მიმართ იქნა სასიკვდილო განაჩენი გამოტანილი და აღსრულებული.

საქართველოში სიკვდილით დასჯა 1997 წელს გაუქმდა *(იხ. ჩანართი 20).* საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „1. ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია. 2. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია“. *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 10. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები).*

ჩანართი 20. სიკვდილით დასჯის გაუქმება საქართველოში

„90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულისთვის. იმ დროს საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის მომხრე იყო. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თავისუფალმა პრესამ და მმართველობაში არსებულმა რეფორმისტულად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებაში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მათი ძალისხმევით საქართველოში ეტაპობრივად იქნა მიღწეული საზოგადოებრივი კონსენსუსი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. თავდაპირველად გამოცხადდა მორატორიუმი. სასამართლოებს კვლავ გამოჰქონდათ სიკვდილით დასჯის განაჩენი, მაგრამ მათი აღსრულება არ ხდებოდა. ასეთი მდგომარეობა იყო 1995 და 1996 წლებში.

1996 წლის 12 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა დააარსა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც მრავალი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციაც შეუერთდა. რამდენიმე თვეში ცენტრმა საქართველოში წამოიწყო სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო მასშტაბური საგანმანათლებლო კამპანია. მან მოაწყო სხვადასხვა ღონისძიება, პრესკონფერენციები, დაბეჭდა სტატიები, გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით. ამ კამპანიას მასმედიის წარმომადგენლებმაც აქტიურად აუბეს მხარი. ასეთმა მეცადინეობამ საშუალება მისცა მმართველობაში მყოფ რეფორმატორებს, პარლამენტში გაეაქტიურებინათ ბრძოლა სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად ახალი კანონმდებლობის მიღებისათვის. მათი პირველი წარმატება იმ მუხლების შემცირება იყო, რომლებიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდნენ – 13 მუხლიდან დატოვებული იქნა მხოლოდ ოთხი. ეს მოხდა 1996 წლის მიწურულს. ამავე პერიოდში გამოცხადდა მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე. ამის შემდეგ იგივე ორგანიზაციები და კერძო პირები მთელი წლის განმავლობაში ატარებდნენ კამპანიას იმ კანონის სრულიად და საბოლოოდ გასაუქმებლად, რომელიც საქართველოში სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. მათმა მეცადინეობამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. 1995 წლის ბოლოს და 1996 წლის დასაწყისში, მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული კამპანიის წამოწყებისას, მოსახლეობის მხოლოდ 10-20% გამოდიოდა სასჯელის ამ განსაკუთრებული ზომის წინააღმდეგ. 1997 წლის მიწურულს კი, საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის თანახმად, ასეთ ადამიანთა რაოდენობამ 50-55%-ს მიაღწია. 1997 წლის 11 ნოემბერს პარლამენტმა საბოლოოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა. საქართველო მეორე პოსტსაბჭოთა ქვეყანა იყო (მოლდოვას შემდეგ), რომელმაც წერტილი დაუსვა სასჯელის ამ განსაკუთრებული ზომის გამოყენებას. ბევრის შიში, რომ ამ სასჯელის გაუქმება გაზრდიდა დანაშაულთა რაოდენობას, უსაფუძვლო აღმოჩნდა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1997 წლის

ნოემბრის შემდეგ საქართველოში მძიმე დანაშაულების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. (ნიკოლაიშვილი გ. ადამიანის უფლებები საქართველოში. 1998).

მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის უფლება უმაღლესი ღირებულება და ადამიანის ძირითადი უფლებაა, სიცოცხლის უფლება არ არის ადამიანის აბსოლუტური უფლება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი), რომელიც საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან, უშვებს გამონაკლისს იმ შემთხვევების გათვალისწინებით, როცა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას სხვა უდანაშაულო პირის სიცოცხლე. კონვენციის მეორე მუხლის თანახმად, „სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისგან;

ბ) კანონიერი დაკავებისთვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხის ჩასახშობად.“ (*ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. 2000*).

ადამიანის სიცოცხლის უფლებასთან არის დაკავშირებული ისეთი პრობლემატური და მნიშვნელოვანი თემები, როგორებიცაა აბორტი და ევთანაზია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლი, რომელიც ადამიანის სიცოცხლის უფლებას იცავს, არაფერს გვეუბნება დაუბადებელი ბავშვის – ფეტუსის (ფეტუსი რვა კვირის მუცლადმყოფი ბავშვი) სიცოცხლის უფლებაზე. აღნიშნული დოკუმენტი არ გამორიცხავს ფეტუსის სიცოცხლის უფლებას, მაგრამ არც იცავს მას, რადგან მასში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული ფეტუსის სიცოცხლის უფლება. ფეტუსის სიცოცხლის უფლების საკითხი უშუალო კავშირშია ქალის უფლებებთან, კერძოდ, აბორტის თემასთან. ევროპული კონვენცია ამ საკითხის გადაწყვეტას სახელმწიფოებს ანდობს. ფეტუსის სიცოცხლის აბსოლუტურ უფლებად აღიარება კი აბორტის აკრძალვას ნიშნავს. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, „საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს რეპროდუქციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. (*საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ*). საქართველოს კანონმდებლობით ორსულობის შეწყვეტა (აბორტი) ნებადართულია 12 კვირამდე, 12 კვირის შემდეგ კი მხოლოდ სამედიცინო ან სოციალური ჩვენების საფუძველზე. საქართველო პატრიარქალური ქვეყანაა. ოჯახში „გვარის გამგრძელებ-

ლის“ – ვაჟის დაბადება დიდი დღესასწაულია. აბორტების უმრავლესობაც მდედრობითი სქესის ნაყოფზე მოდის. ფეტუსის სიცოცხლის უფლება მხოლოდ სამართლებრივი საკითხი არ არის. ის რელიგიურ და მორალურ პრინციპებთან არის დაკავშირებული. ასევე, მნიშვნელოვანია ამ სფეროში ახალგაზრდებისათვის სათანადო განათლების მიღება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები უკავშირდება ცოცხალ დაბადებულ ადამიანს, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჯერ არ დაბადებულ პირსაც შეიძლება გააჩნდეს ერთი უფლება და ეს არის – მემკვიდრედ ყოფნის უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით: ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან. მემკვიდრედ ყოფნის უფლება კი წარმოიშობა ჩასახვისთანავე, თუმცა ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე, ანუ თუ არ დაიბადა, ისე აზრი ეკარგება მისი ამ უფლების არსებობას.

! ცნების განმარტება

ევთანაზიის ცნება პირველად გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ნიდერლანდებში გაჩნდა. პირველად ევთანაზია კანონით, სწორედ ნიდერლანდებში დაიშვა 2002 წლის 1 აპრილს. დღეს ევთანაზია ნიდერლანდების გარდა კანონით დაშვებულია სკანდინავიის ქვეყნებში, შვეიცარიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ვაშინგტონის შტატში.

ევთანაზია სოცოცხლეზე ნებაყოფლობით უარის თქმაა, როცა უკურნებელი სენით დაავადებული, სიკვდილისწინა სტადიაში მყოფი ავადმყოფი სიცოცხლის შეწყვეტას თავად ითხოვს. გამოარჩევენ ევთანაზიის სამ სახეს: აქტიურ და პასიურ ევთანაზიას და თვითმკვლელობას ექიმის დახმარებით. აქტიური ევთანაზიის დროს სწრაფი სიკვდილის დადგომის მიზნით პაციენტისათვის სასიკვდილო პრეპარატების შეყვანა ან სხვა ქმედება ხორციელდება. პასიური ევთანაზია სწრაფი სიკვდილის გამოწვევის მიზნით, ექიმების მიერ დამხმარე თერაპიის ზომების შეწყვეტას გულისხმობს. თვითმკვლელობა ექიმის დახმარებით – ავადმყოფისვე თხოვნით, მისთვის სიცოცხლის მომსწრაფველი პრეპარატების, ან მათ შესახებ ინფორმაციის გადაცემაა. თემა სენსიტიურია, უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მოთხოვნა, თუკი მისი მდგომარეობა უნუგეშო და უპერსპექტივოა და თან ავადმყოფი იტანჯება ამ მდგომარეობით? ეს საკითხი მხოლოდ სამართლებრივი მნიშვნელობით არ განიხილება. ის მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიურ შეხედულებასთან – ეკლესია ევთანაზიის წინააღმდეგია. ევთანაზიის თემა უკავშირდება სიცოცხლის და თავისუფლების ფილოსოფიურ გაგებასაც. თუკი ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, რატომ არ აქვს უფლება არჩევანი

გააკეთოს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის? ასევე კავშირშია სამედიცინო ეთიკასთან – რამდენად გამართლებულია ექიმმა ხელოვნურად შეწყვიტოს ადამიანის სიცოცხლე? ევთანაზიასთან დაკავშირებით დისკუსია ღიაა. კაცობრიობა ვერ შეთანხმდა ერთიან პოზიციაზე – ევთანაზია დანაშაულია თუ ჰუმანური აქტი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ამ საკითხის გადაწყვეტას სახელმწიფოებს ანდობს. საქართველოში პასიური ევთანაზია დაშვებულია, თუმცა აქტიური ევთანაზია კანონით აკრძალულია.

პატივისა და ღირსების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი – ადამიანის ძირითადი უფლებები იწყება ღირსების უფლებით, რადგან ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის ღირსება ხელშეუვალია, რაც იმას ნიშნავს, რომ არავის აქვს ადამიანის ღირსების ხელყოფის უფლება, მას კანონი იცავს! ღირსება ბუნებით მონიჭებული გრძნობაა, ამიტომ იგი ყველა ადამიანის კუთვნილებაა, არა აქვს მნიშვნელობა კონკრეტული ადამიანის აღქმას, მის სუბიექტურ თვითშეფასებას.

როგორც ვნახეთ, ადამიანის სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, მაგრამ პატივისა და ღირსების უფლება იმითაცაა უნიკალური, რომ ადამიანის აბსოლუტური უფლებაა, მეტიც, ის ადამიანს გარდაცვალების შემდეგაც უნარჩუნდება. ადამიანის პატივისა და ღირსების უფლება სახელმწიფოსგან პატივისცემასა და ეთიკურ მოპყრობას მოითხოვს. არა აქვს მნიშვნელობა ადამიანის სოციალურ მდგომარეობას, ადამიანის თვითშეფასებას ან საზოგადოების შეხედულებას მასზე. ეს უფლება მას ენიჭება როგორც ადამიანს და ღირსების უფლებაც ადამიანის განუყოფელი უფლებაა. ღირსება გააჩნია ყველა ადამიანს განურჩევლად ასაკისა, სქესისა, რელიგიური, ეროვნული თუ რასობრივი კუთვნილებისა. არ აქვს მნიშვნელობა ადამიანის სოციალურ სტატუსს საზოგადოებაში, მის ქონებრივ მდგომარეობას, ღირსების უფლება თანაბრად გააჩნია მათხოვარსაც და მილიარდერსაც, ქორწინებაში მყოფი წყვილის შვილსაც და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვსაც. ღირსებით მოპყრობას იმსახურებს ყველა ადამიანი მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულიც და „უსინდისო“ ადამიანიც. ღირსების უფლების აღიარება გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის მონობასა და იძულებას, არაადამიანურ მოპყრობას, წამებას.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“. *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 9. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა).* „ადამიანის ღირსებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკრძალება ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა ან მის მიმართ ასეთი სასჯელის გამოყენება. ეს არის აბსოლუტურად ამკრძალავი

ნორმა, რომელიც განასახიერებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებას, არ დაექვემდებაროს წამებას, არაჰუმანურ, სასტიკ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს.“ *(საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი.თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა).* ადამიანის ღირსების აღიარება, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულება ყველა საერთაშორისო დოკუმენტითაა აღიარებული. ღირსებისა და პატივის უფლების დაცვას ხელისუფლებას კონსტიტუცია ავალდებულებს, ის აღიარებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითაც. ასევე, მისი დაცვის ვალდებულება ქვეყანას აღებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებითაც.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ადამიანის პირადი ცხოვრება მისი ცხოვრების ინტიმურ, კერძო და სოციალურ სფეროებს მოიცავს. ეს უფლება დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. რადგან სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების ხელყოფა საფრთხეს უქმნის ადამიანის პიროვნული განვითარების თავისუფლებას. ადამიანის პირადი ცხოვრება მისი პიროვნების განუყოფელი ნაწილია. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ადამიანის ამ უფლებას. ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა გულისხმობს ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას. დაუშვებელია პირადი და ოჯახური საიდუმლოს გამჟღავნება, პირადი მიმოწერის, სატელეფონო საუბრების მოსმენა და გასაჯაროება. ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ადამიანის კომუნიკაციის თავისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცის და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს, კრძალავს კერძო საკუთრებაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ ვინმეს შესვლას და ჩხრეკას, მაგრამ ადამიანის ეს უფლება არ არის აბსოლუტური უფლება. კონსტიტუციის თანახმად, „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.“ *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 15. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცის და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები).*

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ერთგვარად საფრთხე შეექმნა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. თანამედროვე ტექნოლოგიები აიოლებს ჩვენს კომუნიკაციას ორგანიზაციებთან, უფრო სწრაფსა და ხელმისაწვდომს ხდის სხვადასხვა მომსახურების მიღებას, მაგრამ ამ სიკეთეებით სარგებლობის სანაცვლოდ ჩვენ გვიწევს ჩვენი პირადი მონაცემების: სახელის, გვარის, პირადი ნომრის, მისამართის, დაბადების თარიღის, საბანკო რეკვიზიტების,

ტელეფონის ნომრის და ა.შ. გამჟღავნება. მართალია ეს პროცესი აიოლებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, მაგრამ, ამავე დროს, საფრთხეს უქმნის ჩვენი პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვას. ხშირად ნებსით თუ უნებლიედ ინტერნეტსივრცეში ხდება ადამიანის პირადი მონაცემების გაჟონვა. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ.

2019 წლის 10 მაისიდან საქართველოში მოქმედებს დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. იგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლე ორგანოა (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტი საქართველოში 2013 წლის ივლისში შეიქმნა). სახელმწიფო ინსპექტორის მოვალეობებში შედის:

- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი;
- ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი;
- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის და ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.

თუ თქვენ ფლობთ ინფორმაციას შესაძლო კანონდარღვევის შესახებ ან თვლით, რომ თქვენი ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაირღვა, შეგიძლიათ მიმართოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. *(https://personaldata.ge).*

ადამიანის პერსონალური მონაცემები არის ნებისმერი სახის ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფოტო, ვიდეოჩანაწერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, სოციალური ქსელის ანგარიში, პირადი მიმოწერა, ინფორმაცია სამუშაო ადგილის, შემოსავლების, ოჯახური მდგომარეობის შესახებ და სხვა.

გადაადგილების თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. ადამიანის ბუნებით უფლებებს შორის ერთ-ერთი მიმოსვლის თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებაა. ადამიანის ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით – მიმოსვლის თავისუფლება არის აღიარებული და გამყარებული, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტალური უფლება. კონსტიტუცი-

ის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფალად მიმოსვლის უფლება აქვს საქართველოში კანონიერად მყოფ ნებისმიერ პირს. ამავე მუხლით, ასევე დაცულია, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებაც.

ადამიანის „მიმოსვლისა და ბინადრობის თავისუფლება“ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციითაც იყო უზრუნველყოფილი. საბჭოთა კავშირში ადამიანის ეს უფლება შეზღუდული იყო. საბჭოთა კავშირის მოქალაქეს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება არ ჰქონდა. საბჭოთა პერიოდში არსებობდა ჩაწერის ინსტიტუტი, რომლის მიხედვითაც, ადამიანს სადმე რომ ეცხოვრა, საჭირო იყო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს ნებართვა.

თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება არ უნდა გავიგოთ როგორც ადამიანის აბსოლუტური უფლება. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება პირველ რიგში შეზღუდულია ადამიანის სხვა უფლებით, კერძოდ, საკუთრების უფლებით. არავის აქვს უფლება შევიდეს ან დაიკავოს ადგილი სხვის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ან სხვის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში. მიმოსვლის თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდულ იქნეს განსაკუთრებულ შემთხვევებში – „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.“ *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 14. მიმოსვლის თავისუფლება).* საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის საფუძვლები: “მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას.“ *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 71. საგანგებო და საომარი მდგომარეობა).* აღნიშნული მუხლით დაცულია საქართველოს მოქალაქის ქვეყანაში თავისუფლად შემოსვლის უფლებაც.

უფლებათა დაცვა სასამართლოს გზით. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწრაფი და კვალიფიციური მართლმსაჯულების არსებობას. რადგან ყოველი ადამიანის უფლებაა თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან სასამართლოს. საქართველოში სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი სახელისუფლებო შტოა. სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობა დაცულია კანონით. საქართველოში სასამართლო ხე-

ლისუფლებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები (რაიონული ან საქალაქო სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო) და საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს კონსტიტუციით (*მუხლი 31. საპროცესო უფლებები*) დაცვის უფლება ნებისმიერი ადამიანისთვის არის გარანტირებული. ყველას აქვს უფლება დაიცვას საკუთარი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით. აღიარებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპი. ამავე მუხლით „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს."

საქართველოს კონსტიტუცია იცავს ადამიანის **უდანაშაულობის პრეზუმფციას.** „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით." (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 31. საპროცესო უფლებები*). უდანაშაულობის პრეზუმფცია ავალდებულებს ყველა საჯარო ორგანოს, ყველა საჯარო მოხელეს თავი შეიკავოს ბრალდებულის წინასწარი განსჯისაგან და სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე და კანონით ძალაში შესვლამდე ბრალდებულის დამნაშავედ საჯაროდ გამოცხადებისაგან. კონსტიტუციის თანახმად, ადამიანი არ არის ვალდებული სასამართლოს წინაშე ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცება ბრალმდებლის მოვალეობაა. „არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს." (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 31. საპროცესო უფლებები*). საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ერთსა და იმავე დანაშაულისათვის პირის ორჯერ დასჯას. ასევე, დაუშვებელია ადამიანის დასჯა იმ ქმედებისათვის, რომელიც ქმედების ჩადენის დროს კანონდარღვევად არ ითვლებოდა. ეს უფლება ადამიანის აბსოლუტურ უფლებათა რიგს განეკუთვნება. კონსტიტუციის თანახმად, კანონს არა აქვს უკუძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი აუქმებს დანაშაულს ან ამსუბუქებს სასჯელს.

ნებისმიერი სახის მტკიცებულებას, თუ ის კანონდარღვევითაა მოპოვებული, სასამართლოზე იურიდიული ძალა არ გააჩნია. საქართველოს კონსტიტუცია ნებისმიერ პირს ათავისუფლებს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან. „არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით." (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 31. საპროცესო უფლებები*).

? კითხვები გააზრებისთვის:

1. რომელი უფლებები მიეკუთვნება ადამიანის სამოქალაქო უფლებებს?
2. შეაფასეთ სამოქალაქო საზოგადოების წვლილი საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმების საქმეში?
3. რომელი დოკუმენტითაა გამყარებული საქართველოში ადამიანის სიცოცხლის უფლება?
4. თქვენი აზრით, რატომ არ არის სიცოცხლის უფლება ადამიანის აბსოლუტური უფლება?
5. რატომ იკავებს თავს საერთაშორისო თანამეგობრობა ადამიანის სიცოცხლის უფლების აბსოლუტურ უფლებად გამოცხადებისაგან?
6. თუკი ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, რატომ არ აქვს უფლება არჩევანი გააკეთოს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის? იმსჯელეთ ევთანაზიის მორალურ და ეთიკურ ასპექტებზე.
7. რას უკრძალავს სახელმწიფოებს ადამიანის ღირსების უფლება?
8. რატომ არის ღირსების უფლება ადამიანის აბსოლუტური უფლება?
9. რა ფუნქცია აქვს საქართველოში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს?
10. ადამიანის რომელი უფლებებით არის შეზღუდული მიმოსვლის თავისუფლება და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება?
11. განმარტეთ უდანაშაულობის პრეზუმფცია.
12. როგორ ფიქრობთ, რა წინააღმდეგობას ვაწყდებით სახელმწიფოს ვალდებულებაში, ერთი მხრივ დაიცვას ადამიანთა უსაფრთხოება და მეორე მხრივ, არ დაარღვიოს ადამიანის პირადი უფლებები?

თავი 11. პოლიტიკური უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოს მხოლოდ კონსტიტუციური ვალდებულება კი არ არის, ის სახელმწიფოს მორალური და სამართლებრივი ვალდებულებაცაა. ადამიანის პოლიტიკური უფლებები, ისევე როგორც სხვა უფლებები, ადამიანის განუყოფელი ნაწილია. ამასთან, სახელმწიფოსა და ადამიანის პოლიტიკური უფლებების დაცვას სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებიც ავალდებულებს, როგორიცაა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან. ადამიანის უფლებების აღიარება, დაცვა და პატივისცემა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებებს მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. **ადამიანის პოლიტიკური უფლებებია: სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება, სიტყვის თავისუფლება, მანიფესტაციებსა და შეკრებებში მონაწილეობის უფლება, გაერთიანების უფლება და სხვა**.

სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება. თანამედროვე დემოკრატიულმა პროცესებმა მოქალაქე უფრო მეტად დააახლოვა სახელმწიფოს მართვასთან. დემოკრატიული მმართველობა პირველ რიგში არჩევნებთან ასოცირდება, რადგან არჩევნებია დემოკრატიულობის ერთ-ერთი, მაგრამ არა საკმარისი, მახასითებელი. მოქალაქეები სახელმწიფოს მართვაში ჩართულები არიან უშუალოდ და წარმომადგენლების მეშვეობით. საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლში ვკითხულობთ: „სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე, რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 3. დემოკრატია*).

ხელისუფლებას ჩვენ მოვიხსენიებთ საჯარო ხელისუფლების სახელით, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ხალხის სახელით მოქმედებს. მოქალაქე სახელმწიფოს მართვას ახორციელებს სწორედ არჩევნებში მონაწილეობით. არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება ადამიანის პოლიტიკური უფლებაა.

დემოკრატიის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი და მისი აუცილებელი პირობა რეგულარული და თავისუფალი არჩევნებია. არჩევნების ინსტიტუტს დიდი ხნის ისტორია აქვს და ის სათავეს ანტიკური ეპოქის ბერძნული დემოკრატიიდან იღებს. თუმცა, **პსეფოლოგია**, როგორც არჩევნების მეცნიერული ახსნის საშუალება, გასული საუკუნის 50-იან წლებიდან მკვიდრდება. ტერმინის შემოღება დაკავშირებულია ბრიტანელი

ისტორიკოსის რონალდ ბრიუკენენ მაკკალუმის სახელთან (1898-1973). ტერმინი წარმოდგება ძველი ბერძნული სიტყვიდან „პსეფოს“, რაც ქართულად „კენჭს“ ნიშნავს. ანტიკურ საბერძნეთში გადაწყვეტილებები კენჭისყრის საფუძველზე მიიღებოდა. კენჭისყრაში მონაწილეები სპეციალურ ამფორაში ყრიდნენ კენჭებს. თუ გადაწყვეტილებას მხარს უჭერდნენ ამფორაში თეთრ კენჭებს ყრიდნენ, თუ წინააღმდეგნი იყვნენ – შავს.

პსეფოლოგია – პოლიტიკური მეცნიერების დარგია, მისი შესწავლის საგანია არჩევნები და არჩევნებთან დაკავშირებული პროცესები. შესაბამისად, პსეფოლოგია შეისწავლის როგორც არჩევნების სახეებს, ასევე, საარჩევნო სისტემებსა და საარჩევნო კანონებს. პსეფოლოგია სტატისტიკური ანალიზის მეთოდების საშუალებით იკვლევს ეგზიტპოლების შედეგებს, საარჩევნო კამპანიაზე დახარჯულ ფინანსურ რესურსებს და სხვა.

საარჩევნო უფლება. საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის ძირითადი უფლებების სუბიექტი ყველა ადამიანია, მაგრამ რამდენიმე უფლების და მათ შორის საარჩევნო უფლების სუბიექტი, მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეები თავის პოლიტიკურ ნებას არჩევნებში მონაწილეობით გამოხატავენ. ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და მათი გამართული მუშაობის საფუძველს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები წარმოადგენს. საერთაშორისო დოკუმენტებით საარჩევნო უფლება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- **საყოველთაო საარჩევნო უფლება** – საარჩევნო უფლება საყოველთაოა ყველა სრულწლოვანი მოქალაქისთვის. ის ითვალისწინებს მხოლოდ კანონით დადგენილ მინიმალურ შეზღუდვებს. საქართველოს მოქალაქე აქტიურ საარჩევნო უფლებას იძენს 18 წლის ასაკიდან;
- **თანასწორი საარჩევნო უფლება** – გამოხატავს ამომრჩეველთათვის თანასწორი პირობების შექმნას. თანასწორობის პრინციპის თანახმად, ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს – „ერთ მოქალაქე – ერთი ხმა“;
- **პირდაპირი საარჩევნო უფლება** გულისხმობს, რომ ამომრჩეველი უშუალოდ აძლევს კანდიდატს ხმას. საქართველოში ამომრჩევლები პირდაპირი წესით ვირჩევთ საქართველოს პარლამენტის წევრს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს წევრსა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერს. ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველი პირდაპირი წესით ირჩევს აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებს;

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნები არაპირდაპირია, ხალხი ირჩევს ამრჩევებს, რომლებიც ირჩევენ აშშ-ის პრეზიდენტს. მას მერე, რაც ამრჩევები აირჩევენ აშშ-ის პრეზიდენტს, კოლეგია იშლება.

- **კენჭისყრის ფარულობა** – საქართველოში ხმის მიცემის პროცედურა ფარულია. არჩევნების ფარულობის პრინციპი კონსტიტუციური მოთხოვნაა. ამ პრინციპის თანახმად, მოქალაქეთა ნების გამოვლენა უნდა ხდებოდეს ფარულად. არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია მოქალაქეთა პოლიტიკური არჩევანის შესახებ;
- **ნების თავისუფალი გამოვლენა** – ეს უფლება ამომრჩეველს თავისუფალი არჩევანის უფლებას აძლევს. მოქალაქეს თავად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მივიდეს თუ არა საარჩევნო უბანზე და გამოხატოს საკუთარი პოლიტიკური არჩევანი. საქართველოს კანონმდებლობით, ხმის მიცემა უფლებაა და არა ვალდებულება.

მოქალაქის საარჩევნო უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით: „საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 24. საარჩევნო უფლება*). მოქალაქის საარჩევნო უფლება ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებსაც. კერძოდ, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულ პატიმრებს. ასევე მას, ვინც სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონალურ სამედიცინო დაწესებულებაში.

საარჩევნო უფლებაში შინაარსობრივად გამოყოფენ აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას. **აქტიური საარჩევნო უფლება** გულისხმობს არჩევით სახელმწიფო ორგანოებში კანდიდატების არჩევის უფლებას, აგრეთვე რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლებას. **პასიური საარჩევნო უფლება** გულისხმობს მოქალაქის უფლებას, იყოს არჩეული არჩევით სახელმწიფო ორგანოებში. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა „საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 26. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება*).

პასიური საარჩევნო უფლება აქტიური საარჩევნო უფლებისაგან განსხვავებით უფრო მეტ შეზღუდვებს ითვალისწინებს. კერძოდ, „პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 37. პარლამენტის არჩევნები*).

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „1. საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

2. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი. 50. საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი*).

თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში.

ჩანართი 21. ქალთა პოლიტიკური ჩართულობა

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებული საყოველთაო დეკლარაციები და კონვენციები თანასწორობას განმარტავს, როგორც თანაბარ უფლებებს, თანასწორ შესაძლებლობებს და რაიმე ნიშნით დისკრიმინაციისაგან თავისუფლებას, მაგრამ დღესაც, თანამედროვე მსოფლიოში კვლავ გლობალურ პრობლემად რჩება ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის საკითხი, განსაკუთრებით პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას.

პირველად ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მე-19 საუკუნის ბოლოს 1893 წელს ახალი ზელანდიის ტერიტორიაზე მოიპოვეს. საქართველოში ქალებს 1918 წელს მიენიჭათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. სულ რაღაც ერთ წელიწადში, 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელთა კრებაში 5 ქალი დეპუტატი იყო წარმოდგენილი.

მართალია ქალებმა მოიპოვეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ ხელისუფლებაში ისინი კვლავ აშკარა უმცირესობას წარმოადგენენ. ქალთა პოლიტიკაში და სახელმწიფო მართვაში ჩართვის

ხელშეწყობის მიზნით, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოქმედებს ე.წ. „კვოტირების სისტემა“. კვოტირების პოლიტიკა ხელოვნური და იძულებითი ფორმაა, მაგრამ ამავე დროს ის ქალებს მამაკაცების თანასწორად საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლაში ეხმარება. „კვოტირების სისტემას“ ბევრი მამაკაცთა მიმართ დისკრიმინაციად აღიქვამს. თუმცა, „კვოტირების სისტემა“ გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ საბრძოლველად და ქალებისათვის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში მონაწილეობისათვის გზის გასახსენელად კარგად აპრობირებული და ეფექტიანი საშუალებაა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების მიზნით და 2020 წლის საარჩევნო რეფორმის შედეგად, სავალდებულო დროებითი მექანიზმი – გენდერული კვოტა ამოქმედდა: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პარლამენტში პროპორციული სიით არჩეულ ყოველ ოთხეულში ერთი წევრი იქნება განსხვავებული სქესის ანუ დაახლოებით 30 პარლამენტარი ქალი, 2024 წლის არჩევნებისთვის – 37 ქალი, 2028 წელს კი სავალდებულო იქნება პროპორციული სიის ყოველ სამეულში ერთი განსხვავებული სქესის წევრის ყოლა, რაც ქალთა წარმომადგენლობას 50-მდე გაზრდის. 2020 წლის საარჩევნო რეფორმის მიხედვით, გენდერული კვოტის დაცვა იმ შემთხვევაში თუ პარტია სიაში წარადგენს სამეულში ერთ განსხვავებულ სქესს, პარტიების მიერ ფინანსური დანამატის მიღებას უკავშირდება. (აბაშიძე ზ. და სხვ. 2020. გვ. 92).

სიტყვის თავისუფლება. „შესაძლოა თქვენი აზრები ჩემთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ თავს გავწირავ, რათა თქვენ მათი გამოთქმის უფლება გქონდეთ.“ ეს სიტყვები ცნობილ ფრანგ ფილოსოფოსსა და განმანათლებელს ვოლტერს (1694-1778) მიეწერება. სიტყვის თავისუფლება ადამიანის პოლიტიკური უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვისა და აზრის გამოხატვის უფლება. „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები*).



ვოლტერი (ფრანსუა მარია არუე) (1694-1778) ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, ისტორიკოსი, განმანათლებელი. მე-18 საუკუნის საფრანგეთს ხშირად „ვოლტერის ეპოქად“ მოიხსენიებენ. ვოლტერი ილაშქრებდა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. თავის ფილოსოფიურ მოთხრობებში სატირულად ამხელდა ფეოდალთა უსამართლობასა და საზოგადოებაში გავრცელებულ მანკიერებებს. ვოლტერის იდეებით საზრდოობდა რევოლუციური ბურჟუაზია. იგი სხვა ფრანგ განმანათლებლებთან ერთად იცავდა ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: ტოლერანტობა, თავისუფლება და თანასწორობა.`

აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ფუნდემენტალური უფლებაა, რადგან საზოგადოების განვითარებისა და პროგრესისთვის უმნიშვნელოვანესია ადამიანს ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. ადამიანის ეს უფლება აძლიერებს სხვა პოლიტიკურ უფლებებსაც, მაგალითად მანიფესტაციებსა და შეკრებებში მონაწილეობის უფლებას, სხვადასხვა ჯგუფებში, მათ შორის პოლიტიკურ პარტიებში, გაერთიანების უფლებას.

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები*). სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად, ადამიანს აქვს უფლება თავად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია წერით, ზეპირად თუ სხვა საშუალებებით, ნებისმიერ, მისთვის სასურველ ენაზე. საქართველოს კანონი სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ გამოხატვის თავისუფლებას განმარტავს, როგორც აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას, პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას, ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას. საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალნი არიან ცენზურისაგან. ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლებას საქართველოში კონსტიტუცია იცავს. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის აბსოლუტური უფლება არ არის და „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის

უზრუნველსაყოფად.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები*).

მანიფესტაციებსა და შეკრებებში მონაწილეობის უფლება ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. ადამიანს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საპროტესტო აქციებში, დემონსტრაციებში, მიტინგებში, მანიფესტაციებში, სხვადასხვა სახის საჯარო ღონისძიებებში. შეკრება და მანისფესტაცია მრავალფეროვანი შინაარსითა და მიზნებით გამოირჩევა. შესაძლებელია ეს იყოს პროტესტი, მხარდაჭერა, სოლიდარობა, პიკეტირება, სადღესასწაულო თუ სამგლოვიარო პროცესია. საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ აწესრიგებს ადამიანის ამ კონსტიტუციურ უფლებას – ადამიანებს უფლება აქვთ ხელისუფლებისაგან წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და მშვიდობიანად (უიარაღოდ) შეიკრიბონ როგორც ქერქვეშ, ისე გარეთ. ადამიანის ეს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან. მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ხშირად ადამიანის სხვა უფლებების დაცვის ერთადერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, წინასწარი ნებართვის გარეშე მშვიდობიანი შეკრების უფლება ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.“(*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მუხლი 20.*).

შეკრებების, მანიფესტაციების, საპროტესტო აქციებისა თუ სხვა ხალხმრავალი ღონისძიების ორგანიზატორებს საქართველოს კონსტიტუცია არ ავალდებულებს ხელისუფლების წინასწარ ინფორმირებულობას გარდა იმ შემთხვევისა, როცა „შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს“. *(საქართველოს კანონი შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ).* საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუკი შეკრება ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.“ *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 21. შეკრების თავისუფლება).* თუკი შეკრება მასობრივ ხასიათს ატარებს და მოსალოდნელია საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ხალხის სავალი ნაწილის გადაკეტვა, ღონისძიების ორგანიზატორების მიერ მუნიციპალიტეტის აღმასრულებულ ორგანოში შეტანილი უნდა იქნეს გაფრთხილება ღონისძიების ჩატარებდე ხუთი დღით ადრე, რათა ხელისუფლებამ უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და საფრთხე არ შეექმნას ღონისძიების ჩატარებას.

მანიფესტაციებსა და შეკრებებში მონაწილეობის უფლება არ არის ადამიანის აბსოლუტური უფლება. საქართველოს კონსტიტუციით ეს უფლება

ეზღუდებათ მათ, „რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში“. (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 21. შეკრების თავისუფლება*). ასევე, ეს უფლება კანონით შეზღუდულია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებისათვის.

შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისას დაუშვებელია „მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. (*საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ*). მიუხედავად იმისა, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება გულისხმობს საჯარო სივრცის გამოყენებას, კანონი ასევე განსაზღვრავს იმ შენობებს, რომლებშიც და რომლის ტერიტორიაზეც ოცმეტრიან რადიუსში აკრძალულია შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვა. ეს შენობებია: რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები, ასევე, საქართველოს პროკურატურის, პოლიციის, პენიტენციური დაწესებულებებისა და სამართალდამცავი ორგანოების შენობები. შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება აკრძალულია სამხედრო ნაწილებსა და ობიექტებში და მათი შესასვლელებიდან ასი მეტრის რადიუსში მიმდებარე ტერიტორიაზე.

გაერთიანების უფლება. არისტოტელემ ადამიანს „zoon politicon“ (პოლიტიკური ცხოველი) უწოდა. მისი აზრით, სახელმწიფო ადამიანთა ბუნებრივ გაერთიანებაზე დაფუძნებული ერთობის ფორმაა. ადამიანი პოლიტიკური არსებაა, რადგან მისი ბუნების რეალიზება მხოლოდ სახელმწიფოში სხვა ადამიანებთან ურთიერთკავშირშია შესაძლებელი. ადამიანი სოციალური არსებაა, მას თავისი მიზნების და ინტერესების დაკმაყოფილებაში სხვა ადამიანების დახმარება და თანადგომა სჭირდება. ამიტომ, ადამიანები საკუთარი ინტერესების საფუძველზე და საერთო მიზნების განსახორციელებლად ქმნიან გაერთიანებებს და სხვადასხვა ასოციაციებს.



არისტოტელე (ძვ. წ. 384-322) ძველი ბერძენი ფილოსოფოსი. პლატონის მოსწავლე, ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი. არისტოტელე წერდა ფიზიკის, მეტაფიზიკის, ლოგიკის, ეთიკის, პოლიტიკის, ბიოლოგიის, რიტორიკის და სხვა საკითხებზე. მისი აზრით, მოქალაქედ იწოდება ის, ვინც პოლისის (ქალაქ-სახელმწიფო) მართვა-გამგეობაში იღებს მონაწილეობას. იგი მმართველობის ფორმებს შორის საუკეთესოდ მიიჩნევდა პოლიტეას (პოლისის მართვა), რომელშიც ძალაუფლებას ფლობდა და სახელმწიფოს მართავდა საშუალო ფენა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „1. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 22. გაერთიანების თავისუფლება*). გაერთიანების თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტალური უფლებაა. იგი სოციალურ ჯგუფებში ადამიანის თვითრეალიზებას უზრუნველყოფს. ადამიანს აქვს უფლება სხვა ადამიანებთან ერთად ჩამოაყალიბოს და გაერთიანდეს სხვადასხვა საზოგადობრივ გაერთიანებებში: ინტერესთა კლუბებში, ასოციაციებში, პროფესიულ და შემოქმედებით კავშირებში, სამოქალაქო ინიციატივაზე დაფუძნებულ მოქალაქეთა ჯგუფებში, ამხანაგობებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში – NGO (არასამეწარმეო იურიდიული პირი), პოლიტიკურ პარტიებში და სხვა.

საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნა და საზოგადოებრივ ჯგუფებში გაწევრიანება ყველა ადამიანის უფლებაა. გამონაკლისია პოლიტიკური გაერთიანებები და მასში მონაწილეობა. პოლიტიკური პარტიების შექმნისა და პარტიულ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებაა და ეს უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე ვრცელდება. ამ უფლებას კონსტიტუციასთან ერთად არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ.“ ამ მხრივ საქართველოს კონსტიტუცია გარკვეულ შეზღუდვებსაც აწესებს. კერძოდ, პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანების უფლება ეზღუდება „პირს, რომელიც ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, განწესდება მოსამართლედ, უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება*). ასევე, კონსტიტუციის თანახმად, „დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება*).

ჩანართი 22. „მხედრიონი“

1989 წელს დაარსდა მოქალაქეთა გაერთიანება „მხედრიონი“. ამ გაერთიანებამ მიზნად დაისახა საქართველოში ეთნოკონფლიქტების დარეგულირებაში პოზიტიური წვლილის შეტანა. იმდენად მიმზიდველად და ღირსეულად გამოიყურებოდა „მხედრიონელთა“ მიზნები, რომ ამ ორგანიზაციაში ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც კი ერთიანდებოდნენ. მხედრიონელის მედალიონის ტარება ერთგვარ

პატივადაც კი ითვლებოდა. ევროპული რაინდული ორდენის მსგავსი „მხედრიონის“ საპატიო წევრი გახდა 1992 წელს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი. 90-იანი წლების დასაწყისში „მხედრიონი“ შეიარაღებულ დაჯგუფებად გადაიქცა. 1991 წელს „მხედრიონმა“ მონაწილეობა მიიღო ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ გადატრიალებაში, მომდევნო ორი წელიწადი კი დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა საპროტესტო აქციების დარბევაში მონაწილეობდა, იბრძოდა აფხაზეთის ომში. 1995 წელს „მხედრიონი“ უკანონოდ გამოცხადდა და მისი საქმიანობა აიკრძალა. „მხედრიონის“ ლიდერები კი დააპატიმრეს. 2001 წელს „მხედრიონმა“ მოინდომა „პატრიოტთა კავშირის“ სახელით პოლიტიკურ პარტიად რეგისტრაცია, რაზეც მას უარი ეთქვა. (აბაშიძე ზ. და სხვ. 2020. გვ. 132-133)

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესით.“ *(საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება).*

? კითხვები გააზრებისთვის:

1. რომელი უფლებები მიეკუთვნება ადამიანის პოლიტიკურ უფლებებს?
2. საერთაშორისო დოკუმენტებით, რომელ პრინციპებს ეფუძნება ადამიანის საარჩევნო უფლება?
3. როგორ განიმარტება აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება?
4. თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი სიტყვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოებისათვის?
5. გამონაკლისის სახით ვის ეზღუდება შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის უფლება და რატომ?
6. დაასახელეთ მიზეზები, რამაც გამოიწვია „მხედრიონის“ აკრძალვა.
7. 2001 წელს „მხედიონმა“ მოინდომა „პატრიოტთა კავშირის“ სახელით პოლიტიკურ პარტიად რეგისტრაცია, რაზეც მას უარი ეთქვა. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე იმსჯელეთ იმ მიზეზებზე, რამაც განაპირობა უარი.

თავი 12. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები

საქართველო სოციალური სახელმწიფოა, რაც გაცხადებულია საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლში. სოციალური სახელმწიფო განიმარტება ისეთ სახელმწიფოდ, სადაც სოციალური პოლიტიკის მიზანი ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნაა, სადაც სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს საკუთარი მოსახლეობის განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გამართული სისტემების შექმნასა და განვითარებაზე. საქართველოს კონტიტუციის თანახმად:

„1. საქართველო არის სოციალური სახელმწიფო.

2. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.

3. სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს.

4. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით.

5. სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე.

6. სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.

7. სახელმწიფო ზრუნავს სპორტის განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე.

8. სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 5. სოციალური სახელმწიფო*).

ასევე, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და უზრუნველყოფილია ეკონომიკური საქმიანობა. სახელმწიფოს ზრუნვის საგანია თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებული ღია ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარება.

საკუთრების უფლება ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. „დაუშვებელია კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 6. ეკონომიკური თავისუფლება*).

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვისათვის ყველა სახელმწიფოს ერთნაირი საშუალებები არ გააჩნია, მაგრამ დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის ერთნაირია ის ღირებულებები, რომელთაც ეფუძნება სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვა ქვეყანაში. ეს ღირებულებებია: მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა, სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოციალურად და ეკონომიკურად სამართლიანი გარემოს შექმნა, ადამიანის ცხოვრებისა და შრომის ღირსეული პირობების შექმნა, ადამიანის განათლების, ჯანმრთელობისა და კულტურული განვითარებისათვის სათანადო პირობებით უზრუნველყოფა. **ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებებია: შრომისა და დასვენების უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, ღირსეული ცხოვრების უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სხვა. ადამიანის კულტურულ უფლებებს კი მიეკუთვნება განათლების უფლება, კულტურული ღირებულებებისადმი ხელმისაწვდომობის უფლება, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, შემოქმედების უფლება, სამეცნიერო მიღწევების გამოყენების უფლება.** კულტურული უფლებები ადამიანის სულიერი განვითარების სამსახურში დგას და საშუალებას აძლევს თითოეულ ინდივიდს გახდეს სოციალური პროგრესისათვის სასარგებლო.

სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა შორის ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტალური უფლება **შრომის და დასვენების უფლებაა**. შრომას უდიდესი საზოგადოებრივი და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ადამიანები თავის საარსებო საშუალებებს შრომით მოიპოვებენ და იქმნიან ღირსეული ცხოვრების პირობებს. შრომის უფლებით ადამიანები მატერიალური და საარსებო რესურსების მოპოვების გარდა, საკუთარი ცოდნის და უნარების რელიზებას ახდენენ. შრომის უფლების აქტუალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ დასაქმებულისა და დამსაქმებლის მატერიალური კეთილდღეობის გარდა იქმნება და ვითარდება სახელმწიფოს ეკონომიკა.

შრომის უფლების თავისუფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით. სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება კონსტიტუციური უფლებაა. დასაქმებულის შრომის უსაფრთხო პირობები და შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით შრომის უსაფრთხოების შესახებ, კანონით საჯარო სამსახურის შესახებ და ორგანული კანონით შრომის კოდექსი. შრომის უფლება ორგანულად არის დაკავშირებული ეკონომიკურ თავისუფლებასთან, ადამიანის სხვა უფლებებთან: საკუთრების უფლებასთან, თანაწორობასა და თავისუფლებასთან, გაერთიანების თავისუფლებასთან. „ყველას აქვს ორგანული კანონის შესაბამისად პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 26. შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება*).

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია გაფიცვის უფლება. გაფიცვის პირობები და წესები განსაზღვრულია ორგანული კანონით. ასევე,

კონტიტუციით აღიარებულია მეწარმეობის თავისუფლება და იკრძალება მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია საქართველოს კანონით მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

შრომის უფლებასთან ერთად ადამიანს აქვს დასვენების უფლებაც. დასვენების უფლებით სარგებლობის წესს ადგენს შრომის კოდექსი. შრომის კოდექსი ადგენს მინიმალურ სტანდარტზე დაფუძნებულ ზოგად წესს. ამ წესის გაუმჯობესება შესაძლებელია დამსაქმებლისა და დასაქმებულის შეთანხმების საფუძველზე. საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, დასვენებად განისაზღვრება შვებულება და უქმე დღეები. დასაქმებულს უფლება აქვს წლის განმავლობაში ისარგებლოს 24-დღიანი ანაზღაურებადი და 15-დღიანი არანაზღაურებადი შვებულებით.

ამონარიდები საქართველოს ორგანული კანონიდან – შრომის კოდექსი:

- „ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლიდან.
- 16 წლამდე არასრულწლოვანის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შესაბამისი შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.
- 14 წლამდე არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტის, ხელოვნების ან კულტურის სფეროში საქმიანობის განსახორციელებლად ანდა სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.
- აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებასთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.
- აკრძალულია არასრულწლოვანთან ანდა ორსულ, ახალნამშობიარებ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოს შესასრულებლად.“

განათლების უფლება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია არის პირველი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, სადაც ადამიანის უფლება განათლებაზე საყოველთაო უფლებად არის აღიარებული.

„1. ყველა ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო. ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი – ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თითოეულის უნარისამებრ.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება აირჩიონ რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.“ (*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მუხლი 26.*).

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საქართველოში ძალაშია 1991 წლიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებულ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან ერთად სახელმწიფო აღიარებს ადამიანის განათლების უფლებას და ვალდებულია შექმნას ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომი სისტემა შესაბამისი ინფრასტუქტურითა და საგანმანათლებლო პროგრამით. ამასთან, სახელმწიფოს აქვს უფლება დაადგინოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის შესაბამისი პირობები – ადამიანური და მატერიალური რესურსები. განათლების უფლება საფუძველია სხვა უფლებების რეალიზებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციით, განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება ყველა ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. „სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება. (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 27. განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება*). აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია კონსტიტუციით.

2020 წლის 1 სექტემბერს საქართველოში ამოქმედდა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომლის მიზანია: „ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყო-

ფა“. ასევე საქართველოს კონსტიტუციით, ბავშვის უფლებათა კონვენციით, მისი დამატებითი ოქმებითა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარებულია ბავშვის უფლებების დაცვა და მათი ეფექტიანი განხორციელება. ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით, „1. ყველა ბავშვს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღებისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება. 2. სახელმწიფო უზრუნველყოფს განათლების ინკლუზიური სისტემის ყველა ბავშვისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას.'' (*ბავშვის უფლებათა კოდექსი. მუხლი 10. ბავშვის განათლების უფლება*).

განათლების მიღების ხელმისაწვდომობა გამორიცხავს ყველა სახის დისკრიმინაციას. ყველას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აქვს განათლების მიღების უფლება. საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ „ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების თანაბარი შესაძლებლობებისათვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა. “საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემას აწესრიგებს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. უმაღლესი განათლების მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

2005 წელს ბერგენის სამიტზე საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა. ბოლონიის პროცესთან შეერთებით საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს. დამკვიდრდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა; დიპლომების აღიარებისა და მობილობის ხელშემწყობი კრედიტების სისტემა (ESTS). ბოლონიის პროცესთან შეერთებით ქართველ სტუდენტებს მიეცათ ევროპული განათლების მიღებისა და ევროპულ სივრცეში დასაქმების პრესპექტივა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში პროფესიული სწავლებისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა. პროფესიული სწავლების სისტემაში განხორციელებული რეფორმები სულ უფრო აახლოვებს პროფესიულ განათლებას ევროპულ სტანდარტებთან. საქართველოს კანონით პროფესიული განათლების შესახებ, განსაზღვრულია პროფესიული განათლების მიზნები:

„ა) ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;

ბ) ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

გ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;

დ) ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების, ხელშეწყობა;

ე) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.“ (*კანონი პროფესიული განათლების შესახებ. მუხლი 5. პროფესიული განათლების მიზნები*).

სოციალური და კულტურული მრავალფეროვნება. კაცობრიობა არასდროს ყოფილა ერთფეროვანი. ნებისმიერ საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთისაგან მრავალი ნიშნით განსხვავდებიან შესაძლებლობებითა და უნარებით, ასაკითა და ჯანმრთელობით, ეკონომიკური მდგომარეობით, სხვადასხვა მწირ რესურსებზე ხელმისაწვდომობით, რასით, ეროვნებით, გენდერით, რელიგიური კონფესიისადმი მიკუთვნებულობითა და სხვა. გლობალიზაციის პროცესებმა დედამიწის სხვადასხვა ადგილებში მცხოვრები ადამიანები მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან და თანამედროვე მსოფლიო ერთ დიდ საცხოვრისად აქცია. მსოფლიოს ქვეყანათა უმრავლესობა კულტურულად და სოციალურად ჰეტეროგენურია. ამ მხრივ არც ჩვენი ქვეყანაა გამონაკლისი. საქართველო ისტორიულად მრავალფეროვანი ქვეყანაა. ოდითგანვე ქართველების გვერდით ცხოვრობდნენ და ქართველებთან ერთად სამშობლოს იცავდნენ სხვადასხვა ეთნიკური, ლინგვისტური თუ რელიგიური მახასიათებლების მატარებელი ეთნოსები და კულტურული ჯგუფები. კულტურული და სოციალური მრავალფეროვნება დემოკრატიულ საზოგადოებებში ეფუძნება ტოლერანტობისა და თანასწორობის იდეას.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი **პლატონი** (ძვ.წ.427 – 347) თვლიდა, რომ დაბადებიდან ადამიანები უთანასწორონი არიან, თავის ნიჭისა და უნარების, ფიზიკური ძალის მიხედვით, მაგრამ ეს უთანასწორობა სულაც არ უშლის ხელს მოქალაქეებს იყვნენ კანონის წინაშე თანასწორნი. პლატონი, ალბათ, პირველი იყო, ვინც ხმამაღლა განაცხადა, რომ ქალებს ისეთივე უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში, როგორც მამაკაცებს. (ძველ საბერძნეთსა და რომში ქალებს არ ჰქონდათ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება, ისინი არც არჩევნებში მონაწილეობდნენ).

დემოკრატიის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი – ყველა ხალხის თანასწორობაა. თანასწორობა გამოიხატება ყველა ადამიანისათვის თანაბარი პატივის მიგებაში. დემოკრატიული ქვეყანა თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფს ადამიანებს და გამორიცხავს რასის, რწმენის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესისა და სექსუალური ორიენტაციისგან განსხვავებულობაზე დაფუძნებულ ყველანაირ დისკრიმინაციას. დემოკ-

რატიულ ქვეყნებში ცალკეულ ადამიანებს, ისევე როგორც ადამიანთა ჯგუფებს, უფლება აქვთ შეინარჩუნონ განსხვავებული კულტურა, პიროვნული ნიშან-თვისებები, ენა და სარწმუნოება.

კულტურას ერთი განმარტება არ აქვს. დროში იცვლებოდა კულტურის მნიშვნელობაც და გაგებაც. მიუხედავად მისი მრავალგვარი დეფინიციისა, კულტურა შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ერთი ცხოვრების წესით მცხოვრები ადამიანების ერთობა, რომელთაც გააჩნიათ საერთო ენა, ტრადიციები, ადათები, წესები და ნორმები, რელიგია, ცოდნა. კულტურა ხელოვნურია, ის არ არის თანდაყოლილი. კულტურის ელემენტებს ადამიანები სოციალიზაციის პროცესში იძენენ. ყველა ადამიანი კულტურულია, რადგან რომელიღაც კულტურის ნაწილია. ამ გაგებით, ადამიანები თანასწორები არიან. მაგრამ ამავე დროს, ადამიანები განსხვავებულები არიან თავიანთი კულტურით. კულტურა ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ჩვენ კულტურის ნიმუშების დახმარებით ვსწავლობთ, ვაზროვნებთ, ვმოქმედებთ და ვყალიბდებით სოციალურ არსებებად.

თანასწორობის უფლება საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებაა. საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების და პრინციპების საფუძველზე, კონსტიტუციის თანახმად, „საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინაჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 11. თანასწორობის უფლება*).

დღესდღეობით მსოფლიოში 5000-მდე აღმსარებლობაა. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. თუმცა, საქართველოში მართლმადიდებლების გარდა ცხოვრობენ ისლამის, პროტესტანტიზმის, კათოლიციზმის და სხვა რელიგიური კონფესიების აღმსარებელი ადამიანები. ადამიანთა გარკვეული ნაწილი ათეისტია. რელიგიური მრავალფეროვნება ქვეყანას კიდევ უფრო მეტ ხიბლს ანიჭებს. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 16. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები*).

2005 წლის 20 ოქტომბერს პარიზში იუნესკოს გენერალური კონფერენციის 33-ე სესიამ მიიღო კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ. კონვენცია საქართველოში ძალაში შევიდა 2008 წლის 1 ოქტომბერს. კონვენციის თანახ-

მად, კულტურული მრავალფეროვნება კაცობრიობის დამახასიათებელი ნიშანია და, შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობაც კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობაა, მისი დაცვაც უმნიშვნელოვანესია ადამიანთა კეთილდღეობისათვის. კულტურული მრავალფეროვნება ადამიანებისა და ერების განვითარების მამოძრავებელი ძალაა.

კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ კონვენციის მიზნებია:

„(ა) კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა;

(ბ) კულტურების აყვავებისა და თავისუფალი ურთიერთქმედების პირობების შექმნა ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე;

(გ) კულტურათაშორისო დიალოგის ხელშეწყობა უფრო ფართო და დაბალანსებული კულტურული თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის, მსოფლიოში კულტურათაშორისი პატივისცემის და მშვიდობის კულტურის განვითარების თვალსაზრისით;

(დ) კულტურათა ურთიერთკავშირის ხელშეწყობა ხალხთა ურთიერთკავშირის მიზნით, კულტურული ურთიერთქმედების განვითარების თვალსაზრისით;

(ე) კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების პატივისცემის პროპაგანდა და მისი ღირებულების გაცნობიერების გაღრმავება ადგილობრივ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეებზე;

(ვ) ყველა ქვეყნისათვის განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის კულტურასა და განვითარებას შორის კავშირის აღიარება, და ამ კავშირის ჭეშმარიტი ღირებულების აღიარების უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე განხორციელებული მოქმედების მხარდაჭერა;

(ზ) კულტურული საქმიანობის, კულტურის საქონლისა და მომსახურების, როგორც თვითმყოფადობის, ღირებულებისა და მნიშვნელობის განსახიერების განსაკუთრებული ხასიათის აღიარება;

(თ) სახელმწიფოების იმ სუვერენული უფლებების აღიარება, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი პოლიტიკისა და ზომების შენარჩუნებასთან, მიღებასა და განხორციელებასთან, რომლებიც შეესაბამება მათ ტერიტორიაზე კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვასა და შემდგომ ხელშეწყობაზე;

(ი) საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოლიდარობის განმტკიცება პარტნიორობის სულისკვეთებით, კერძოდ, კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და შემდგომი ხელშეწყობის საქმეში განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობების გაფართოების მიზნით.“

კონვენცია ეყრდნობა ისეთ სახელმძღვანელო პრინციპებს, როგორებიცაა:

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპი;
- სუვერენიტეტის პრინციპი;
- ყველა კულტურის თანასწორი ღირსებისა და პატივისცემის პრინციპი;
- საერთაშორისო სოლიდარობისა და თანამშრომლობის პრინციპი;
- განვითარების, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების ურთიერთშევსების პრინციპი;
- განუხრელი განვითარების პრინციპი;
- თანასწორი ხელმისაწვდომობის პრინციპი;
- გახსნილობისა და წონასწორობის პრინციპი.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. რომელი უფლებები მიეკუთვნება ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს?
2. რას ნიშნავს „საქართველო არის სოციალური სახელმწიფო?“
3. დაასახელეთ საერთაშორისო მნიშვნელობის პირველი დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, სადაც ადამიანის უფლება განათლებაზე საყოველთაო უფლებად არის აღიარებული.
4. თქვენი აზრით, რატომ უნდა აფინანსებდეს სახელმწიფო განათლებას?
5. რატომ არის მნიშვნელოვანი შრომის უფლება ადამიანებისათვის?
6. როგორ გესმით თანასწორობა და ტოლერანტობა კულტურულ მრავალფეროვნებათა კონტექსტში?

თავი 13. კოლექტიური (სოლიდარობის) უფლებები

კოლექტიური უფლებები მესამე თაობის უფლებებს მიეკუთვნება. მას კოლექტიურს უწოდებენ, რადგან ეს უფლებები ერთი კონკრეტული ადამიანის კი არა, არამედ ადამიანთა დიდი ჯგუფების კუთვნილებაა. კოლექტიური უფლებები ადამიანთა ჯგუფების ინტერესს გამოხატავენ და მათ დაცვაზე არიან ორიენტირებულნი, ამიტომ ინდივიდს დამოუკიდებლად არ შეუძლია ამ უფლებით სარგებლობა. სწორედ, ეს განსხვავებაა ინდივიდის უფლებებსა და კოლექტიურ უფლებებს შორის.

კოლექტიური უფლებები სოლიდარობის უფლებების სახელითაც არის ცნობილი, რადგან ამ უფლებების განხორციელება ადამიანთა სოლიდარობის იდეას ეფუძნება. დებატები კოლექტიური უფლებებისა და ინდივიდის უფლებების ბუნებაზე, შინაარსზე, დაცვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობის აღებაზე დღესაც აქტუალურია. ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ კოლექტიურმა უფლებებმა შესაძლოა ინდივიდის უფლებების განხორციელება შეზღუდოს კოლექტიურობის სახელით, ან თუკი ინდივიდის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებლობა ცალკეულ სახელმწიფოებს ეკისრებათ, ვის შეიძლება დაეკისროს პასუხიმგებლობა კოლექტიური უფლებების დაცვაზე. თუმცა, იმაზე არავინ დაობს, რომ ასეთი ბუნების უფლებები რეალურად არსებობს და მათ დაცვასა და განხორციელებასაც საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა სჭირდება. დავა უფრო კლასიფიკაციის საკითხებს ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური უფლებების წარმოშობა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს მისი ჩამოყალიბების პროცესი ჯერაც არ დასრულებულა, რადგან მსოფლიოში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული ისეთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლითაც კოლექტიური უფლებები იქნებოდა დეკლარირებული. კოლექტიური უფლებების წარმოშობას წინ უძღვოდა მეორე მსოფლიო ომი, მრავალი ქვეყნის გათავისუფლება კოლონიალიზმის მარწუხებისგან, ეკოლოგიური და ჰუმანიტარული პრობლემების გამწვავება. **კოლექტიურ (სოლიდარობის) უფლებებს მიეკუთვნება მშვიდობის უფლება, ერთა თვითგამორკვევის უფლება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების უფლება, უფლება მდგრად განვითარებაზე, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და სხვა**.

ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების უფლება. თანამედროვე ადამიანის მთავარი გამოწვევა – სუფთა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრებაა. მოსახლეობის ინტენსიურმა ზრდამ, ტექნოლოგიურმა და ინდუსტრიულმა პროგრესმა ეკოლოგიურ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. გარემოს დაბინძურება უპირველეს ყოვლისა ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე აისახება უარყოფითად – ზრდის დაავადებათა და სიკვდილიანობის მაჩვენებელს მთელ მსოფლიოში. გარემოს დაბინძურებას კაცობრიობა ისეთ ეკოლოგიურ კატასტროფებამდე მიჰყავს, როგორიცაა კლიმატის გლობალური ცვლილება, ოზონის შრის დაშლა, სითბური ბალანსის დარღვევა დედამიწაზე და სხვა.

მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, გახშირდა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენები, როგორებიცაა სეტყვა, ძლიერი წვიმები, ღვარცოფი, წყალდიდობა, გვალვა, გრიგალი, ზვავი, ნიადაგის დეგრადაცია და სხვა. კლიმატური ცვლილება, თავის მხრივ, იწვევს სტიქიურ კატასტროფებს, ზრდის ადამიანების ჯანმრთელობის რისკებს, ამძაფრებს სოციალურ პრობლემებს, აფერხებს და ხშირ შემთხვევაში უკუაქცევს ეკონომიკურ წინსვლას, საფრთხის ქვეშ აყენებს სასურსათო უსაფრთხოებას, ზრდის ბიომრავალფეროვნების დაკარგვის რისკებს და სხვა. გარემოს დაბინძურების სხვადასხვა წყარო არსებობს: სტიქიური უბედურებებისგან გამოწვეული დაბინძურება, მაღალი ტექნოლოგიებისგან გამოწვეული დაბინძურება, დიოქსინი, ავტომობილების გამონაბოლქვი და სხვა.

მრავალი კანონისა და რეგულაციის წყალობით მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული გარემოს დაბინძურების შემცირების მიმართულებით. მაგრამ კაცობრიობას ჯერ კიდევ არ აქვს ბოლომდე გააზრებული ის გლობალური საფრთხე, რაც გარემოს დაბინძურებას მოსდევს. სუფთა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრებაზე ადამიანების უფლების განხორციელება როგორც მთელი კაცობრიობის, ისე თითოეული სახელმწიფოს და თითოეული ადამიანის ძალისხმევისა და ზრუნვის საგანია. გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ გამოყენებაზე ზრუნვა საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა. ადამიანების უფლება ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრებაზე მათი კონსტიტუციური უფლებაა. „1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება*).

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიზნებია: „დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები – ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი; უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.“ (*საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ.*)

ორჰუსის კონვენცია. თანამედროვე კაცობრიობის წინაშე მწვავედ დგას გარემოს დაბინძურების შედეგად გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვასა და მის გაუმჯობესებაში. უმთავრესია მოქ-

ლაქემ კარგად გააცნობიეროს გარემოს დაცვის საკითხებში საკუთარი უფლებები და მოვალეობები და აქტიურად ჩაერთოს გარემოს დაცვის საკითხებში გადაწყვეტილებების მიღებაში.

1998 წლის 25 ივნისს, ევროკავშირმა და 39 ქვეყანამ დანიის ქალაქ ორჰუსში, ხელი მოაწერა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციას „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“. ორჰუსის კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ და მოქმედებს 2001 წლის 30 ოქტომბრიდან. ორჰუსის კონვენცია ეფუძნება 3 ძირითად პრინციპს:

I პრინციპი გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას გულისხმობს. ეს პრინციპი საჯარო დაწესებულებებს ავალდებულებს გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის საჯაროობას;

II პრინციპი გულისხმობს საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ პრინციპის თანახმად, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ადამიანის გარემოსდაცვითი უფლებების უზრუნველყოფას ემსახურება;

III პრინციპი მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას გულისხმობს. ამ პრინციპის თანახმად, კონვენცია ადამიანს აძლევს გასაჩივრების უფლებას, როცა ირღვევა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე მისი ხელმისაწვდომობა და ამასთან, უგულვებელყოფილია მისი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ნიდერლანდელმა დიზაინერმა სტუდია „რუსეგარდეს“ დამაარსებელმა დაან რუსეგარდემ წამოიწყო კამპანია ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ. მან შექმნა ინოვაციური პროექტი Smog Free Tower (გამონაბოლქვისგან თავისუფალი კოშკი). თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით რუსეგარდემ ააგო 7 მეტრი სიმაღლის ჰაერის გამწმენდი კოშკები, რომლებიც საათში 30000 კუბურ მეტრ ჰაერს წმენდენ. ნიდერლანდელი დიზაინერის დევიზია „ჩვენ მივისწრაფით სუფთა ჰაერისაკენ“. დღეისთვის რუსეგარდეს კოშკები ხალხმრავალ ადგილებში და პარკებში განთავსებულია სამხრეთ კორეაში, ჩინეთში, მექსიკაში, ნიდერლანდებში, პოლონეთში.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებები კოლექტიურ უფლებებს მიეკუთვნება. ეროვნულ უმცირესობაში მოიაზრება „სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეთა ჯგუფი, რომლებიც რიცხობრივად მცირეა ძირითად მოსახლეობასთან შედარებით და განსხვავდება მისგან თავისი ენით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით. ეს სტატუსი ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოთა და ექსპერტთა მუშაობის შედეგად.“ *(ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი. 2005).*

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, „ეთნიკური კუთვნილება გულისხმობს ისეთი ეთნიკური ჯგუფისადმი ადამიანის კუთვნილებას, რომელსაც საქართველოს საზღვრებს გარეთ არ გააჩნია თავისი სამშობლო, სადაც იგი ეთნიკურ უმრავლესობას წარმოადგენს (მაგალითად, ბოშური ეთნოსის წარმომადგენლები). „ეროვნული კუთვნილება" კი გულისხმობს საპირისპირო შემთხვევებს, ანუ როდესაც შესაბამის ჯგუფს აქვს სხვა სამშობლო, სადაც იგი ეთნიკურ უმრავლესობას ქმნის (მაგალითად, სომეხი, აზერბაიჯენელი, რუსი და სხვ). როგორც „ეროვნული", ისე „ეთნიკური" კუთვნილების ცნებები მოიცავს გენეტიკურ, ისტორიულ თუ კულტურულ ასპექტებს." *(საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. 2013).*

საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებული დოკუმენტები არ იძლევიან ეთნიკური და ეროვნული უმცირესობების მკაფიო დეფინიციას და ორივე ჯგუფს უმცირესობათა კონტექსტში განიხილავენ, როგორიცაა რასობრივი, რელიგიური, ლინგვისტური და სხვა უმცირესობები. თუმცა, არაერთი დოკუმენტით არის დეკლარირებული როგორც ეროვნული უმცირესობების, ისე ეთნიკური უმცირესობების უფლებები და თავისუფლება. ლიტერატურაში ხშირად ამ ორ ტერმინს სინონიმებად იყენებენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმცირესობათა უფლებების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი უმცირესობების განმარტებისას უპირატესობას თვითიდენტიფიკაციას ანიჭებს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით (13.10.2005) საქართველოში ეროვნული უმცირესობის სტატუსი ენიჭება ჯგუფს, თუ:

- მისი წევრები არიან საქართველოს მოქალაქეები;
- ისინი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისაგან განსხვავდებიან საკუთარი ენობრივი, კულტურული და ეთნიკური იდენტურობით;
- ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე;
- ისინი საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად არიან დასახლებული.

ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღებული მრავალი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტითაა დეკლარირებული. ყველა ადამიანს, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელებს, ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობის უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა კომპლექსურად მოიცავს ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებებით სარგებლობის უფლებას. ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობებს ისეთივე უფლება აქვთ ისარგებლონ მშვიდობიანი შეკრებების, გაერთიანების უფლებით, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით, როგორც ძირითად მოსახლეობას. ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ ისარგებლონ თანაბარი

ხელმისაწვდომობით განათლებაზე. ერთად დასახლებული ეროვნული უმცირესობების შედარებით დიდი ჯგუფების მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მათი მშობლიურ ენაზე სწავლება. ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები მოითხოვს მათი იდენტობისა და კულტურის აღიარებას და პატივისცემას, თანაბარი გარემოს შექმნას კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებით სარგებლობისათვის. სამართლის წინაშე თანასწორობა საქართველოს კონსტიტუციით ყველა ადამიანის, მათ შორის ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელთა კონსტიტუციური უფლებაა. „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ." (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 11. თანასწორობის უფლება*). დაუშვებელია ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების შეზღუდვა – მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიღებისა და გაცემის უფლებაში. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს უფლება აქვთ საჯაროდ თუ კერძოდ ისაუბრონ და წერონ მშობლიურ ენაზე. ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობას მიკუთნებული პირის დაკავებისას, მას მშობლიურ ენაზე უნდა განემარტოს დაკავების მიზეზი და ყველა საჭირო ინფორმაცია. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს იგი უფასო თარჯიმნის მომსახურებით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის (2 თებერვალი, 2015) მიზანია: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად."

1995 წლის 1 თებერვალს ევროპის საბჭომ სტრასბურგში მიიღო ჩარჩო კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ". კონვენციის მიხედვით, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხი ადამიანის უფლებათა დაცვის განუყოფელი ნაწილია. საქართველომ „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებით (ძალაში შევიდა 2006 წლის 1 აპრილს) აიღო ვალდებულება ხელი შეუწყოს ეროვნულ უმცირესობებს საკუთარი ეროვნული იდენტობის – ენის, რელიგიის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში. ასევე

კონვენციის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ტოლერანტობის, ურთიერთთანამშრომლობის, კულტურათა შორის დიალოგის განწყობების შექმნას. კონვენციით დაუშვებელია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ძირითად მოსახლეობასთან ასიმილაცია. ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენციის 21 მუხლის თანახმად, „წინამდებარე ჩარჩო კონვენციაში არაფერი განიმარტება ისე, რომ ეს გულისხმობდეს რაიმე ქმედებაში ჩაბმის უფლებას ან რაიმე აქტის განხორციელებას საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების და კერძოდ, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპების საწინააღმდეგოდ.“

ეთნოსი საერთო კულტურული და სოციალური ტრადიციის მქონე სოციალური ჯგუფია. მონოეთნიკურ სახელმწიფოში ძირითადი ერის ხვედრითი წილი მთელი მოსახლეობის 99 პროცენტს აღემატება. მსოფლიოს 190 სახელმწიფოდან ასეთი მხოლოდ თერთმეტია, ევროპაში: უნგრეთი, ისლანდია და პორტუგალია. აზიაში: სამხრეთ კორეა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა; აფრიკაში: მადაგასკარი და სან-ტომეს და პრინსიპის რესპუბლიკა; ლათინურ ამერიკაში: ჰაიტი; ოკეანეთში: ტონგა. (*„ჩემი სამყარო“ ჟურნალი ახალგაზრდებისთვის. 2014 (4)*).

ეროვნული უმცირესობა არის „ადამიანთა ჯგუფი, რომელთა საერთო რაოდენობა არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა, და რომელთა წევრები არიან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური იდენტობის მატარებელი, ვიდრე დომინანტი მოსახლეობა და რომლებსაც აქვთ სურვილი, დაიცვან საკუთარი კულტურა, ტრადიციები, რელიგია და ენა.“ ვენეციის კომისიის განმარტება. (*ევროკომისია. 2006*).

საქართველო ტრადიციულად მრავალეროვნული ქვეყანაა. მოსახელობის ერთ მეექვსედს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები შეადგენენ: აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, უკრაინელები, ებრაელები, ბერძნები, ასირიელები და სხვა. საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა დიდი ნაწილი აზერბაიჯანელი და სომეხია. ეროვნული/ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ერთი მხრივ, უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ჩვენს ქვეყანას, მეორე მხრივ, ნოყიერ ნიადაგს უქმნის გარე ძალებს კონფლიქტის პროვოცირებისა და დაპირისპირებისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 90-იან წლებში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დაწყებული ე.წ. „ეთნიკური კონფლიქტები“ საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში ერთი მხრივ რუსეთის პოლიტიკითა და მისი ხელშეწყობით იყო განპირობებული, მეორე მხრივ, ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის დაბალი ხარისხით. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხი დღესაც პრობლემატურია საქართველოსათვის.

ბოლო წლებში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის ბევრი პროექტი განხორციელდა ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მოსახლეობაში, და მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლებში, სამოქალაქო იდენტობის, სამოქალაქო თანასწორობის დამკვიდრებისათვის ხელისუფლებამ მოქალაქის პასპორტიდან და პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან ამოიღო ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა. წარსულის ეს გადმონაშთი ერთმანეთს აშორებდა ეროვნებასა და მოქალაქეობას. ასეთი მიდგომით, საქართველოს ყველა მოქალაქე ქართველია მისი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.

ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა. ინტეგრაციის პროცესის დამაბრკოლებელი და ქართული საზოგადოებისაგან დისტანცირების უმთავრესი ფაქტორი ქართული ენის არცოდნაა. შესაბამისად, ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ვერ იღებენ სრულფასოვან ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამიტომ მათი ჩართულობაც პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებში, უმეტესწილად, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ჩანართი 23. ეროვნულ უმცირესობათა საკითხი სსრ კავშირის დაშლის პროცესში

„ეროვნულ უმცირესობათა საკითხი მწვავედ იდგა სსრ კავშირის დაშლის პროცესში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის 1990 წლის აპრილის კანონით ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სხვა ავტონომიებს უფლება მიეცათ თვითონვე გადაეწყვიტათ თავიანთი ბედი და გამოყოფოდნენ იმ რესპუბლიკას, რომელიც სსრ კავშირიდან გასვლას დააპირებდა. პირველ რიგში ეს შეეხო საქართველოს, აზერბაიჯანსა და მოლდოვას, სადაც ეწყობოდა ე.წ. ეთნიკური კონფლიქტები, რომლებიც რუსეთის რეაქციული წრეების მიერ იყო ინსპირირებული და მათი უშუალო დახმარებით სარგებლობდა. ეს წრეები ცდილობდნენ, შიგნიდან აეფეთქებინათ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკები“, მაგრამ ამას დაბრკოლებას უქმნიდა და უქმნის სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელიც უარყოფს ნებისმიერი ეროვნული უმცირესობის წადილს, ცალმხრივად გამოეყოს სახელმწიფოს.“ (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი. 2005).

? კითხვები გააზრებისთვის:

1. რომელი უფლებები მიეკუთვნება ადამიანის კოლექტიურ უფლებებს?
2. რა სხვაობაა ადამიანის კოლექტიურ უფლებებსა და ინდივიდუალურ უფლებებს შორის?
3. რატომ ეწოდებათ კოლექტიურ უფლებებს სოლიდარობის უფლებები?
4. თქვენი აზრით, ვინ უნდა ზრუნავდეს გარემოს სისუფთავეზე: სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები თუ მთლიანად კაცობრიობა?
5. როგორ შეუძლია თითოეულ ინდივიდს იზრუნოს ეკოლოგიურად სუფთა გარემოზე?
6. თქვენი აზრით, რატომ უნდა იღებდნენ ეროვნული/ეთნიკური უმცირესობები განათლებას თავის მშობლიურ ენაზე?
7. საქართველოს კონსტიტუციის რომელი მუხლი იცავს ქვეყანაში ეროვნულ/ეთნიკური უმცირესობათა ენის, რწმენის, კულტურის თავისუფლებას?
8. თქვენი აზრით, რატომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხს დემოკრატიული საზოგადოებისათვის?
9. როგორ ფიქრობთ, რა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისათვის?

თავი 14. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები ეროვნულ დონეზე

ადამიანის უფლებებს შორის ადამიანს აქვს კიდევ ერთი უნიკალური უფლება – საკუთარი და სხვა ადამიანის უფლებების დაცვის უფლება. მას მერე, რაც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში პირველი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტები შეიქმნა, კაცობრიობამ დაიწყო ზრუნვა მათი დაცვის მექანიზმების შემუშავებაზე.

სახელმწიფო ადამიანის უფლებების სფეროში მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტის რატიფიცირებით იღებს სამართლებრივ ვალდებულებას პატივი სცეს და დაიცვას დოკუმენტით განსაზღვრული ადამიანის უფლებები. ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები, ამასთან ის ვალდებულია არ დაუშვას ადამიანის უფლებების დარღვევა, რისთვისაც უნდა შეიმუშაოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი მექანიზმები. სახელმწიფო ადამიანის უფლებების სფეროში მიღებული საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიცირებით ვალდებულებას იღებს პატივი სცეს ადამიანის უფლებებს. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ ადამიანებს ხელი არ შეუშალოს საკუთარი უფლებებით სარგებლობაში.

სახელმწიფო ასევე ვალდებულია ქვეყნის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების ასახვით შექმნას მისი დაცვის გარანტიები, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში ხალხს ჰქონდეს საშუალება მიმართოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სასამართლოებს. სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვა გამოიხატება ადამიანის რომელიმე უფლების დარღვევის შემთხვევაში დამნაშავის სამართლებრივ დასჯაში.

საქართველოს სასამართლო სისტემა

ეროვნულ დონეზე ყოველი სახელმწიფო ვალდებულია ადამიანის უფლებების დაცვისათვის შექმნას მიუკერძოებელი, სამართლიანი, ობიექტური და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, სადაც ადამიანი შეძლებს საკუთარი უფლებების სამართლებრივ დაცვას. საქართველოს კონსტიტუციის 31 მუხლის თანახმად, თავის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად ყოველ ადამიანს აქვს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

ყოველი ადამიანის განუხრელი უფლებაა დაიცვას კანონით მონიჭებული უფლებები სასამართლოს საშუალებით. ადამიანის თავისუფლება კონტიტუციითაა გარანტირებული. „თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება*). ამასთან, ადამიანის დაკავება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში არის დასაშვები. „დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო

არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვა-გვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება*). ბრალდებულის პატიმრობის ვადას საქართველოს კონსტიტუცია ცხრა თვით განსაზღვრავს. ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა დაკავებისთანავე ინფორმირებული იყოს საკუთარი უფლებებისა და დაკავების საფუძვლის შესახებ. დაკავებისთანავე ადამიანს აქვს უფლება მოითხოვოს ადვოკატის დახმარება. ადვოკატის დახმარებაზე უარის თქმა დაკავებულისათვის კონსტიტუციით დაუშვებელია. საქართველოს კონტიტუციის მე-13 მუხლის „მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება*).

საქართველოს სასამართლო სისტემა. საქართველოში სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ **საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლო. რაიონული ან საქალაქო სასამართლოები** პირველი ინსტანციის სასამართლოებია. პირველი ინსტანციის სასამართლოები არსებითად განიხილავენ სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებს და გამოაქვთ გადაწყვეტილება. მეორე ინსტანციის სასამართლოა სააპელაციო სასამართლო, სადაც ხდება პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. სააპელაციო სასამართლო მდებარეობს თბილისსა და ქუთაისში.

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. იგი გადასინჯავს ქვედა ინსტანციების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. უზენაესი სასამართლო მდებარეობს თბილისში.

საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ იმ ნორმატიული აქტების ძალადაკარგულად ცნობა, რომლებიც კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ლახავს. საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს განიხილავს ერთი ინსტანციით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მდებარეობს ბათუმში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში კანონით 2010 წლის 1 ოქტომბრიდან მკვიდრდება. ის განიხილავს მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს და შედგება 12 ძირითადი და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან. ნაფიცი მსაჯული შეიძლება გახდეს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფისირებული 18 წელს გადაცილებული პირი, რომელიც ფლობს სისხლის სამართლის საპროცესო ენას, ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც შედის ამ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, არ აქვს შეზღუდული ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები, რომელიც მას ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის ფუნ-

ქციის განხორციელებაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ნაფიცი მსაჯული ვერ გახდება პირი თუ ის არის: სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი; გამომძიებელი; პოლიციელი; პირი, რომელიც ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში; სასულიერო პირი; აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე; ბრალდებული; ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირი; პირი, რომლის მონაწილეობაც ნაფიც მსაჯულად ამ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე; ფსიქოლოგი; ფსიქიატრი; იურისტი.

ნაფიცი მსაჯულები მათი დამტკიცების შემდეგ დებენ ფიცს: „ვფიცავ, პატიოსნად და მიუკერძოებლად აღვასრულო ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, გავითვალისწინო ყველა კანონიერი მტკიცებულება, გადაწყვეტილება მივიღო შინაგანი რწმენის საფუძველზე, როგორც შეეფერება სამართლიან ადამიანს!“ ნაფიცი მსაჯულების მიერ გამამართლებელი ვერდიქტის გამოცხადებისთანავე სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი. გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და ის გასაჩივრებას და შეცვლას არ ექვემდებარება. ნაფიცი მსაჯულების მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადებისას სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის თარიღს. სასჯელის დანიშვნის სხდომა უნდა გაიმართოს ვერდიქტის გამოცხადებიდან სამი დღის ვადაში.

ჩანართი 24. დიკასტერია

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. მის ერთ-ერთ პირველ წინაპრად შეიძლება მივიჩნიოთ ანტიკური ეპოქის ძველი ათენი, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დიკასტერია ეწოდებოდა. დიკასტერიად მოიხსენიებდნენ ქალაქის მთავარ მოედანსაც, სადაც სასამართლო პროცესები იმართებოდა. დიკასტერია შედგებოდა 500 მსაჯულისაგან და სახალხო მოსამართლეებს დიკასტები ეწოდებოდათ. სახალხო მოსამართლე შეიძლება გამხდარიყო ათენის მოქალაქე, 30 წელს გადაცილებული მამაკაცი და ისინი განიხილავდნენ ნაკლებად მძიმე დანაშაულებს, ხოლო მძიმე დანაშაულებს, რომელთა ვერდიქტიც სიკვდილით დასჯა ან ქალაქიდან გაძევება იყო – 1500 დიკასტი განიხილავდა. დიკასტერიაში საკითხი ხმათა უმრავლესობით წყდებოდა. დიკასტები ერთმანეთში განსჯისა და განხილვის გარეშე, პირდაპირ აყენებდნენ საკითხს კენჭისყრაზე. თუკი ხმები თანაბრად გაიყოფოდა, სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი გამოჰქონდა. დიკასტერია ძველ ათენში ჩვ.წ. აღ. 460 წლამდე არსებობდა.

საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოში 1996 წელს შეიქმნა. მისი საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, საქართველოს კანონით „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ და სხვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს ქვეყანაში კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის ძირითადი და უზენაესი კანონის დაცვას, კონსტიტუციის კანონიერებას, საქართველოს კონსტიტუციაში გაწერილი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია სარჩელით მიმართონ იურიდიულმა პირებმა, ასევე, საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრებმა მოქალაქეობის არმქონე ფიზიკურმა პირებმა. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის წევრებს (არანაკლებ საერთო რაოდენობის ერთი მეხუთედისა), საერთო სასამართლოს, სახალხო დამცველს და სხვა.

სახალხო დამცველი

დემოკრატიულ ქვეყნებში ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვა კონსტიტუციითაა გარანტირებული. „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 4. სამართლებრივი სახელმწიფო*). ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი მაჩვენებელი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვით განისაზღვრება. დემოკრატიულ საზოგადოებაში თითოეული ადამიანი ღირებულია, ამიტომ ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შიდა სახელმწიფოებრივ მექანიზმებს შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგ, მეორე დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანო სახალხო დამცველის ინსტიტუტია.

ჩანართი 25. ომბუდსმენი

ომბუდსმენის ინსტიტუტი მსოფლიოში არცთუ ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა. დღეს იგი 120-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს და მისი არსებობა ქვეყნის დემოკრატიულობის განმსაზღვრელადაც კი იქცა. სიტყვა ომბუდსმენი შვედური წარმოშობისაა და პირველი ომბუდსმენიც, სწორედ, ამ ქვეყანაში გამოჩნდა. მე-18 საუკუნეში შვედეთის ჯარების რუსეთთან ომში დამარცხების შემდეგ, შვედეთის მეფემ კარლ XII-მ მოკავშირის

ძიებაში თურქეთს მიაშურა. მისმა მოგზაურობამ თითქმის 5 წელს გასტანა. 1713 წელს აბსოლუტური მონარქიის პირობებში შვედეთის მეფემ შემოიღო იუსტიციის სამეფო ომბუდსმენის თანამდებობა, რათა სახელმწიფო მოხელეებსა და მოსამართლეებს ბოროტად არ ესარგებლათ მეფის სამშობლოდან შორს ყოფნით და არ დაეჩაგრათ ხალხი. შესაბამისად, მეფის ომბუდსმენის ფუნქციებში ჩინოვნიკთა საქმიანობაზე ზედამხედველობა შედიოდა. 1809 წელს შვედეთის პარლამენტმა მიიღო ქვეყნის კონსტიტუცია, რომლის საფუძველზეც შემოიღო ომბუდსმენის თანამდებობაც.

სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ინსტიტუტი საქართველოში 1995 წლის კონსტიტუციის საფუძველზე შეიქმნა. „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 6 წლის ვადით სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. სახალხო დამცველად ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა დაუშვებელია.“ (*საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 35. საქართველოს სახალხო დამცველი*). სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ხელის შეშლა კანონით ისჯება. ასევე, მისი დაკავება, დაპატიმრება, ჩხრეკა პარლამენტის თანხმობის გარეშე, დაუშვებელია. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობას განსაზღვრავს ორგანული კანონი – სახალხო დამცველის შესახებ. „საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა.“ (*ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ. მუხლი 3.*).

სახალხო დამცველის ინსტიტუტი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოა. საქართველოს სახალხო დამცველი გარდა იმისა, რომ ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას, ასევე, ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფი-

ზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.“ კანონის თანახმად, სახალხო დამცველს შეუძლია როგორც მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ისე პირადი ინიციატივით, დაიწყოს დისკრიმინაციულ ფაქტზე საქმის შესწავლა.

საქართველოს სახალხო დამცველს შეგიძლიათ მიმართოთ მაშინ, როცა ირღვევა თქვენი ან სხვისი უფლებები და თავისუფლებები, რომელიც დადგენილია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო. უფლებების დარღვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა, თანამდებობის და იურიდიულ პირთა მხრიდან. სახალხო დამცველს უფლება აქვს არ განიხილოს განცხადება ან საჩივარი, რომლის თაობაზეც მას მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, თუ არ წარმოიქმნება ახალი გარემოებები. თუ თქვენი უფლებები დაირღვა სახალხო დამცველს შეუძლია:

- რეკომენდაციები გაუგზავნოს იმ სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის ან იურიდიულ პირს, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია თქვენი უფლებების დარღვევა;
- დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მის ხელთ არსებული მასალები გადასცეს საგამოძიებო ორგანოს;
- შეიტანოს წინადადებები შესაბამის ორგანოებში იმ პირთა დისციპლინარული ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია თქვენი უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;
- აცნობოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით;
- ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ გამოაქვეყნოს სპეციალურ მოხსენებებსა და ყოველწლიურ ანგარიშებში.

განცხადება და საჩივარი არ იბეგრება სახელმწიფო გადასახადით.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დაინტერესებული პირისათვის გაწეული სამსახური უფასოა. განცხადება ან/და საჩივარი უნდა იყოს დაწერილი სახალხო დამცველის სახელზე, გარკვევით, ქართულ ენაზე, უნდა მოიცავდეს ძირითადი საკითხის, გარემოებების აღწერას და განმცხადებლის ზუსტ მისამართს. განცხადება ან/და საჩივარი შეიძლება სახალხო დამცველს გამოეგზავნოს ფოსტით ან მოქალაქემ უშუალოდ მიიტანოს სახალხო დამცველის ოფისში. (*სახალხო დამცველის გზამკვლევი. https://ombudsman.ge/geo/gzamkvlevi*).

სახალხო დამცველის უფლებამოსილებას სცილდება სასამართლოს მიერ გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილების გაუქმება, მაგრამ მას შეუძლია რეკომენდაციით მიმართოს იმ ორგანოს, რომელმაც თქვენი უფლებები დაარღვია. სახალხო დამცველის ოფისში მოქმედებს პრევენციის მექანიზმი (დეპარტამენტი), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დეპარტამენტი, ბავშვის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, გენდერის დეპარტამენტი, თანასწორობის დეპარტამენტი, სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი, ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტი, ტოლერანტობის ცენტრი და სხვა.

2005 წელს კულტურული განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით სახალხო დამცველის ოფისში გაიხსნა **ტოლერანტობის ცენტრი.** დღიდან არსებობისა ცენტრი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საქმეში. ცენტრი ეწევა როგორც კვლევით, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობას, შეისწავლის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პრობლემებს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ავლენს დისკრიმინაციის, ქსენოფობიის, შეუმწყნარებლობის ფაქტებს. ტოლერანტული გარემოს შექმნისა და კულტურათა შორის დიალოგის ხელშეწყობის მიზნით ტოლერანტობის ცენტრი კოორდინირებას უწევს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოებს. რელიგიურ უმცირესობათა საბჭოში წარმოდგენილია ოცდაათზე მეტი რელიგიური გაერთიანება, ხოლო ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო ასამდე ეთნიკურ უმცირესობათა საკითხზე მომუშავე ორგანიზაციას აერთიანებს. სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისთვის ურთიერთთანამშრომლობისა და დისკუსიისთვის ხელსაყრელი ატმოსფეროა შექმნილი. ცენტრი ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა სხვადასხვა პრობლემატიკაზე, კულტურულ ტრადიციებზე და ინტეგრაციის საკითხებზე ამზადებს და გამოსცემს საცნობარო ხასიათის ნამუშევრებს, ჟურნალებს, სტატიებს, იღებს დოკუმენტურ ფილმებს.

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში 2001 წელს შეიქმნა ბავშვთა და ქალთა უფლებების ცენტრი. 2013 წლის 15 მაისს ცენტრის საფუძველზე ჩამოყალიბდა **გენდერის დეპარტამენტი**. მისი მიზანი გე-

ნდერის საკითხებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ზედამხედველობაა. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მყარადაა ფესვგადგმული შეხედულება გენდერული როლების შესახებ. ითვლება, რომ ქალის ფუნქცია მხოლოდ შვილების აღზრდა და ოჯახის მეურვეობაა. ეს საკითხი კაცობრიობის უძველესი პრობლემაა. ასეთი პატრიარქალური მენტალობა ქალებს დისკრიმინირებულ მდგომარეობაში აყენებთ. მდგომარების გამოსასწორებლად საჭიროა საზოგადოების სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება. ამ მიმართულებით გენდერის დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქცია გენდერის საკითხებზე კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და გენდერული თანასწორობისა და ინტეგრაციის ხელშეწყობაა. გენდერის დეპარტამენტის ამოცანებია:

- საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის ზედამხედველობა;
- გენდერის საფუძველზე, მათ შორის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის გამო უფლებადარღვევის ფაქტების შესწავლა და რეაგირება;
- სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის საკითხის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;
- საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების საქმიანობის, გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება;
- კვლევითი კომპონენტი და ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის. (*https://www.ombudsman.ge/geo/departamentis-shesakheb*).

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენცია

ოჯახი ის გარემოა, სადაც ადამიანები ყველაზე მეტად დაცულად უნდა გრძნობდნენ თავს. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში ხშირად პირიქითაა და ძალადობის გამო ყველაზე მეტი საფრთხე და დაუცველობის შეგრძნება ადამიანებს ოჯახში ეუფლებათ. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, ოჯახურ ძალადობას განმარტავს როგორც „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგი-

ური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.“ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ოჯახის ნებისმიერი წევრი შეიძლება გახდეს, მაგრამ უფრო ხშირად მსხვერპლი ხდება ბავშვი, ქალი, მოხუცი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. სამწუხაროდ, ყველა ადამიანს არ აქვს მოხუცებულობაში მყუდრო და თბილი გარემო. ყველა არ არის განებივრებული შვილების ყურადღებით. არის შემთხვევები როცა შვილები თავის ასაკოვან მშობლებს სასტიკად ეპყრობიან, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად შეურაცხყოფენ მათ. ოჯახური ძალადობის რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მოზრდილები. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზრუნვას საჭიროებენ. მათი მოვლა კი ოჯახის სხვა წევრებს „ცხოვრებას ურთულებს“.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი ხშირად ხდებიან ბავშვები. ძალადობის მიზეზად მშობლები ბავშვის სიჯიუტეს ასახელებენ. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ბავშვზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა აღზრდის მეთოდთანაა გაიგივებული და ბავშვის გაწკეპვლას, დაცინვასა და დაყვირებას, სულაც არ აღიქვამს ძალადობად. არადა, ნებისმიერი ოჯახური ძალადობა, იქნება ეს ბავშვზე თუ ოჯახის რომელიმე სხვა წევრზე მიმართული, ყველაზე უარყოფითად ბავშვის ფსიქიკასა და მის ჯანმრთელობაზე აისახება.

ქალთა მიმართ ძალადობას ადამიანთა არცთუ ისე დიდი ნაწილი აღიქვამს დანაშაულად, მაგრამ მსოფლიოში დღეს ასეთი დანაშაული ყველაზე უფრო ფართოდაა გავრცელებული. დამკვიდრებული სტერეოტიპები: „ქალი ქმრის კუთვნილებაა“, „ქალის როლი და ფუნქცია მხოლოდ ოჯახის მოვლა-პატრონობითა და შვილების აღზრდით განისაზღვრება“, „რა ქალის საქმეა?“ და სხვა, კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება 21-ე საუკუნეში. დღესაც, თანამედროვე მსოფლიოში ქალები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არიან. ქალთა და გოგონათა დიდი ნაწილი ძალადობის მსხვერპლია. თუმცა, საზოგადოების მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობაზე ტოლერანტული დამოკიდებულების გამო, ხშირად მსხვერპლიც კი მასზე განხორციელებულ ძალადობას აღიქვამს არა როგორც დანაშაულს, არამედ როგორც ქალის ცხოვრების თანმდევ გარდაუვალობას. ფიზიკურ ძალადობაზე არანაკლებ მძიმე ზიანის მომტანია ფსიქოლოგიური ძალადობა – მუქარა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, იძულება, დაშინება და სხვა. ქალები და გოგონები ხშირად ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მდედრობით სქესს მიეკუთვნებიან. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები ყველა ადამიანის კუთვნილებაა, ხშირად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში გენდერული ნიშნით ქალთა და გოგონათა დისკრიმინაცია. ქალთა მიმართ ძალადობა კი გენდერული დისკრიმინაციის გამოვლინების ყველაზე მძიმე ფორმაა.

2011 წლის 11 მაისს სტამბოლის კონფერენციაზე ევროპის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება წერტილი დაესვა ქალთა მიმართ ძალადობისათვის. 2014 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა ევროპის საბჭოს კონვენცია

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ. კონვენციის თანახმად, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სერიოზული და გავრცელებული ფორმაა. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენცია საქართველოში ძალაშია 2017 წლის 1 სექტემბრიდან. კონვენციის რატიფიცირებით ქვეყანამ პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ქალთა და ოჯახში ძალადობის აღკვეთა და პრევენცია გამოაცხადა. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსურ ხასიათს ატარებს. სამთავრობო უწყებებთან, ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებთან ერთად, მაღალი ეფექტიანობისათვის უმნიშვნელოვანესია პროცესში სამოქალაქო სექტორის, მედიისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა. კონვენცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ გმობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ნებისმიერ ფორმას. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი ქალისა და მამაკაცის როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტიური თანასაწორობაა. კონვენცია აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ის სოციალური მექანიზმია, რომელიც იძულებულს ხდის ქალს დაიკავოს მამაკაცთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა. კონვენცია ოჯახური ძალადობის მსხვერპლად აღიარებს ბავშვებსაც, როგორც ძალადობის მოწმეებს. კონვენციის მიზნებია: ძალადობის ყველა ფორმისაგან ქალთა დაცვა; მოძალადეთა სამართლებრივი დევნა; ქალებისათვის მეტი შესაძლებლობების მიცემით, ქალებისა და მამაკაცების რეალური თანასწორობის უზრუნველყოფა და ამით ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვა; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში მსხვერპლთა დასაცავად კომპლექსური პოლიტიკის შემუშავება; სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერა ძალადობის მსხვერპლთა დაცვის განხორციელებაში; ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და ძალადობის პრევენციის კომპლექსური მიდგომების შემუშავება. კონვენციის დებულებათა ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად კონვენცია აფუძნებს მონიტორინგს.

კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ ვალდებულება აიღო დაეცვა ქალები ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან. ამ მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა ქვეყნის კანონმდებლობაში. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.

საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მუხლი 9. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები.

1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.

2. სისხლის სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

3. სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით ასანაზღაურებლად.

4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება შემაკავებელი ორდერის/დამცავი ორდერის გამოცემით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდარღვევის ხასიათი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისათვის საქართველოში მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო თავშესაფარი, სადაც ძალადობის მსხვერპლთათვის უზრუნველყოფილია სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება. ქალთა მიმართ ანდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისათვის მოქალაქეებს ნებისმიერ დროს, 24 საათიან რეჟიმში შეუძლიათ დარეკონ გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერზე – 112; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე – 1481. ამასთანავე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზი – 116006 მუშაობს ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ, არაბულ, თურქულ და სპარსულ ენებზე.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. როგორ არის მოწყობილი საქართველოს სასამართლო სისტემა?
2. რა კატეგორიის საქმეებს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?
3. ვის არ აქვს უფლება გახდეს ნაფიცი მსაჯული?
4. რას უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლო?
5. ვის და რა შემთხვევაში აქვს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლება?
6. რას უწევს ზედამხედველობას საქართველოში სახალხო დამცველი?
7. რა შედის სახალხო დამცველის ფუნქციებში?
8. რა შემთხვევაში შეგვიძლია მივმართოთ სახალხო დამცველს?
9. რით დაგვეხმარება სახალხო დამცველი?
10. რისი უფლება არ აქვს სახალხო დამცველს?
11. რა საქმიანობას ეწევა სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრი?
12. რა საქმიანობას ეწევა სახალხო დამცველის გენდერის დეპარტამენტი?
13. თქვენი აზრით, რა ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია სტამბოლის კონვენცია?
14. როგორ ფიქრობთ, რამდენად ახალისებს მოძალადეს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტეროტიპები ქალის როლზე?

თავი 15. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

ადამიანის უფლებების დაცვა ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა. ქვეყანას ადამიანის უფლებათა დაცვას ავალდებულებს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა კონვენცია და დეკლარაცია, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებები. თუმცა, ადამიანის უფლებათა დაცვას ცალკეულ სახელმწიფოთა გარდა საერთაშორისო ორგანიზაციებიც ახორციელებენ. თუკი მოქალაქე ჩათვლის, რომ მისი უფლებები ეროვნულ დონეზე დაირღვა, საკუთარი უფლებების დასაცავად შეუძლია მიმართოს საერთაშორისო სასამართლოებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს შორის გამოყოფენ: ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალურ და რეგიონალურ სისტემებს. უნივერსალურ სისტემას მიეკუთვნება გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა ინსტიტუტები: ადამიანის უფლებათა საბჭო, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი და სახელშეკრულებო ორგანოები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცა (გაერო)

1945 წლის 25 ივნისს სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) წესდებას, რომელიც ძალაში იმავე წლის 24 ოქტომბერს შევიდა. დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 193 სუვერენულ სახელმწიფოს აერთიანებს. მათ შორისაა საქართველოც. იგი გაეროს წევრი 1992 წელს გახდა. 24 ოქტომბერი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღეა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასამართლო ორგანო მდებარეობს ჰააგაში, ნიდერლანდებში. გაერო არ არის ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შექმნის, მონიტორინგისა და განხორციელების საქმეში. ადამიანის უფლებათა დაცვას საერთაშორისო დონეზე ახორციელებენ რეგიონალური ინსტიტუტები.

ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლო

ინტერამერიკული სისტემა მოქმედებს ამერიკის კონტინენტის ქვეყნებისათვის. 1959 წელს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ დააარსა შიდაამერიკული კომისია, 1979 წელს კი ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლო. სასამართლო და ადამიანის უფლებათა ამერიკული კომისია ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციისა და ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების ამერიკული დეკლარაციის საფუძველზე იცავენ ადამიანის უფლებებს ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში. ადამიანის უფლებების ინტერამერიკული კონვენციით (1978) ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულების შესრულებაზე კონტროლი დაეკისრა ამერიკის ადამიანის უფლებათა ამერიკულ სასამართლოსა და კომისიას.`

ადამიანის უფლებათა აფრიკული სისტემა

1981 წელს შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალური ორგანიზაცია. აფრიკული კომისია და ადამიანის უფლებების და ხალხთა უფლებების აფრიკული სასამართლო (2006). აფრიკული კომისია და სასამართლო აკონტროლებენ ადამიანის უფლებების, ხალხთა უფლებების და აფრიკის ქარტიის შესრულებას. კომისია რეგულარულად იღებს მოხსენებებს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ქარტიის ხელმომწერი მთავრობებისგან. სასამართლო განიხილავს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს რეგიონულ დონეზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს შორის ყველაზე ეფექტიანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოა. ევროპის საბჭო 1949 წლის 5 მაისს ლონდონში შეიქმნა. ამ დღეს ევროპის ათი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს წესდებას. 1970 წლამდე ამ ორგანიზაციას კიდევ რვა სახელმწიფო შეუერთდა. დღეს ევროპის საბჭოს წევრი 47 სახელმწიფოა. მათ შორის 27 ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოა. საქართველო 1999 წლის 27 აპრილს ევროპის საბჭოს რიგით 41-ე ქვეყანა გახდა. ევროპის საბჭო ევროპის კონტინენტზე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოწინავე ორგანიზაციაა. იგი ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ღირებულებებს. ამ პრინციპების განხორცი-

ელებისთვის ევროპის საბჭომ მიიღო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია.

1964 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 5 მაისი ევროპის დღედ გამოაცხადა. 1972 წელს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის პრელუდია „ოდა სიხარულს“ ევროპის ჰიმნად გამოაცხადა. 1955 წლიდან ევროპის საბჭოს დროშაა – ცისფერ ფონზე 12 ოქროსფერი ვარსკვლავისაგან შექმნილი წრე. რიცხვი „12“ ჰარმონიისა და ერთიანობის სიმბოლოა, რომელიც გამოსახავს მოციქულთა რაოდენობას, იაკობის შვილებს, ჰერაკლეს საგმირო საქმეებს, წელიწადის თორმეტ თვეს და ა.შ. 1986 წლიდან ევროპის საბჭოს დროშა, ევროპის საბჭოსავე თანხმობით, ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებისა და საერთოდ, ევროპელთა ერთიანობის სიმბოლოდ გადაიქცა.

1950 წლის 4 ნოემბერს რომში “ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია” ხელმოსაწერად გაიხსნა და ძალაში 1953 წლის 3 სექტემბერს შევიდა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია საქართველოში პარლამენტის 1999 წლის 12 მაისის დადგენილებით 2000 წელს ამოქმედდა. ევროპული კონვენცია მოიცავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას (1948) და მასში ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებებია გაწერილი.

1953 წლიდან დღემდე მიღებულია კიდევ 14 დამატებითი ოქმი. ოქმებით კონვენციის თავდაპირველ ვარიანტს ემატება ადამიანთა უფლებები. ოქმებში გაწერილი უფლებების შესრულება სახელმწიფოთათვის სავალდებულო ხდება ხელმოწერისა და რატიფიცირების შემდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია არა მხოლოდ იცავს ადამიანის უფლებებს, არამედ შეიმუშავებს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებსაც და ქმნის საერთაშორისო სასამართლო ორგანოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1959 წელს შეიქმნა. სტრასბურგის სასამართლო იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ უფლებებს. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში გარანტირებულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, საკუთარი მოქალაქეების სახელმწიფოს ტერიტორიიდან გაძევება ან მათი ამ ტერიტორიაზე შესვლის დაბრკოლება, სიკვდილით დასჯა, უცხოელების კოლექტიური გაძევება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მდებარეობს სტრასბურგში. ის ზედამხედველობას უწევს ევროპული კონვენციით აღიარებული 830 მილიონი ევროპელის უფლებების დაცვას. ისინი ევროპის საბჭოს იმ 47 წევრი ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია.

თავდაპირველად ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული მექანიზმი სამ ორგანოს მოიცავდა: ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს. 1998 წლის 1 ნოემბრიდან ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-11 ოქმის საფუძველზე გატარებული რეფორმით ევროპული სასამართლო გახდა მუდმივმოქმედი. მილიონობით მოქალაქეს საშუალება აქვს პირდაპირ მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევის შემთხვევაში. სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი მოსამართლეების რაოდენობა ტოლია ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოების რაოდენობისა, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. ამჟამად მოსამართლეთა რაოდენობა 47-ია. მოსამართლეებს, თითოეული სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი სამი კანდიდატიდან, ექვსწლიანი ვადით ირჩევს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა კანდიდატურები სახელმწიფოების მიერ არიან წარმოდგენილნი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეები არ წარმოადგენენ სახელმწიფოებს და სარგებლობენ სრული დამოუკიდებლობით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე იურიდიულ პირებს სახელმწიფოს წინააღმდეგ. სასამართლოში საჩივრის შეტანა იმ შემთხვევაში შეგიძლიათ თუ ჩათვლით, რომ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციით ან მისი ოქმებით შებოჭილმა სახელმწიფომ დაარღვია უშუალოდ თქვენი უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის შეტანა შეუძლიათ ევროპის საბჭოს არაწევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებსაც, თუკი მათი უფლება დაირღვა იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელსაც რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შეუძლია მიმართოს მხოლოდ დაზარალებულმა ან მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება აქვთ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ერთმანეთის წინააღმდეგ.

ჩანართი 26. საქართველო რუსეთის წინააღმდეგ

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციამ განახორციელა სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. ხუთდღიანი ომის შედეგად დაიღუპა საქართველოს ასობით სამხედრო და მშვიდობიანი მოქალაქე. ათასობით ადამიანს თვალწინ მოუკლეს ახლობლები და ოჯახის წევრები, გადაუწვეს მამა-პაპისეული კარ-მიდამო და საკუთარ სამშობლოში დევნილებად გადააქციეს.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამდგომლობით ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიან შეთანხმებას, რუსეთი დღემდე არ ასრულებს შეთანხმებით აღებულ ვალდებულებას. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ირღვევა ადამიანის უფლებები. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადების შემდეგაც ოკუპანტი ქვეყნის შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა ათობით საქართველოს მოქლაქე მოკლეს და აწამეს. ასობით ადამიანი კი გაიტაცეს, მათ შორის საკუთარი სოფლებიდან, საკუთარი სამეურნეო ნაკვეთებიდან. ექვსპუნქტიანი შეთანხმება კრძალავს ძალის გამოყენებას და მხარეებს ავალდებულებს დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევას. შეთანხმების მე-5 პუნქტის თანახმად რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნებულიყვნენ ომამდე არსებულ პოზიციებზე. მხარეებს მოლაპარაკებები უნდა დაეწყოთ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის უსაფრთხოების საკითხებზე. რუსეთის ფედერაციამ არა თუ შეასრულა ექვსპუნქტიანი შეთანხმება, 2008 წლის 28 აგვისტოს სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. ჯერ კიდევ 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველომ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. 2012 წელს საქმე სასამართლოს დიდ პალატას გადაეცა. 2016-2017 წლებში სასამართლომ მოწმეებს მოუსმინა, ხოლო 2018 წლის მაისში შედგა საქმის საბოლოო განხილვა.

ომიდან 12 წლის შემდეგ, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდმა პალატამ 2021 წლის 21 იანვარს გამოაცხადა გადაწყვეტილება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე. კერძოდ, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაცია ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე ახორციელებდა ეფექტურ კონტროლს და შესაბამისად, მას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევისათვის.

სარჩელით საქართველოს სახელმწიფო რუსეთის ფედერაციას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რვა მუხლის დარღვევაში ედავებოდა. ესენია: სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი); წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (მე-3 მუხლი); თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი); პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი); სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება (მე-13 მუხლი); საკუთრების დაცვა (1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი); განათლების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი); მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი).

გადაწყვეტილების თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ქართული მხარის ძირითადი მოთხოვნები დააკმაყოფილა და დაადგინა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ძირითადი უფლებების: სიცოცხლის უფლების ხელყოფის; წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის; თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის; მიმოსვლის თავისუფლების; პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობისა და საკუთრების დაცვის უფლების დარღვევაში. ამასთან, სასამართლოს დადგენილებით რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს განახორციელა ქართველების ეთნიკური წმენდა. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატას 17 მოსამართლე წარმოადგენს. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განცხადების შეტანამდე, აუცილებელია, რომ მოქალაქეს სახელმწიფოს შიგნით არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება ამოწურული ჰქონდეს (იგულისხმება უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის საკასაციო წესით განხილვა). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ განიხილავს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, საჩივარი უნდა ეხებოდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტს, რადგან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების სააპელაციო სასამართლოს. შესაბამისად, მას არ შეუძლია საქმეების ხელახლა მოსმენა, სასამართლოების გადაწყვეტილებათა გაუქმება, შეცვლა თუ გადასინჯვა. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეგიძლიათ წარადგინოთ სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე (ინგლისური ან ფრანგული), ან რომელიმე იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, რომელსაც რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

? კითხვები გააზრებისთვის:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის რა საერთაშორისო მექანიზმები არსებობს მსოფლიოში?
2. რომელია ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე ეფექტიანი საერთაშორისო მექანიზმი?
3. ადამიანის უფლებათა რომელი საერთაშორისო დოკუმენტის საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?
4. რას უწევს ზედამხედველობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?
5. რა შემთხვევაში და ვის შეუძლია მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს?
6. რა არ შედის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციაში?

თავი16. ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტი

ალბათ, ხშირად გაგიგონიათ ფრაზები „მე არჩევნებზე არ მივდივარ“, ან „პოლიტიკა საერთოდ არ მაინტერესებს“ – ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ეს უპასუხისმგებლო ადამიანების განცხადებებია. შესაძლოა, ადამიანს არ აინტერსებდეს ელექტრონული მუსიკა, ბირთვული ფიზიკა ან სპორტის რომელიმე სახეობა, არ იცოდეს ჭადრაკის თამაში და არც აინტერესებდეს, მაგრამ ცხოვრობდე სახელწიფოში, იყო მოქალაქე და არ გაინტერესებდეს ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოვლენები, იგივეა, რაც არაფრად აგდებდე საკუთარი სამშობლოს მომავალს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეების ჩართულობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. ყველას ძალიან გვინდა კარგ სახელმწიფოში ცხოვრება, ძლიერი ეკონომიკით, გამართული სოციალური ინსტიტუტებით, ისეთი განათლების სისტემით, რომელიც ახალგაზრდას მაღალხარისხიან განათლებას მისცემს. გვინდა ისეთი სახელმწიფო, სადაც არ იქნება სიღარიბე და იქნება სამართლიანი გარემო, სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები, სადაც ადამიანებს საკუთარი შრომით ღირსეული ცხოვრების საშუალება მიეცემათ, თავს ბედნიერად და დაცულად იგრძნობენ, მაგრამ ასეთი ქვეყნის შექმნა მოქალაქეების მონაწილეობის გარეშე არცერთ ხელისუფლებას არ შეუძლია. ბევრი რამ არ მოგვწონს ჩვენ გარშემო და ამას ხელისუფლებას ვაბრალებთ. იქნებ, ზოგჯერ ჩვენი ბრალიცაა ხელისუფლების უმოქმედობა, იქნებ ჩვენი პასიურობის გამო ვიმკით ჩვენთვის არასასურველ შედეგებს. დავფიქრდეთ და ჩვენ თავზე ავიღოთ ზოგიერთი პრობლემის მოგვარება. ზოგიერთი პრობლემა სწორედაც რომ ჩვენ სამოქალაქო თვითშეგნებაზე გადის.

ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ახალგაზრდების სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის მომზადება და ახალგაზრდა თაობის დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებად აღზრდაა. სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა – თანამედროვე ახალგაზრდები რთულად ერთვებიან ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, შეიძლება იმითაც აიხნას, რომ ისინი არ ფლობენ შესაბამის სფეროებში ცოდნას და უნარ-ჩვევებს, მეორე მხრივ, მათი აქტიურობა არ არის მხარდაჭერილი და წახალისებული. სწორედ ამ მიზნით თქვენ გევალებათ ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის მომზადება. თქვენ უნდა შეძლოთ და მოდულის ფარგლებში თეორიულად მიღებული ცოდნა პრაქტიკულად გამოავლინოთ.

ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის მიხედვით, თქვენ უნდა „დაინახოთ“ და შეისწავლოთ თქვენ გარემოში არსებული

პრობლემები. მათ შორის გამოარჩიოთ ისეთი, რომლის მოგვარებაც შეგიძლიათ, მოძებნოთ მისი გადაჭრის გზები, მაქსიმალურად გაიაზროთ და გამოიყენოთ საკუთარი შესაძლებლობები. შემოიკრიბოთ თანამოაზრეები, ვინც დაგეხმარებათ დასახული მიზნის მიღწევაში.

მოდულის პრაქტიკული ნაწილი – ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტი, ეფუძნება როგორც პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, ასევე, პროექტის საშუალებით განხორციელებულ სწავლებას. აქ იგულისხმება ის, რომ პროექტი არა მხოლოდ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ ცოდნას და უნარს შეგძენთ, გაგივითარებთ კრიტიკული აზროვნებისა და ჯგუფური მუშაობის უნარებს, არამედ შეგძენთ ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტი შინაარსით თავის თავში მოიცავს კვლევის კომპონენტსაც – პრობლემის ირგვლივ ინფორმაციის მოგროვებას. თქვენ დამოუკიდებლად უნდა შეარჩიოთ აქტუალური და ამავე დროს, თქვენთვის საინტერესო თემები. ახალგაზრდული პროექტი საშუალებას გაძლევთ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმუშაოთ პროექტზე. თქვენ თვითონ ახდენთ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებას, სამუშაო გეგმის შედგენას, მომხრეთა მობილიზებას და მათი ჩართულობის უზრუნველყოფას. თქვენვე უნდა მოიძიოთ პრობლემის გადაჭრის გზები და ამოარჩიოთ მათ შორის ყველაზე ოპტიმალური და ეფექტიანი. პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა მოგიწიოთ საჯარო უწყებებიდან ინფორმაციის გამოთხოვა.

პროექტის დასრულების შემდეგ უნდა წარმოადგინოთ პრეზენტაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ, სადაც გამოიყენებთ ფოტო და ვიდეომასალას. თქვენთვის უცხო, და ხშირად უჩვეულო გარემოში, უცნობ ადამიანებთან ურთიერთობა დაგეხმარებათ სხვადასხვა სიტუაციაში ორიენტირების უნარის შეძენაში.

გთავაზობთ სანიმუშო ნაბიჯებს, რომლებიც დაგეხმარებათ ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის წარმატებით განხორციელებაში:

პირველი ნაბიჯი: პრობლემის იდენტიფიკაცია. ყურადღებით დააკვირდით თქვენ ირგვლივ არსებულ გარემოს. ყველაფერი ისეა, რომ არაფრის შეცვლას არ ისურვებდით? თქვენ გარშემო ყველას თანაბარი ხელმისაწვდომობა აქვს განათლებაზე? არის საკმარისი სპორტული მოედნები, იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ? სუფთად და ლამაზად გამოიყურება თქვენი ქუჩა, თქვენი უბანი? საკმარისად გამწვანებულია თქვენი ქალაქი, სოფელი? ეს იმ პრობლემების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ჩვენ გარშემო ყოველდღიურად გვხვდება, მაგრამ უმეტესად თვალი შევაჩვიეთ და ვეღარც ვამჩნევთ. ჩამოთვალეთ თქვენ ირგვლივ არსებული პრობლემები, იმსჯელეთ ჯგუფში, ჩაატარეთ მცირე კვლევა – გაესაუბრეთ სხვა ადამიანებსაც. თქვენი ყურადღება ყველაზე აქტუალურ (რომელიც ბევრ ადამიანს ეხება) პრობლემაზე შეაჩერეთ.

მეორე ნაბიჯი: პრობლემის შესწავლა. შეისწავლეთ საკითხი, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიძიეთ პრობლემის შესახებ. შეეცადეთ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან მოიძიოთ. შეხვდით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ესაუბრეთ მოსახლეობას, გაეცანით საკანონმდებლო აქტებს. სასურველია, თუკი პრობლემის შესახებ სასაუბროდ შეხვდებით დარგის ექსპერტებს და მათგან მოისმენთ კომპეტენტურ აზრს. შეხვდით არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს, უამბეთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ, სთხოვეთ გაგიზიარონ საკუთარი გამოცდილება. იქნებ ის რაც თქვენ მოსაგვარებელ პრობლემად დაისახეთ უკვე მოგვარებულია, მაგალითად, შეამჩნიეთ, რომ კონკრეტული სკვერი, დასასვენებელი პარკი თუ სპორტული მოედანი მოუწყობელია, მაგრამ ამ პრობლემის გადასაჭრელად ადგილობრივ ხელისუფლებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა, თანხებიც გამოყოფილია და სამუშაოებიც მალე დაიწყება. თქვენ პრობლემის ირგვლივ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა მოიძიოთ. თუკი ადგილობრივ ხელისუფლებას უკვე მოძიებული აქვს პრობლემის გადაჭრის საშუალებები, ხომ არ გვეფიქრა ჩვენს თანამონაწილეობაზე? მოხალისეთა ჯგუფის შეკრებაზე? რა სჯობია იმ სტადიონზე თამაშს, რომლის კეთილმოწყობაშიც შენც გაქვს მონაწილეობა მიღებული, ან დასვენებას იმ სკვერსა თუ პარკში, სადაც შენი ხელით დარგული მცენარეები ხარობენ.

მესამე ნაბიჯი: პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება. მას შემდეგ, რაც ამომწურავად მოიპოვებთ ინფორმაციას პრობლემის შესახებ მოპოვებული მასალის (ექსპერთა რჩევა, არასამთავრობო სექტორის გამოცდილების გაზიარება), დასახეთ პრობლემის გადაჭრის გზები. ერთად იმსჯელეთ ჯგუფში პრობლემის ყველაზე ეფექტიანი გზის ძიებაზე. რაციონალურად შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები. მოუსმინეთ ერთმანეთს. კონსენსუსის საფუძველზე შეარჩიეთ პრობლემის მოგვარების ყველაზე საუკეთესო გზა.

მეოთხე ნაბიჯი: სამოქმედო გეგმის შედგენა. რიგითობის მიხედვით ჩამოწერეთ პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები. მიუთითეთ შესრულების ვადები. სამუშაო ჯგუფში თანაბრად გადაანაწილეთ. თითოეულ პუნქტზე თითო ჯგუფის წევრმა აიღეთ პასუხისმგებლობა. განსაზღვრეთ მოსალოდნელი რისკებიც. მაგალითად, იმედოვნებთ, რომ კონკრეტული სამუშაოს შესრულებაში შეძლებთ 10 მოხალისის მობილიზებას. თუკი რეალურად მხოლოდ 5 მოხალისის ჩართვას შეძლებთ, როგორ უნდა გადაინაწილოთ საქმე, რომ დასახული მიზანი ზედმიწევნით შეასრულოთ, ან იმედოვნებთ რომელიმე უწყებასთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას, მაგრამ რეალურად თქვენი იმედები არ გამართლდა, როგორ უნდა იმოქმედოთ, რომ დახმარების გარეშეც შეძლოთ მიზნის მიღწევა?

მეხუთე ნაბიჯი: ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტის პრეზენტაციისთვის მომზადება. თქვენ უნდა მოამზადოთ თქვენივე შესრულებული პროექტის პრეზენტაცია და შემდეგ წარადგინოთ აუდიტორიის წინაშე. გახსოვდეთ, პრეზენტაციის მომზადება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია თქვენი პროექტისა. შეიძლება თქვენ ძალიან კარგად იმუშაოთ, მნიშვნელოვანი პრობლემაც გადაჭრათ, მაგრამ აუდიტორიის წინაშე სათანადოთ ვერ წარმოაჩინოთ თქვენი ნამუშევარი. ამიტომ, შეეცადეთ ყველა თქვენ მიერ შესრულებულ აქტივობაზე გადაიღოთ ფოტო და ვიდეომასალა. შეადგინეთ ტექსტი, შემდეგ დაყავით და გადაიტანეთ სლაიდებზე. სლაიდები გააფორმეთ შესაბამისი ვიდეო და ფოტომასალით.

რჩევები/კითხვები, რომლებიც დაგეხმარებათ პრეზენტაციის მომზადებაში:

1. რა არის პროექტის თემა?
2. რატომ ავირჩიეთ ეს თემა?
3. პრობლემის ანალიზი: როგორ მოვიპოვეთ ინფორმაცია (ხელისუფლების მხრიდან; არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან; ექსპერტებისგან; კვლევის საფუძველზე და ა.შ.) რამდენად პრობლემატურია საკითხი ადგილობრივი თემის დონეზე? ქვეყნის მასშტაბით? გლობალური თვალსაზრისით?
4. რა არის ჩვენი პროექტის მიზანი?
5. პრობლემის გადაჭრის ჩვენეული ვერსიები, რა გზა ავარჩიეთ? რატომ?
6. განხორციელებული აქტივობა ან აქტივობები;
7. ვისი თანადგომა და მხარდაჭერა დაგვჭირდა?
8. ვინ დაგვეხმარა?
9. რამდენად შევძელით დასახული მიზნის მიღწევა?
10. რა შევიტყვეთ აღნიშნული პრობლემის შესახებ პროექტის დასრულების შემდეგ?
11. რატომ ვთვლით, რომ პროექტი წარმატებულია? (თუკი ასე თვლით)
12. რა მოგვცა ამ პროექტმა (შევიძინეთ მეტი ცოდნა; ვისწავლეთ ვის უნდა მივმართოთ ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში დახმარებისათვის; როგორ უნდა ვაწარმოოთ მოლაპარაკება; როგორ გამოვითხოვოთ საჯარო ინფორმაცია; როგორ ჩავატაროთ კვლევა; უკეთ გავიცანით ერთმანეთი; დავმეგობრდით; ვისწავლეთ გუნდური მუშაობა და ა.შ.).

დასკვნა

მოქალაქის ცნება პირველად ანტიკური ეპოქის ბერძნულ პოლისებში გაჩნდა. არისტოტელეს განმარტებით მოქალაქე არის ის, ვინც სახელმწიფოს მართვაში მონაწილობს. ათენური დემოკრატია (ძველბერძნული დემოკრატია) პირდაპირი დემოკრატიაა. აქ მოქალაქეები უშუალოდ, შუამავლების გარეშე იღებდნენ გადაწყვეტილებას პოლისისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. სახალხო კრებებში მონაწილეობა ათენის მოქალაქე – 18-იდან 60 წლამდე მამაკაცის სამოქალაქო ვალი იყო. ათენელისათვის პოლისის მართვა-გამგეობაში არმონაწილეობა სამარცხვინოდ ითვლებოდა. ღირსების საქმე იყო სახალხო კრებებზე საკუთარი აზრის გამოთქმა და პოლისის მართვაში საკუთარი წვლილის შეტანა.

თქვენ უკვე იცით, რომ თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია წარმომადგენლობითი დემოკრატიაა. აქ მოქალაქეები მართვის უფლებებს გადასცემენ წარმომადგენლებს, რომლებსაც რეგულარულ არჩევნებზე ირჩევენ. მოქალაქის მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით არ შემოიფარგლება. თანამედროვე საზოგადოებაში მოქალაქე აქტიურადაა ჩართული ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. აქტიური მოქალაქე სრულად აცნობიერებს საკუთარ როლს და ფუნქციებს საზოგადოებაში. მისთვის სულერთი არაა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. პასუხისმგებლიანი მოქალაქე არა მხოლოდ საკუთარი უფლებების დამცველია, არამედ თავის თანამემამულეთა ინტერესთა დამცველიცაა. იქ, სადაც მოქალაქეს გააზრებული აქვს თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, უფრო ეფექტიანია ხელისუფლების საქმიანობაც.

პასუხისმგებლიანი მოქალაქე კანონის დამცველია. ის ისევე ზრუნავს საზოგადოებრივ სიკეთეზე, როგორც საკუთარზე. კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი როგორც უფლებები და თავისუფლება, ასევე ვალდებულება. იგი ჩართულია საზოგადოებრივ საქმიანობაში, მუდმივად ინტერესდება ხელისუფლების საქმიანობით. სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ფუნქციაც ხომ ხელისუფლების კონტროლია. როგორც ექიმი უსინჯავს პულსს ავადმყოფს და როგორც კი პულსაციაში ცვლილებებს აღმოაჩენს მაშინვე სათანადო ზომებს იღებს, ასეა პასუხისმგებლიანი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოებაც. ისიც ხელისუფლების მაჯისცემას ამოწმებს და როგორც კი შეამჩნევს სახიფათო გადახრას, განგაშს ტეხს, ხმამაღლა სვამს კითხვებს, ხელისუფლებიდან პრობლემის მოგვარებას მოითხოვს და თავადაც აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესში.

ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ახალგაზრდების პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის მომზადება და ახალგაზრდა თაობის დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებად აღზრდაა. ამისათვის კი პირველ რიგში მათთვის პოლიტიკური და სოციალური ფუნქციის მატარებელი ცოდნის მიღებაა აუცილებელი. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის

საკუთარ თავში გააზრებით ახალგაზრდას უყალიბდება ღირებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სამოქალაქო თვითშეგნებას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება სპეციალურად თქვენთვის შექმნილი ეს სახელმძღვანელო, რომელიც დაგეხმარებათ, აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გააზრებასა და გამოყენებაში, საზოგადობაში საკუთარი როლის გაცნობიერებაში და რაც მთავარია, საკუთარი ძალების რწმენაში.

სამოქალაქო განათლების საკვანძო საკითხების შესწავლით, თქვენ შეძლებთ გააცნობიეროთ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეობა მხოლოდ არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობით არ შემოფარგლება. ქვეყნის დემოკრატიულობის განვითარება დიდწილად დამოკიდებულია მოქალაქის ყოველდღიურ საქმიანობაზე. მოქალაქემ საკუთარი ინიციატივით უნდა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, თავისი და სხვათა უფლებების დაცვაში. მოქალაქე ჩართული უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც საჯარო თანამდებობის პირებთან აქტიურ თანამშრომლობასაც გულისხმობს.

სამოქალაქო განათლების კურსის გავლის შემდეგ თქვენ შეძლებთ: ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობას; საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნას შესაბამისი უწყებებიდან; აღწეროთ დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი მახასიათებლები, აგრეთვე მოქალაქეთა თანამონაწილეობის და ჩართულობის ფორმები და გზები. მიღებული ცოდნა დაგეხმარებათ: დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში; ისეთი ფასეულობების, როგორებიცაა: ადამიანის უფლებების, სამართლიანობის, თანასწორობის, კანონის უზენაესობის დაფასებაში; გაგივითარდებათ მოქალაქეობრივი აზროვნება, პასუხისმგებლობა და თავდაჯერებულობა; ახალგაზრდული სამოქალაქო ჩართულობის პროექტი შეგძენთ ცოდნას, გამოცდილებას და უნარებს თქვენს რეგიონში, მუნიციპალიტეტში, ქალაქში, თემსა თუ სოფელში გამოავლინოთ პრობლემები, შექმნათ საინიციატივო ჯგუფი, შემოიკრიბოთ თანამოაზრეები და ერთობლივი ძალებით გადაჭრათ პრობლემა. პროექტი გაგივითარებთ მოსმენისა და დაკვირვების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებს, ემპათიასა და პოზიტიურ დამოკიდებულებას სხვა ადამიანების მიმართ.

ბიბლიოგრაფია

1. აბაშიძე ზ. მუხიგული ქ. დუნდუა ს. ქარაია თ. ბოროუსი გ. (2020). *დემოკრატია და მოქალაქეობა.* IFES. თბილისი.
2. აბულაშვილი ი. (26.07.2017). *როგორ გაიხსნა პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა საქართველოში.* რეზონანსი. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=37979 (მოძიებულია: 20.12.2020).
3. *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტერმინთა ლექსიკონი.* (2008). თბილისი.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამდივნო. (2009). *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კითხვა-პასუხი.* თბილისი.
5. *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.* (1948). გაერო.
6. *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი.* (წიგნი მეორე). (1999). თბილისი.
7. *ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული.* (2008). თბილისი.
8. *ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია.* (1950). ევროპის საბჭო.
9. *ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია.* VI ოქმი. (1983).
10. *ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია.* XI ოქმი. (1998).
11. *ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია.* XIII ოქმი. (2002).
12. ალექსიძე ლ. *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი.* (2005). თბილისი.
13. ამირჯანოვა შ. (16.10.2019). *გარდაბანში მასწავლებელი იმის გამო დასაჯეს, რომ მოსწავლის მოტაცება გააპროტესტა.* https://jam-news.net/ge/საქართველო-გარდაბანში-მ/ (მოძიებულია: 12.01.2021).
14. ბერეკაშვილი თ. ბიჭაშვილი მ. კიღურაძე ნ. მუსხელიშვილი მ. ჟორჟოლიანი გ. (2004). *თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება.* ქრესტომათია, ნაკვეთი I-II. თბილისი.
15. ბოროუსი გ. რუხაძე ზ. კვაჭაძე მ. გაფრინდაშვილი ლ. იზორია ლ. (2011). *დემოკრატია და მოქალაქეობა.* IFES. თბილისი.
16. ბურდული გ. (რედ). (2018). *სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში: გამოწვევები და განვითარების გზები.* თბილისი.
17. *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სამართლის სტატუტი.* (1993). თბილისი.
18. *ენციკლოპედიური ლექსიკონი.* www.civil.ge.

19. თეთრაძე ლ. (რეჟ). *როგორ ინგრევა კედელი.* https://www.youtube.com/watch?v=9rWl94gDC2k. (მოძიებულია: 12.01.2021).
20. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (29.09.2020). *ცენზურა საბჭოთა კავშირში.* https://idfi.ge/ge/soviet_censorship (მოძიებულია: 28.10.2020).
21. *„კოლეჯი 135-წლიანი ისტორიით“* https://akhaliganatleba.ge/ko-le-ji-135-tsliani-istoriith/ (მოძიებულია: 10.04.2021).
22. *კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ.* (2011). თბილისი.
23. *კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის, მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ.* (2005). იუნესკო.
24. *კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ.* (2011). ევროპის საბჭო.
25. *კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო.* (2005). თბილისი.
26. კორკელია კ. (რედ). (2002). *ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები.* თბილისი.
27. *ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში.* http://dictionary.css.ge.
28. იზორია ლ. კორკელია კ. კუბლაშვილი კ. ხუბუა გ. (2005) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. *თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. „ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“.* ”მერიდიანი“. თბილისი.
29. მაგშტატი თ. (2003). *გავიგოთ პოლიტიკა. იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები.* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
30. *მე ჰამიდი ვარ - აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა ჰამიდ სადიკოვს ღია მხარდაჭერა გამოუცხადეს.* https://www.radiotavisupleba.ge/a/30231929.html (მოძიებულია: 10.04.2021).
31. *მონაცემთა დაცვის ევროპული სასამართლო.* (2015). თბილისი.
32. ნარსია შ. (2018). *თანამონაწილეობითი ბიუჯეტი, ქალაქ ვარშავის გამოცდილება.* CIVICUS VOL. 14.
33. ნერგაძე თ. (19.02.2017). *რა გვაერთიანებს მთის ამბების მოქალაქე რეპორტიორებს?* https://mtisambebi.ge/news/people/item/325-ra-gvaertianebs-„mtis-ambebis“-moqalaqe–reportiorebs. (მოძიებულია: 12.12.2020).
34. ნიკოლაიშვილი გ. *ადამიანის უფლებები საქართველოში.* (1998). თბილისი.
35. საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი. (2014). *სამოქალაქო განათლების გზამკვლევი.* თბილისი.
36. *საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/

37. *საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
38. საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო აქტების კრებული. (2009). *ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ.* თბილისი.
39. *საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
40. *საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
41. *საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
42. *საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
43. *საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
44. *საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
45. *საქართველოს კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
46. *საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
47. *საქართველოს კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
48. *საქართველოს კონსტიტუცია.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
49. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი.თავი მეორე. *საქართველოს მოქალაქეობა. „ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“*, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი.
50. *საქართველოს მთავრობის დადგენილება #1 „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.* (08.01.2019). https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4449377?publication=0 (მოძიებულია: 28.10.2020).
51. *საქართველოს ორგანული კანონი – სახალხო დამცველის შესახებ.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
52. *საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
53. *ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/

54. საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტი. *მთავრობის ფორმირების წესი მმართველობის განსხვავებული ტიპის ქვეყნებში.* http://www.parliament.ge/files/415_941_629846_Document34.pdf (მოძიებულია: 09.10.2020).
55. *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.* (1966). თბილისი.
56. *საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი.* (2008). თბილისი.
57. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
58. საქართველოს სახალხო დამცველი (2019). *ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.* https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf (მოძიებულია: 09.02.2021).
59. საქართველოს სახალხო დამცველი. *გზამკვლევი.* https://ombudsman.ge/geo/gzamkvlevi (მოძიებულია: 12.05.2021).
60. საქართველოს სახალხო დამცველი. დეპარტამენტების შესახებ. https://www.ombudsman.ge/geo/departamentis-shesakheb (მოძიებულია: 12.05.2021).
61. *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.* საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/
62. *საერთაშორისო ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები.* (2012). თბილისი.
63. საყვარელიძე ფ. (შემდგ.) (1999) *ადამიანის უფლებათა ლექსიკონი.* თბილისი.
64. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.
65. სიდა (2020). *ადვოკატირება სოფლის მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისათვის.* http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2020/0 6/Advocacy-Manual-CiDA.pdf (მოძიებულია: 16.10.2020).
66. *ჩარჩო კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“.* (1995). ევროპის საბჭო.
67. შეყილაძე თ. (2011). *სოციალური და ტრადიციული მედიის ურთიერთმიმართების საკითხებისთვის.* https://www.litinstituti.ge/studentkvleva/nomeri2/tamar%20shekilaze.pdf (მოძიებულია: 25.12.2020).
68. წიწიკაშვილი მ. (24.12.2019). *ფეისბუქის დიდი წმენდა. რა წაიშალა და რატომ?* factcheck.ge. https://factcheck.ge/ka/story/38290--ფეისბუქის-დიდი--=წმენდა (მოძიებულია: 12.11.2020).
69. ჭაჭუა მ. (2011) *ქალთა უფლებები ძველ რომსა და თანამედროვე მსოფლიოში.* თბილისი.
70. ჰანსენი ჰ. (2008). *სამართლიანი და დაბალანსებული მედიის ანგარიში.* ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საკითხთა გენერალური დირექტორატი. https://rm.coe.int/168008ebf7 (მოძიებულია: 20.12.2020).

71. ჰეივუდი ე. (2008). *პოლიტიკა.* საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი.
72. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), *Report on non-citizens and minority rights*, *69th Plenary Session.* 2006.
73. Encyclopedia Britannica. (1911). New York.
74. McVeigh R. (2009). *The Rise of the Ku Klux Klan: Right-Wing Movements and National Politics.* Vol. 32. University of Minesota Press.
75. Perlstein R. *Watergate scandal*. https://www.britannica.com/event/Watergate-Scandal (მოძიებულია: 09.10.2020).
76. Politico Europe (14.03.2018). *Bundestag reelects Merkel as chancellor.* https://www.politico.eu/article/angela-merkel-reelected-as-german-chancellor/(მოძიებულია: 28.10.2020).